სამეგრელო მღელვარებამ მოიცვა A3

გახმაურებული მკვლელობის ქრონიკა A7

ვინ კითხულობს პირველად „ფლეიბოის„ B5

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 28 ივნისი, 2002 წელი. №26

ფასი 50 თეთრი

## ევროსაბჭო ჩეჩნების და თურქ-მესხების „შენახვას„ გვთხოვს

### საქართველო ˝გარდამავალი დემოკრატიის˝ ქვეყანა?!

თამარ ხორბალაძე

ევროსაბჭო ჩეჩენი ლტოლვილების "შენახვას" და საქართველოში, თურქ-მესხთა ჩამოსახლებისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას დაჟინებით გვთხოვს.

ამის შესახებ საუბარია იმ რეკომენდაციებში, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეამ კავკასიაში დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საკითხის განხილვის შედეგად შეიმუშავა.

საკითხის განხილვა ევროსაბჭოში გუშინ, საქართველოს დროით საკმაოდ გვიან ღამით გაიმართა.

ამ თემაზე გაკეთებულ მიგრაციის, ლტოლვილთა და დემოგრაფიის კომიტეტის მოხსენებაში ნათქვამი გახლდათ, რომ კავკასიის ქვეყნებში ლტოლვილთა უმეტესობის მდგომარეობა მეტად მძიმეა და მთლიანად დამოკიდებულია საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ლტოლვილთა ბანაკებში განთავსებული მათი უმრავლესობა უპერსპექტივო მდგომარეობაში იმყოფება. მოხსენებაში, ასევე, აღნიშნული იყო ის ფაქტი, რომ კონფლიქტები გაცილებით გრძელვადიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს თავიდან ჩანდა.

ამასთან, მოხსენებაში კმაყოფილებით გახლდათ ხაზგასმული ის ძალისხმევა, რომელსაც საქართველო

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ნაციონალები" ქუჩაში გამოდიან

### პოლიცია კომენტარს არ აკეთებს



თამარ მჭედლიშვილი

*ნაციონალური მოძრაობა მოსახლეობას ქუჩის აქციებისკენ მოუწოდებს. გუშინ თბილისის საოლქო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო მათი სარჩელი, რომელიც თბილისის საკრებულოს შედეგების ოქმის შეჩერებაზე გადაწყვეტილების შეცვლას გულისხმობდა. საოლქომ სარჩელი გადაუგზავნა უზენაეს სასამართლოს. "ნაციონალური მოძრაობის" წევრთა მტკიცებით, მოსამართლის გადაწყვეტილება პროცესის გაჭიანურებასა და შევარდნაძის სცენარის წარმატებით განხორციელებას ემსახურება. იმ სცენარისა, რომელიც შემოდგომ თბილისის საკრებულოს ახალ არჩევნებს გულისხმობს. სწორედ ამიტომ "ნაციონალები" მოსახლეობას საკუთარი არჩევანის დასაცავად მოუწოდებენ.*

დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ "**უახლოეს დღეებში თბილისში მასობრივი გამოსვლები დაიწყება. პარტია აღარ დაკმაყოფილდება მხოლოდ საკრებულოს თემატიკით. პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლები და, ასევე, მეგობარი დეპუტატები მოითხოვენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. თუკი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებს სახლებში წასვლა არ მოუნდებათ, ჩვენ მათ ალტერნატიულ წინადადებას შევთავაზებთ – შეიტანონ ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილება, რომელიც ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობს**".

დღეს "ნაციონალებს" მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილიც შეუერთდება, რომელიც გუშინ, გვიან ღამით,

გაგრძელება A3 გვერდზე

სახელმძღვანელოების თეთრი და შავი ბაზარი A2

რეგიონული ელიტა გადახალისდა A3

კანცელარიის 100 თანამშრომელს დაითხოვეს A4

ამერიკამ იპოვა, საქართველომ დაკარგა B1

რუსებმა "კოკა-კოლა" ვერ შეირგეს B3

## ანონსი

ხვალ ˝24 საათის˝ სტუმარი იქნება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომელსაც შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვები

ტელ: 20 24 24

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 25 |
| ქუთაისი | 26 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 23 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 22 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2000 |
| ევრო | 2.1652 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.3510 |
| რუბლი | 0.0699 |

## ღარიბი ქვეყნის მილიონერი სახელმწიფო მოხელეები

მაია ურუშაძე

ქართველ მილიონერთა ნუსხას პარლამენტარი ვალერი გელაშვილი უდგას სათავეში, პრეზიდენტი შევარდნაძე კი მხოლოდ მეოცე ადგილზეა. რაც შეეხება ქვეყნის მეორე პირს, პარლამენტის თავმჯდომარეს, იგი თავისი ნახევარმილიონიანი ქონებით საერთოდ ვერ მოხვდა მდიდარ ადამიანთა სიაში. საქართველოში მილიონების შოვნა, ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლებასთან "შეკვრის" პირდაპირპროპორციულია. საბოლოოდ, "24 საათის" მიერ, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგის მასალებსა და ქონებრივი დეკლარაციების მონაცემებზე დაყრდნობით, შედგენილ მილიონერთა ნუსხაში ქართველმა ბიზნესმენებმა და სახელმწიფო მოხელეებმა ადგილები შემდეგნაირად გადაინაწილეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პრეზიდენტისთვის არაფრის დამალვას არ ვაპირებ

ეკა კვესიტაძე
*ვაშინგტონიდან*

*ვაშინგტონში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილის, დიუპონის მოედნის გარშემო უამრავი საელჩოა თავმოყრილი, მათ შორის - პატარა და ღარიბი ქვეყნების საელჩოების შენობები, საკმაოდ დიდები და რესპექტაბელურები. ასეთი საელჩოები აქვს ფილიპინებს, ზიმბაბვეს, სიერა ლეონეს, მაგრამ არ აქვს საქართველოს.*

*საქართველოს საელჩოს კუთვნილება ხუთსართულიანი შენობის მხოლოდ ერთი სართულია. მისაღებში გაფუჭებულია კონდიციონერი, რაც ნამდვილად დიდი პრობლემაა ვაშინგტონის აუტანლად ცხელ დღეებში.*

*ფინანსური პრობლემები არის ის დიდი "მემკვიდრეობა", რომელიც ამერიკაში საქართველოს ახალ ელჩს ერგო. თუმცა ლევან მიქელაძე ამბობს, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსება გაუზარდეს და საელჩოს ფინანსური პრობლემების ნაწილის მოგვარება მაინც შეძლებს.*

*ახალი ელჩი სულ რამდენიმე დღეა, რაც ვაშინგტონშია, რწმუნების სიგელი ამერიკის პრეზიდენტისთვის ჯერ არ გადაუცია და, შესაბამისად, ჯერ-ჯერობით, ოფიციალური შეხვედრებიც არ გაუმართავს.*

გაგრძელება A8 გვერდზე

## გენერალი ანდრეი ნიკოლაევი: „არ მინდა, თუნდაც ერთი ჯარისკაცი დამეღუპოს პანკისის ხეობაში!„...



ИТАР-ТАСС

*რუსეთის პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ანდრეი ნიკოლაევი.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ. მოსკოვში*

რუსეთის პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე, უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი ნიკოლაევმა, საერთაშორისო პრობლემებიდან, კავკასიის საკითხს ყველაზე მტკივნეული და აქტუალური უწოდა. მან განაცხადა, რომ რუსეთის გენერალიტეტს დღეს ყველაზე მეტად აღელვებს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები სამხრეთ კავკასიაში, რომ ამ პროცესებში რუსეთი ვერ იქნება მხოლოდ უბრალო დამკვირვებელი.

პრესკონფერენციის შემდეგ გენერალმა ნიკოლაევმა "24 საათს" ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

**- დღეს რუსი სამხედროების ერთი ნაწილი სკეპტიკურად ეკიდება საქართველოსათვის ამერიკის მხრიდან გაწეულ სამხედრო დახმარებას. თქვენც ამ პოზიციას იზიარებთ?**

-მარტო საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემის გადაჭრაში კი არა,საერთო პრობლემების მოგვარებაშიც კი ამერიკა სააქართველოს რუსეთს ვერ შეუცვლის. გავიხსენოთ ისტორია: საქართველოს სახელმწიფოებრიობის მანძილზე იქ ამერიკა არასოდეს ყოფილა, რუსეთი კი იყო და ქართველი და რუსი ხალხების თანაცხოვრებაც ისტორიული რეალობაა - უნდათ თუ არა ეს დღეს ზოგიერთებს. საქართველოს პოლიტიკოსებმა და ლიდერობაზე პრეტენზიის მქონე ფიგურებმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმასაც, რომ რუსეთს დღეს წარსულ დროებაზე ტკივილი კი არ ალაპარაკებს, არამედ ის ფაქტი აწუხებს, რომ ანგარიშს არ უწევენ, სად ვცხოვრობთ, რა ისტორიულ და გეოსტრატეგიულ სივრცეში გვიხდება დღეს თანამშრომლობა. ჩვენ მეზობლები ვართ და ამით ყველაფერი ნათქვამია. აშშ კავკასიის პრობლემას ათი ათასი კილომეტრის დაშორებიდან ვერ მოაგვარებს. ეს

გაგრძელება A8 გვერდზე

## ვის მიჰყიდა არძინბას კლანმა ორი კილოგრამი ურანი-235

### ვაშინგტონში ეჭვობენ, რომ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, შესაძლოა, ერაყზე მუშაობდეს

ზაზა წულაძე

*ამერიკის შეერთებულ შტატებში აპირებენ გამოიკვლიონ, თუ ვინ, როდის, სად და რა მიზნით გაიტანა ორ კილოგრამზე მეტი გამდიდრებული ურანი-235 სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის სპეცსაწყობიდან. ვაშინგტონში შეშფოთებულნი არიან და განსაკუთრებით აინტერესებთ, სოხუმის ინსტიტუტიდან ასევე ხომ არ დაიკარგა გასაიდუმლოებული დანადგარები და ტექნოლოგიები, რომლითაც შესაძლებელია მასობრივი განადგურების ბირთვული იარაღისთვის საჭირო მასალების წარმოება ან ხომ არ ასრულებს ეს ინსტიტუტი მესამე ქვეყნების, მაგალითად, ერაყის შეკვეთებს. არაოფიციალური ცნობებით, ვლადისლავ არძინბას კლანის ნებართვით, აღნიშნული ურანი 1993 წელს, სოხუმის აღებისთანავე გაიტანეს აფხაზეთის ტერიტორიიდან და გაყიდეს. კალიფორნიის მონტერეის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის მონაცემებით, დღეისათვის ეს არის გამდიდრებული ურანის დაკარგვის ერთადერთი და ყველაზე გახმაურებული შემთხვევა მსოფლიოში.*

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, იოსებ სტალინისა და ლავრენტი ბერიას მეცადინეობით, 1945 წლის ივნისში გაიხსნა. აქ, რამდენიმე სხვა ინსტიტუტის პარალელურად, პირველ საბჭოთა ატომურ პროექტებზე დაიწყო მუშაობა. საბჭოთა ატომური ბომბის შექმნის ინიციატორმა - ბერიამ სოხუმში ამ მიზნით მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ჩავარდნილი გერმანელი მეცნიერები ჩაიყვანა, რომლებიც მანამდე ჰიტლერული გერმანიისთვის ცდილობდნენ ბირთვული იარაღის შექმნას.

გაგრძელება A8 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 რეკლამა A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 სპორტი B3 სპორტი B4 კულტურა B5 სტილი B6 TV პროგრამა B7 TV პროგრამა B8 სხვადასხვა

გუშინ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ეწვია აშშ-ს სტრატეგიული ინსტიტუტის კორპორაცია "რენდის" წარმომადგენელი რობერტ ჰანტერი. სტუმარი უშიშროების მინისტრს ხაბურძანიას შეხვდა და განაცხადა: აშშ-ში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს იმ პროცესებს, რაც საქართველოს უშიშროების სამსახურში რეფორმის, ტრანსპარანტულობისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით მიმდინარეობს.

■■■

**- უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის საქართველოში – გამყიდველებისა და მოღალატეების ქვეყანაში დაბრუნება ჯერ არ შეიძლება, თორემ რომ დაბრუნდეს, კარგ ადგილსაც დაიმკვიდრებს პოლიტიკურ სპექტრში,** –ამბობს პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" თანათავმჯდომარე ჭაჭია. **იმდენად იყიდებიან დღევანდელი პოლიტიკოსები, რომ გიორგაძის სერიოზულ წინადადებაზე ისინი მყისვე მის გარშემო შემოიკრიბებიან,** – არ ცხრება ჭაჭია.

სანამ გიორგაძე - 1995 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის ორგანიზებისთვის ძებნილი - ოპოზიციის გამაერთიანებელ ბირთვს შექმნის საქართველოში, მანამდე მას ინტერპოლი მოსკოვის გარდა ყველგან ეძებს.

■■■

**„ქვეყნისათვის გაკეთებული სასიკეთო საქმეებისთვის"** პრეზიდენტმა მედეა მეზვრიშვილს მისალოცი წერილიც გაუგზავნა და თან გამგებლად ხელმეორედ დანიშნა. თელავის პირველმა ლედიმ ძალიანაც შეიფერა დანიშვნა და ისიც დაიქადნა, რომ ძველებურად გააგრძელებს მუშაობას.

ქვეყნისთვის კი გააკეთა სასარგებლო საქმეები, მაგრამ ხალხისთვის, როგორც ჩანს, მეზვრიშვილმა ვერ მოიცალა, რადგან რაიონში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილი მისი კაბინეტის კარის აჭედვით იმუქრება.

გარდა ამისა, ტრადიციონალისტთა კავშირის თელავის რაიონული ორგანიზაცია პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების გადადგომას მოითხოვს. მედეა მეზვრიშვილის წინააღმდეგ ტრადიციონალისტების მიერ შეგროვებული ათასობით ხელმოწერა პრეზიდენტისთვის 1 ივლისს, ორშაბათის ტრადიციულ ბრიფინგზე უნდა გადაეცათ, თუმცა შევარდნაძემ მეზვრიშვილის ამ თანამდებობაზე მეორედ დანიშვნის გადაწყვეტილება უკვე მიიღო.

ახალი გამგებელი კი კახური სიდინჯით დასძენს: **"ერთი და ორი პარტია ქვეყნის ბედს არ წყვეტს".**

■■■

პანკისის ხეობაში მყოფ შეიარაღებულ ჩეჩნებში გამოცოცხლებაა. საქართველო-რუსეთის საზღვრის მიმართულებით, მთიანი ტერიტორიების გავლით, რეგიონიდან გასვლისათვის აქტიური მზადება შეინიშნება..

ჩეჩენთა 20-დან 40 კაცამდე შემადგენლობის ჯგუფები მთებში კარვებს დგამენ და საქართველოს ტერიტორიიდან გასასვლელად ემზადებიან. როგორც ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსი ავთანდილ თურქიაშვილი ვარაუდობს, **"ივლისის შუა რიცხვებამდე მათ საქართველოს ტერიტორია მთლიანად უნდა დატოვონ".**

თურქიაშვილი არ გამორიცხავს, რომ შეიარაღებულ ჩეჩნებზე გარკვეულწილად ზეგავლენა საქართველოში მიმდინარე 64 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკულმა პროგრამამ მოახდინა, რომლითაც დაახლოებით 2000 კაციანი ოთხი ქართული ანტიტერორისტული ბატალიონი მომზადდება.

■■■

რუსთავის მოსახლეობა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს თრთოლვით ელის. აქ საქმე მარტო გულშემატკივრობაში როდია.

„რელასის" გენერალური დირექტორი ვასილ კობიაშვილი აპირებს, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების შემდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართოს და გადაუხდელობის გამო, ცალკეული უბნები და კორპუსები გამორთოს.

■■■

ბევრს არც კი ახსოვს, მაგრამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდამჭერი შერეული ძალები უკვე 10 წელია დგანან. თოთხმეტ ივლისს ამ მოვლენას საზეიმოდ აღნიშნავენ ცხინვალში, სადაც მოსკოვიდან, თბილისიდან და ვლადიკავკაზიდან მოწვეულ საპატიო სტუმართა სია დგება. მართალია, პირადი შემადგენლობის დაუკომპლექტებლობის მიზეზით, საქართველო - ერთ, ხოლო - რუსეთი და ოსეთი 2-2 ასეულს გამოყოფენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ 10 წლის მანძილზე ისინი დამეგობრდნენ და **"ბატალიონებს შორის სრული ურთიერთგაგება სუფევს",** - ამბობს აღნიშნული სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი ვასილ პრიზემლინი.

■■■

გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის უშიშროების სამსახურის უფროსმა ალიკ არშბამ, ჭუბურხინჯში გამართულ მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე, ხელისუფლების დავალებით, რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა ხელმძღვანელობას ტყვარჩელის მეხუთე მაღაროსთან მდებარე 203-ე საგუშაგოზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ოფიციალურად მოსთხოვა.

მისი მტკიცებით, 13-25 ივნისს დაუდგენელმა პირებმა 203-ე საგუშაგოს რამდენჯერმე გაუხსნეს ცეცხლი.

ამავე შეხვედრაზე 20 ივნისს ოჩამჩირეს რაიონული გამგეობის შენობასა და მის წინ მდებარე სილამაზის სალონში მომხდარ აფეთქებებზე იმსჯელეს. გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ აფეთქებების გამოსაძიებლად ქართველი სამართალდამცავების საგამოძიებო პროცედურებში მონაწილეობაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ქიშმარიას მტკიცებით, ქართველი სამართალდამცავები ოჩამჩირეში მომხდარი აფეთქებების საგამოძიებო სამუშაოებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, რის საფუძვლადაც მან უსაფრთხოების ზონაში შესვლაზე აკრძალვა დაასახელა.

■■■

ამჟამად, გალის რაიონის აფხაზური მილიციის შემადგენლობაში 43 კაცია, მათ შორის 27 აფხაზი, 9 სომეხი და 7 ქართველი. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე იქ 250 მილიციელი ირიცხებოდა.

მილიციელთა უმრავლესობა ყოფილი „ბოევიკები" არიან. ისინი ნარკობიზნესით არიან დაკავებულნი და, როგორც წესი, რომელიმე კრიმინალური დაჯგუფების შემადგენლობას წარმოადგენენ.

განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში მცხოვრებ დამნაშავეთა 60 კაციანი ჯგუფი. ისინი ძარცვავენ გალის ბაზარს, მოსახლეობისგან აგროვებენ ე.წ. ხარკს, მოითხოვენ შავი და ფერადი ლითონებს, ხილის, თხილის ჩაბარებას.

გალის რაიონის ტერიტორიაზე 50 ათასზე მეტი ქვეითი და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმია დაფიქსირებული.

■■■

სამეფო უბნის თეატრში ქართველი დრამატურგების მანანა დოიაშვილის და ლაშა ბუღაძის ახალი პიესების მხატვრული კითხვა გაიმართება. საღამო რეჟისორმა დავით საყვარელიძემ დადგა.

როგორც ლაშა ბუღაძე ამბობს, საქართველოში ამიერიდან პიესების მხატვრული კითხვის ტრადიცია დამკვიდრდება.

ასე რომ, დრამატაურგები ახლა, კარგ რეჟისორებთან ერთად, კარგ დეკლამატორებსაც დაუწყებენ ძებნას.

■■■

ბათუმის მერი გიორგი აბაშიძე მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მიწვევით პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება რუსეთის დედაქალაქში. ეს ვიზიტი ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძისა და იური ლუჟკოვის შეხვედრისას დაიგეგმა.

"აბაშიძე ჯუნიორისა" და ლუჟკოვის მოლაპარაკება საქმიან ატმოსფეროში წარიმართა. მერებმა საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს.

■■■

უკანასკნელი რემონტი ოპერისა და ბალეტის თეატრში 22 წლის წინ გაკეთდა. მიწისძვრის შედეგად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საბალეტო დარბაზი დაიბზარა, თეატრალური ეზოს ქვემოთ მდებარე დარბაზები ასევე რთულ მდგომარეობაშია.

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო კომისიამ დასკვნა უკვე გამოიტანა და თუ გაეროს დახმარების პროგრამის ფარგლებში მცირე თანხებს მაინც გამოყოფენ, ოპერის თეატრი კოსმეტიკურ რემონტს საკუთარი ძალებით გააკეთებს.

■■■

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჯევითმა არ გამორიცხა თურქეთში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. უკვე თითქმის ორი თვეა, ეჯევითი ავადმყოფობის გამო თავის მოვალეობას ველარ ასრულებს, მაგრამ პირველად მხოლოდ გუშინ აღიარა, რომ მისი ავადმყოფობა პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენს. მმართველი კოალიციის წამყვანი პარტიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ეჯევითმა განაცხადა, რომ არ სურს არჩევნების დანიშვნა, მაგრამ ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს.

გუშინწინდელი სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, ეჯევითს კიდევ რამდენიმე კვირით აეკრძალა პრემიერ-მინისტრის მოვალეობების შესრულების განახლება.

მოგვიანებით ეჯევითს დანიშნული ჰქონდა შეხვედრა თურქეთის პრეზიდენტ სეზერთან, რომელზეც, შესაძლოა, რიგგარეშე არჩევნების ბედი გადაწყვეტილიყო.

■■■

გაერო-ს ატომური ენერგიის სააგენტომ გააკეთა განცხადება, რომ "ბინძური ბომბის" შესაქმნელად საჭირო რადიოაქტიური მასალები მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ადვილად ხელმისაწვდომია, ხოლო 100-ზე მეტ ქვეყანას ამის თავიდან აცილების სათანადო მექანიზმები არ გააჩნია. სააგენტოს აზრით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ქვეყნებში რადიოაქტიური მასალების მართვის ინფრასტრუქტურების შექმნასა და გაძლიერებას, რათა რადიოაქტიური მასალების სათანადო აღრიცხვიანობა და დაცულობა იყოს გარანტირებული. სააგენტოს არ დაუზუსტებია, თუ ვის გულისხმობს იმ 100 ქვეყანას შორის. თუმცა, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, კერძოდ, ყაზახეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი რადიოაქტიური მასალების "ბაზრობებად" გადაიქცნენ. რადიოაქტიური მასალების აღრიცხვიანობა და გაყონვა აშშ-სა და ევროკავშირისთვისაც პრობლემას წარმოადგენს.

"ბინძური ბომბის" საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც მაისში აშშ-ს სპეცსამსახურებმა ხოსე პადილა დააკავეს, რომელიც, მათი ინფორმაციით, ვაშინგტონში "ბინძური ბომბის" აფეთქებას გეგმავდა. "ბინძური ბომბი" ბირთვული იარაღის მსგავსი მასობრივი განადგურების იარაღი, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ მისი აფეთქების შემთხვევაში რადიოაქტიური ნივთიერებების დიდ რადიუსზე გავრცელება ხდება, რაც სერიოზულ დაავადებებს იწვევს.

ASSOCIATED PRESS, პრაიმ-ნიუსი, მედია-ნიუსი

# პირველი პარტიული დავალება

## 2003 წლის არჩევნებს განახლებული მოქკავშირი საპენსიო რეფორმით ხვდება

მაკა ჭაიანი

**"ეს არის ყველაზე დიდი ანტიკორუფციული ღონისძიება - ხელფასების ლეგალიზება, "შავი ბუღალტერიის" გაუქმება. ეს სერიოზული განაცხადი იქნება. იქნებ, დაილაპარაკოთ მსოფლიო ბანკთან, დავაჩქაროთ პროცესი. 2003 წლის ოქტომბერში არჩევნებია. სექტემბრისთვის მზად უნდა ვიყოთ,"** - ასეთი სახის პირველი პარტიული დავალება მისცა გუშინ სახელმწიფო მინისტრმა **ავთანდილ ჯორბენაძემ** მემკვიდრეს - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, მოქკავშირში ახლად გაწევრიანებულ **ამირან გამყრელიძეს**. საუბარი ეხებოდა თვისებრივად ახალ საპენსიო სისტემაზე გადასვლის პროექტს, რომელსაც დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი, რიგითი მინისტრობის დროს, დეტალურად ამუშავებდა.

პროექტი საინტერესოა. მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით - მნიშვნელოვანი. იგი საპენსიო სისტემის სადაზღვევო პრინციპებზე გადასვლას გულისხმობს. სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია უერთდება საპენსიო ფონდს და ქვეყანაში შემოდის ახალი ცნება - ერთიანი სოციალური სადაზღვევო შენატანი, რომელშიც თავს მოიყრის ყველა არსებული სოციალური გადასახადი: 27-ს პლუს 1 - საპენსიოს მხრივ, 3-ს პლუს 1 - სამედიცინო დაზღვევის მხრივ და 1 პროცენტი - დასაქმების მხრივ. ოქტომბრიდან ეს უკვე რეალობა იქნება, ოღონდ, ოდნავ სახეცვლილი. პარლამენტს ჯერ არ უმსჯელია მოქმედ კანონებში იმ ცვლილებების შეტანაზე, რომელსაც საპენსიო რეფორმა მოითხოვს და საპენსიო ფონდი იძულებულია, სოციალური გადასახადების ამოღება ისევ საგადასახადო სამსახურებს მიანდოს. ამავე მიზეზით, სავარაუდოდ, ახალ წლამდე, გაერთიანებულ სოციალურ გადასახადებს სოციალური დაზღვევის გადასახადი ეწოდება, გაერთიანებულ სოციალურ სამსახურებს კი - სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახურის ნაცვლად, სოციალური დაზღვევის ფონდი.

ყველაფერი ეს და კიდევ: დასაქმებულთა პერსონიფიცირება, რომლისთვისაც საპენსიო ფონდს 2003 წელი აქვს მიცემული და კერძო სადაზღვევო კომპანიების განვითარების ხელშეწყობა, ის პირობებია, რომელსაც საპენსიო რეფორმა უნდა მოჰყვეს. გეგმით, ეს პირობები 2004 წლისთვის უნდა დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ სახელმწიფო მინისტრმა ვადები რამდენიმე თვით შეკვეცა. ალბათ, იმისთვის, რომ მოსახლეობას წინასაარჩევნოდ ეპატაკოს, 2004 წლიდან ქვეყანაში ახალი სახის პენსიების დარიგებას ვიწყებთო. ამ განცხადების მარილი ახალი სახის პენსიის შინაარსშია. 2004 წლიდან პენსია საქართველოში ორ ნაწილად გაიყოფა. იარსებებს ყველასთვის ერთნაირი - საბაზისო პენსია და სადაზღვევო ანუ დიფერენცირებული პენსია, რომელსაც სამუშაო სტაჟისა და სახელფასო ისტორიის მიხედვით დაიანგარიშებენ. რა თანხას მიიღებს საკუთარი მოხუცებულობის უზრუნველსაყოფად პენსიაში გასული ადამიანი, სწორედ ამ ორ კრიტერიუმზე იქნება დამოკიდებული.

სადაზღვევო პენსიის გაანგარიშება სახელფასო დეკლარაციის შევსებას მოითხოვს და ფონდში მის შემოღებასაც 2004 წლისთვის ვარაუდობენ. იქ არავინ მალავს, რომ ამ ნაბიჯით სახელმწიფო რამდენიმე კურდღლის ერთად დაჭერას აპირებს. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ასე პროვოცირებულმა კონფლიქტმა ხელფასები უნდა გაათეთროს და საბიუჯეტო შემოსავლები გაზარდოს. ამას გულისხმობდა სახელმწიფო მინისტრი, როცა დიდ ანტიკორუფციულ ღონისძიებაზე საუბრობდა. ეს არ ყოფილა აღიარება - სახელმწიფო სამსახურები საქმეს თავს ვერართმევენ, "შავი ბუღალტერიის" მოსპობა ვერ შეძლეს და ხელები ახლა მოსახლეობამ უნდა დაიკაპიწოსო, თუმცა, საფუძველში ეს ძევს. თამამად შეიძლება ითქვას, უსაფუძვლოდ - საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საპენსიო რეფორმის ფონად მოამზადა, არც მინიმალური ხელფასის გაზრდას გულისხმობს და არც სოციალური გადასახადის შემცირებას.

ეს უკანასკნელი, ჯამში, 33 პროცენტს შეადგენს. რაც მეტია ხელფასი, მით მეტია გადასახადი. აქედან გამომდინარე, მეწარმის ინტერესში დაბალი ხელფასის გაფორმება შედის. ხელისუფლება მას ამის საშუალებას აძლევს. ჩვენს სახელმწიფოში, სადაც ოფიციალური საარსებო მინიმუმი 170 ლარია, მინიმალური ხელფასი კი მხოლოდ 20, დამქირავებელს ვერავინ მოსთხოვს, დაქირავებულს მაღალი ხელფასი დაუნიშნოს. სამუშაო ადგილების დეფიციტმა თავისუფლად შეიძლება, ერთი მხრივ, სამსახურის დაკარგვის, მეორე მხრივ კი, დანახარჯების გაზრდის საშიშროების წინაშე მდგარი ადამიანები ერთმანეთთან შეაკავშიროს. შედეგად, ისევ (დღევანდელი კვერცხით) იძულებით დაკმაყოფილებულ დასაქმებულებსა და, გაკოტრების შიშით, კანონის იძულებით დამრღვევ მათ დამსაქმებლებს მივიღებთ. ხელისუფალთა დანაპირები კი, ძველებურად, უხერხემლო დანაპირებად დარჩება.

# ჰაერში გატარებული წლების სანაცვლოდ

## რისთვის ემზადებიან ძველი მფრინავები?

თამარ მაისურაძე



პენსიონერი მფრინავები ემზადებიან

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

**"... მაშინ ცეკას მდივნის ხელფასი ჩვენი ჯამაგირის ნახევარს უტოლდებოდა. დღეს კი პაპიროსის ფული აღარ გვაქვს. ზემოდან ხელს არავინ გვიწვდის, ამიტომ თავად მივხედავთ თავს,"** – ასე მიესალმა სააქციო საზოგადოება "თბილისის" საერთაშორისო აეროპორტის ადმინისტრაციული დირექტორი **ტიტე კოპალეიშვილი** ვეტერან მფრინავებს.

გუშინ აეროპორტის "სპეცავტობაზის" შენობაში საზოგადოების შეკრების მიზეზი ახალი პროფკავშირების შექმნა გახლდათ. როგორც თავად აცხადებენ, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილ ვეტერან მფრინავებს გადაწყვეტილი აქვთ, სახელმწიფოს თავი შეახსენონ და აიძულონ, რომ მათ ყურადღება მიაქციონ.

**"ჩვენი ადმინისტრაცია უნდა ვაიძულოთ, რომ თანხები გამოგვიყონ, რათა დავეხმაროთ პენსიაში გასულ მფრინავებს. იმის ილუზიას ნუ შეიქმნით, რომ ოქროს სახლებს აგიშენებენ, მაგრამ ელემენტარული დახმარებისთვის თანხები უნდა გვქონდეს",** – დაპირდა 14-ლარიან პენსიაზე დარჩენილ ვეტერანებს აეროპორტის ადმინისტრაციული დირექტორი.

"ოფსაიტში" მყოფი ერთ-ერთი ძველი პროფესიის მქონე ადამიანების ბედით დაინტერესება ურიგო საქმე როდია. თუმცა, საინტერესოა, საიდან უბერავს ქარი. რადგან, აეროპორტის თანამშრომლებს, კარგა ხანია, შექმნილი აქვთ პროფკავშირი, რომელშიც 152 პროფესიის ავიამუშაკია გაერთიანებული. კიდევ არის ავიასპეციალისტთა ასოციაციაც. აქაც, როგორც პენსიონერი, ისე მოქმედი მფრინავები არიან გაწევრიანებულნი. ეს სამი, ერთი შეხედვით, სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოება ერთმანეთს მუშაობაში ხელს არ უშლის. **"მართალია, ვეტერანები ცალკე აყალიბებენ პროფკავშირს, მაგრამ მოგვიანებით ჩვენს შემადგენლობაში შემოვლენ,"** - გვითხრა ავიამუშაკების გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელმა **ვალერი შერმაზანაშვილმა,** რომელიც ვეტერანთა ახალ წამოწყებას დიდ დღეს ვერ უწინასწარმეტყველებს: **"პროფკავშირის წევრობა საწევროს გადახდას გულისხმობს. ვფიქრობ, უმეტესობა ამას ვერ შეძლებს, რადგან უმუშევრები არიან. ამდენად, ვფიქრობ ეს პრობლემა ჩვენ დაგვაწვება ტვირთად."**

და მაინც, რა საჭიროა ამდენი პროფკავშირი, რისთვის ერთიანდებიან და ემზადებიან? – ამბობს იგი.

**"პროფკავშირებზე რომ ამბობთ, ამდენი პარტია გვჭირდება? 45 წელია, აქ ვმუშაობ, 37 წელი ჰაერში გავატარე, არ ვარ ნორმალური სიბერის ღირსი? რაღაცას ვიზამთ, რაღაცას მივაღწევთ,"** – გვითხრა ერთ-ერთმა ვეტერანმა მფრინავმა, თუმცა, რა გზებით აპირებენ ყურადღების მიქცევას, აღარ დაუკონკრეტებია.

# სანაძეს მოხსნიან, გაუმარჯოს სანაძეს?!

გიორგი გახელაძე

ნეტავი, გენახათ, რა ფორიაქნარევი კმაყოფილებით სავსე სახე ჰქონდა განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს, როდესაც კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნა საბოლოოდ დაადასტურა. ვლადიმერ სანაძე სახელმწიფოს მთავარი რევიზორებისა და განმანათლებელი კოლეგების წინაშე, საათნახევრის განმავლობაში მარტო ეპაექრებოდა ინსპექტორებს თამაზ ხაინდრავასა და ვაჟა ხმალაძეს. ის პრაქტიკულად არც ერთ ბრალდებას არ დაეთანხმა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სულხან მოლაშვილი ამ "შეჯიბრებაში" არ ჩარეულა. ბოლოს, საკუთარ თანამშრომლებს "გასაგები ქართულით მეტყველებისკენ ან გაჩუმებისკენ" მოუწოდა. სანაძეს გული მიეცა და კონტრშეტევაზე გადავიდა. მაგრამ აქ მთავარ რევიზორს "მუნდირის ღირსება" გაახსენდა და გამარჯვების განცდით თავბრუდახვეულ მინისტრის მოადგილეს უხერხული კითხვები დაუსვა:

**თუ არის შემოწმების შედეგებში რაიმე ნაწილი, რომელსაც ეთანხმებით?**

სანაძე შეცბა. განელებულმა, უკვე შემოწმების სარგებლობასა და რევიზორებთან ბუნებრივ თანამშრომლობაზე ზოგადი საუბარი დაიწყო. **"უმნიშვნელო ხარვეზების გამოსასწორებელი ღონისძიებების დასახვაც"** ახსენა.

**"მე არ ვეჭიდები სკამს. თუ ვერ დავამტკიცე ჩემი სიმართლე, უპრობლემოდ წავალ. მაგრამ განათლების სისტემას, ალბათ, ვერ დავტოვებ,"** – გულს იჩუყებდა სხდომის შემდეგ მინისტრის მოადგილე.

მოკლედ, განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს, ბოლოს და ბოლოს, მოხსნიან. იქნება ცოტაოდენი ხმაური. ვლადიმერ სანაძე ღრმად ამოისუნთქავს და ენერგიულად შეუდგება "სასკოლო განათლების გარდაქმნასა და განმტკიცებას".

და კიდევ ერთი "უმნიშვნელო" დეტალი: ცნობილი 60-მილიონიანი კრედიტის განმკარგავი საკოორდინაციო ბიურო ახლა განათლების სამინისტროს სტრუქტურული ერთეულია. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიო ბანკმა და საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტეს, რომ "მეტი მოქნილობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობისთვის" ეს ბიურო ცალკე იურიდიულ პირად ჩამოეყალიბებინათ. შესაბამისად, მისი მომავალი ხელმძღვანელის ვაკანსიაზე კონკურსიც გამოაცხადეს. ჰოდა, აპრილის ბოლოს ეს კონკურსი უკვე მოგებული ჰქონდა ბატონ სანაძეს. საკრედიტო ხელშეკრულება ამ ბიუროს, პრაქტიკულად, მსოფლიო ბანკს უქვემდებარებს და აქაურ მაკონტროლებლებს ამუხრუჭებს.

# სახელმძღვანელოების თეთრი და შავი ბაზარი

დალი კუპრავა

გუშინ პედაგოგიკის ინსტიტუტში მოეწყო იმ გამომცემელთა შეხვედრა, რომლებიც სასკოლო წიგნების გამოსცემენ. შეხვედრის მიზანი იყო, განათლების სამინისტროს წარმომადგენლის თანდასწრებით დაეფიქსირებინათ თავისი პრობლემა და სამინისტროს მორალური და ფინანსური პასუხისმგებლობა აეღო მათ ზარალზე, ანუ ეღიარებინა დაშვებული სასკოლო სახელმძღვანელოების უკანონო ნუსხა.

შეხვედრას სამინისტროს არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა.

გამომცემელმა ბაკურ სულაკაურმა თქვა, რომ სახელმძღვანელოების ბიზნესი დღეს საქართველოში ყველაზე სარფიანი საგამომცემლო საქმეა. აქედან გამომდინარეობს განათლების სამინისტროს საქმიანობის მიმართ ინტერესიც. გამომცემელს სურს, გამოსცეს ის სახელმძღვანელო, რომლით სარგებლობაც გარანტირებულია.

ამგვარი გარანტია შეიძლება იყოს განათლების სამინისტროს მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა, რომელიც წლეულს, 10 ივნისს გამოქვეყნდა.

"რუსეთში შარშან, დეკემბრის დასაწყისში გამოაქვეყნეს სახელმძღვანელოთა ჩამონათვალი, რამაც გამომცემელთა აღშფოთება გამოიწვია. საერთოდ კი, რუსეთის გამომცემლებმა 1 ოქტომბერს უკვე იციან აგვისტოში ბაზარზე გასატანი სახელმძღვანელოები და 11 თვეში აკეთებენ იმას, რასაც ჩვენი გამომცემლობები - 2-3 თვეში", - თქვა გამომცემლობა "ლამპარის" ხელმძღვანელმა გია მგალობლიშვილმა.

სახელმძღვანელოების შესარჩევ კონკურსს ატარებს განათლების სამინისტრო სოროსის ფონდთან ერთად. ეს უკანასკნელი აფინანსებს საგანში შერჩეული ორი სახელძღვანელოს 500 ეგზემპლარის დაბეჭდვას და, მათი სკოლებში აპრობაციის შემდეგ,

როგორც გამომცემლობა "ინტელექტის" დირექტორმა კახა კუდავამ თქვა, სახელმძღვანელოების ჩამონათვალში დარღვეულია განათლებისა და იუსტიციის სამინისტროების მიერ ხელმოწერილი, კანონის ძალის მქონე დებულება. კერძოდ, დაშვებული არ უნდა იყოს საგანში ორზე მეტი სახელმძღვანელო და სახელმძღვანელო, რომელსაც შესარჩევი კონკურსი არ გაუვლია.

გამომცემლებს არ უნდათ, არგუმენტად მიიღონ "გარდამავალი დრო" და განაწყენებული ავტორების ემოციები. ისინი კანონის დაცვას მოითხოვენ, რაც თანაბარ მდგომარეობას შეუქმნის გამომცემლობებს და მათ გაკოტრებას არ შეუწყობს ხელს.

"სწორი, დებულების შესაბამისად, ჩამონათვალის გამოქვეყნება სამინისტროს პრეროგატივაა და იმედი მაქვს, რომ შეცდომის გამოსწორება შესაძლებელია. უახლოეს დროში ჩვენ უზრუნველვყოფთ სამინისტროსა და გამომცემლობების შეხვედრებს და, ვფიქრობთ, საკითხი მოგვარდება. განათლების სფეროში მნიშვნელოვანია, პრობლემური საკითხები შეხვედრებით და პოლემიკით წყდებოდეს", - განაცხადა სოროსის ფონდის სახელმძღვანელოების გამოცემის პროგრამის კოორდინატორმა გიორგი გაბაშვილმა, რომელსაც დაეთანხმნენ მისი უშუალო შეფიც - მიხეილ ჩაჩხუნაშვილი და შეხვედრის მონაწილენიც.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ზესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ზექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჭოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# დავით თევზაძე: მე ამას ხუმრობის გარეშე ვამბობ...

ვერიკო თევზაძე

*გუშინ ვაზიანში, საგანგებოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის* ДАВИТ ТЕВЗАДЗЕ

*გუშინ ვაზიანში, საგანგებოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძისა და თბილისში მყოფი უცხოელი სამხედროებისთვის, გაიმართა "ბესტ ეფორტ - 2000"-ის სწავლებების პროგრამით გათვალისწინებული თამაშები. ქართველი ჯარისკაცები გამორჩეულად აზარტულები იყვნენ. მაგალითად, ერთ-ერთი "დაჭრილი" ქართველი ჯარისკაცის რეაქციებზე რამდენიმე რეპორტიორი უნებლიედ შეკრთა და წამიერად ყველას დაავიწყდა, რომ ეს მხოლოდ თამაშია.*

პარლამენტარი გიორგი ბარამიძე ნატოს წვრთნებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს: **"ამ ღონისძიებამ გვიჩვენა, რომ თუ ქართულ ჯარს ნორმალურ პირობებს შევუქმნით, ის დიდ პოტენციალს გამოავლენს. მთავარია, სახელმწიფომ სერიოზულად იზრუნოს პროფესიული არმიის ჩამოყალიბებაზე. ამას საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ჩვენ აფხაზეთი გვაქვს დასაბრუნებელი..."**

ბარამიძე იმედოვნებს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში საქართველოს პრეზიდენტი ქართული ჯარის განვითარებისათვის 33 მილიონი ლარის ნაცვლად, სულ ცოტა 73 მილიონს მაინც გამოყოფს.

– საქართველოში ნატოს წვრთნები ზედიზედ ორი წელია ტარდება, მსგავსი პრეცედენტი ამ ორგანიზაციას არც ერთი ქვეყნის მიმართ არ დაუშვია, რით ახსნით ნატოს ასეთ დაინტერესებას საქართველოთი? – 24 საათის" ამ შეკითხვაზე ბარამიძემ უპასუხა: **"თავად საქართველოს აქტიურობა იძლევა ამის საშუალებას. ჩვენი მეზობლებისგან განსხვავებით, ექვსი-შვიდი წლის წინ გადავდგით სასიკეთო ნაბიჯები ნატო-სთან აქტიური თანამშრომლობისთვის. სხვათა შორის, საქართველოზეა დამოკიდებული, რამდენ ხანში გახდება ნატო-ს წევრი. 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ ნატო, პრაქტიკულად, მზად არის, თავის რიგებში მიიღოს სახელმწიფოები კავკასიის რეგიონიდან და, გნებავთ, ცენტრალური აზიიდან..."**

სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სამედიცინო დახმარების განყოფილების უფროსის, მაიორ ჯონ კეისის განცხადებით, ნატო-მ საქართველოს, როგორც სამშვიდობო სწავლების მასპინძელს, მადლობის ნიშნად ერთგვარი ჟესტი გაუკეთა - სამხედროებთან ერთად სამ პოლიკლინიკაში (ვაზიანის დასახლებაში, დაბა წყნეთსა და თავად დედაქალაქში) მოსახლეობასაც აღმოუჩინეს ამბულატორიული დახმარება. სულ 1001 პაციენტი გასინჯეს. **"პაციენტებს ყველაზე დიდი მოთხოვნა რვაკაციან ექიმთა ჯგუფში მყოფი ერთადერთი სტომატოლოგისადმი ჰქონდათ",** - ეს ისე, სხვათა შორის, შენიშნა ჯონ კეისმა...

საქართველოს თავდაცვის მინისტრი კმაყოფილია სამშვიდობო სწავლებით: **"ქართველი ჯარისკაცები არამარტო პასუხობენ ნატოს სტანდარტებს, ზოგიერთ პოზიციებში უსწრებენ კიდეც, - განაცხადა თევზაძემ და, რატომლაც, იქვე დასძინა, - მე ამას ხუმრობის გარეშე ვამბობ."**



*"ზესტ-ექორტი" - სპეციალური სტუმრების დღე.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# ევროსაბჭო ჩეჩნების და თურქი-მესხების „შენახვას" გვთხოვს

## საქართველო "გარდამავალი დემოკრატიის" ქვეყანა?!

პირველი გვერდიდან

აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით მიმართავს.

ევროსაბჭოში გამოსვლისას საქართველოს დელეგაციამ ხაზი გაუსვა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილთა მეტად მძიმე მდგომარეობას, აღნიშნა, რომ რუსი სამშვიდობოები გალში ვერ უზრუნველყოფენ ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოებას. ქართული დელეგაციის წევრმა ზურაბ ჟვანიამ თავის გამოსვლაში დასვა აფხაზეთის საკითხებში ევროსაბჭოს სპეციალური მომხსენებლის დანიშვნის აუცილებლობის საკითხი.

ქართულმა დელეგაციამ პროტესტი გამოთქვა რუსეთის სათათბიროს მიერ მიღებულ კანონთან "მოქალაქეობის შესახებ" დაკავშირებით. ამ კანონით ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მოქალაქეებს რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების უფლება ეძლევათ.

საქართველოს დელეგაციამ ევროსაბჭოსაგან ამ საკითხზე რეაგირება მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე წარგზავნილ საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ პარლამენტარები ელენე თევდორაძე, ფიქრია ჩიხრაძე, ნათელა პატარქალიშვილი, ზურაბ ჟვანია და არმაზ ახვლედიანი.

გუშინდელ განხილვას წინ უძღოდა ქართული დელეგაციის წევრების განცხადებები საქართველოში 2 ივნისს გამართულ არჩევნებთან დაკავშირებით.

ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა ქართულ არჩევნებს ცალსახად უარყოფითი შეფასება მისცეს და საქართველოში საარჩევნო პროცესების დეგრადაციის გზით წასვლას გაუსვეს ხაზი.

მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოში დაბრუნებული დელეგაციის წევრი არმაზ ახვლედიანი ირწმუნებოდა, რომ ქართული დელეგაციის შემადგენლობაში ძირითადად ოპოზიციის წარმომადგენელთა ყოფნამ და მათთვის საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენების შანსის მიცემამ, ევროსაბჭოს წარმომადგენლები დაარწმუნა, რომ **"საქართველოში ჩვეულებრივი, გარდამავალი ქვეყნისთვის დამახასიათებელი ტენდენციები ვითარდება"**.

# სამეგრელო მღელვარებამ მოიცვა

## ხალხი დანიშნული გამგებლების წინააღმდეგ

ეკა ბაძაღუა

დანიშნული გამგებლებისა და მათი ლობისტების წინააღმდეგ სამეგრელოში მასობრივი გამოსვლები დაიწყო. ბონდო ჯიქიას გადადგომის მომხრეთა საპროტესტო აქციებმა ჯაჭვური ხასიათი მიიღო და მთელ სამეგრელოს მოედო. ჩხოროწყუს, მარტვილის, ხობის, აბაშისა და სხვა რაიონებში საპროტესტო აქციები იმართება.

სამეგრელო-ზემოსვანეთის გუბერნატორის აქტიურობითა და შუამდგომლობით, ჩხოროწყუს გამგებლად დაინიშნა ალექსანდრე პერტაია. მისი გვარი საერთოდ არ ფიგურირებდა გამგებლობის იმ სამ კანდიდატს შორის, რომლებიც ხალხის მოთხოვნით იყვნენ დასახელებულნი. პერტაიას კანდიდატურა საკრებულოსთან შეუთანხმებლად, დამოუკიდებლად გაჩნდა და, ჯიქიას წარდგინებით, პრეზიდენტმა დაამტკიცა. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, 26 ივნისს, საღამოს შვიდის ნახევარზე, ბონდო ჯიქიამ და ალეკო პერტაიამ სოფელ ჯიხაშკარში "საქმის გასარჩევად" დაიბარეს გამგებლობის სამი კანდიდატი. მოლაპარაკებას დაესწრო ორი კანონიერი ქურდი, კანდიდატებიდან კი - მხოლოდ გოჩა ლემონჯავა და ბესო სარია. მესამემ, როგორც ამბობენ, შეხვედრას თავი აარიდა და დანიშნული ადგილიდან გამობრუნდა. მოლაპარაკებაზე "საკითხი" შემდეგნაირად დაისვა: კანდიდატებს თავიანთი მომხრეები უნდა დაემშვიდებინათ, მხარი დაეჭირათ პერტაიასთვის და, სანაცვლოდ, მათ ბიზნესის წარმართვაში ხელს შეუწყობდნენ (იგულისხმება ნავთობისა და ხე-ტყის რეალიზება). მოწინააღმდეგე მხარემ პრინციპული მოთხოვნა არ მიიღო. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. გუბერნატორმა ალეკო პერტაიას მისი თანმხლები სპეციალური რაზმი გამოაყოლა. მათ პოლიციასთან ერთად დაარბიეს გამგეობის შენობასთან შეკრებილი აქციის მონაწილეები. ამის შემდეგ ხალხი ბონდო ჯიქიას გადადგომას მოითხოვს. პერტაიას კი მოსაფიქრებლად დღეს საღამომდე აქვს დრო. ის გამგეობის შენობაში მხოლოდ ამ პირობით შეუშვეს. აქცია ჩხოროწყუში გრძელდება. შენობასთან ოცდაათამდე მონაწილეა, აქედან ხუთმა ორი დღის წინ შიმშილობა გამოაცხადა. გავრცელებული ინფორმაციით, ალეკო პერტაია მომხრეებს აგროვებს, რათა აქციის მონაწილეებს დაუპირისპიროს.

საპროტესტო აქცია აბაშაშიც გრძელდება. აქაც, ანალოგიურად, ბონდო ჯიქიას და მისი წარდგინებით დანიშნული გამგებლის, სოსო ჭანტურიას, გადადგომას მოითხოვენ. აქცია ორი დღის წინ დაიწყო. დღეს დილიდან მონაწილეები რკინიგზის გადაკეტვას აპირებენ. აქციას ხელმძღვანელობს ზაურ თოდუა. სოსო ჭანტურია 1992 წლიდან 1997 წლამდე "პატრონობდა" რაიონს. იგი ხალხის მოთხოვნით გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან, ამის შემდეგ ჭანტურია კენჭს იყრის საპარლამენტო არჩევნებში და პარლამენტის წევრი ხდება. მის წინააღმდეგ განიხილეს სარჩელი არჩევნების გაყალბების შესახებ.

გუშინ ხობში ყოფილი და ახლადდანიშნული გამგებლის ანზორ მიქავასა და გუბერნატორის წინააღმდეგ გამოვიდნენ. საკრებულოს წევრებმა მჯდომარე აქცია მოაწყვეს. მათ დეპუტატებთან, კოტე კემულარიასთან და ბესო ლაგვილავასთან, შეხვედრა და საკითხის პარლამენტში გატანა სურთ. გროვდება ხელმოწერები მიქავასა და ჯიქიას თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით. გუშინ საღამომდე 900-მდე ხელმოწერა შეგროვდა. თუ არ დაკმაყოფილდა მოსახლეობის მოთხოვნები, ხობის 25- კაციანი საკრებულო უვადო შიმშილობას აცხადებს. გუბერნატორი კი ირწმუნება, რომ მათი გამოსვლები უშედეგოა.

არავინ იცის, რა მოხდება ზუგდიდში. იქ არჩევნების მეორე რაუნდის ჩაშლაზე უკვე საუბრობენ. როგორც ჩანს, ეს გარკვეულ ძალებს ხელს აძლევთ, რადგან, არჩევნების მეორედ ჩაშლის შემთხვევაში, ცხადდება სახელისუფლო მმართველობა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მისთვის სასურველ ნებისმიერ კანდიდატს დაამტკიცებს. ამჯერადაც ბონდო ჯიქიას სურვილითა და წარდგინებით ზუგდიდის გამგებლად დაინიშნა ნუგზარ ანთელავა. მისი განცხადებით, ის არჩევნების ჩაშლას არ დაუშვებს.

**"ხელისუფლება შეიძლება უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდეს. ზუგდიდში მოსალოდნელია მათთვის არასასურველი კანდიდატის გამარჯვება. ხალხს გამარჯვებული სურს და არა — დანიშნული. ამან გამოიწვია გამოსვლები, ეს კი ხელისუფლებისთვის, სამწუხაროდ, ჭკუისსაწავლებელი არ აღმოჩნდა და იგივე გაიმეორა სხვა რაიონში,"-** განაცხადა "24 საათთან" საუბარში რომან კუსიანმა.

ზუგდიდში ბონდო ჯიქიას საწინააღმდეგო მიტინგი გამართეს აფხაზეთიდან დევნილებმაც. გუბერნატორის გადადგომა მოითხოვეს ახლადშექმნილი საზოგადოებრივი მოძრაობის - "ბრძოლა სამართლიანობისათვის" - წევრებმაც.

# „ნაციონალები" ქუჩაში გამოდიან

## პოლიცია კომენტარს არ აკეთებს

პირველი გვერდიდან

დაბრუნდა თბილისში. მოვლენების უკიდურესად გამწვავებას სწორედ დღეიდან ელიან. თანაც დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ თბილისში სოციალური ვითარების დაძაბვა სწორედ პოლიტიკური პროცესების გამოძახილია.

**"დღეს შევარდნაძესთან მხოლოდ კორუმპირებული ხალხი დგას. უკვე არ არის იმის დრო, რომ ინტელექტუალური რესურსი არ გამოვიყენოთ შევარდნაძის ძირმომპალი რეჟიმის საწინააღმდეგოდ. მე მივმართავ ყველას, ვისაც აქვს პრეტენზია წესიერებაზე, მიატოვოს შევარდნაძის რეჟიმთან ღია თუ ფარული თანამშრომლობა. ჩვენ დავიწყებთ ძალიან დიდ საპროტესტო აქციებს, ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერც რუსეთის ზეწოლა, რომელიც ჩვენს მიმართ გამოიყენეს. აზრი კი ასეთია – გაზს გამოგირთავთ, თუკი საკრებულო ამუშავდება და სააკაშვილი მისი თავმჯდომარე გახდება. ისინი ჩვენ ამით გვემუქრებიან. მუქარა როგორი უნდა, ამას ახლა ნახავენ. არავის არ შევუშინდებით. ჩვენ შეგვწევს ძალა, აღარ მივცეთ მათ შანსი, ჩვენს ხარჯზე, ფუფუნებაში ცხოვრებისა. ამიტომაც ეს დიდი ბრძოლის დასაწყისია. ან ქართველები გავიმარჯვებთ, ან – შევარდნაძე."**

ამ ფონზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ "ნაციონალური მოძრაობისა" და ლეიბორისტების პოზიციები სულ უფრო სცილდება ერთმანეთს. თუკი შალვა ნათელაშვილი "თავდაუსხმელობის პაქტს" არ ცნობს და მიხეილ სააკაშვილს შევარდნაძის მსახურად ნათლავს, "ნაციონალები", ჯერჯერობით, სიმშვიდეს ინარჩუნებენ. თუმცა, ალბათ, მცირე ხნით - ორივე გამარჯვებული პოლიტიკური ძალა დღეს უკვე საპირისპირო პოზიციებზე დგას. ნათელაშვილს ერთი მანდატის დაკარგვაც კი არ სურს მაშინ, როცა "ნაციონალების" მიზანი არჩევნების შედეგების მთლიანი და სრული რევიზიაა.

ერთი რამ კი მათ აშკარად აერთიანებთ - ორივე მხარე პრეზიდენტს და მის გარემოცვას უტევს. გუშინ "ნაციონალებმა" შევარდნაძესთან ფარულ ალიანსში ეროვნულ-დემოკრატები და მათი ლიდერი ირინა სარიშვილი დაადანაშაულეს. ედპ–ს სარჩელი, დავით ბერძენიშვილის მტკიცებით, **"საკრებულოს ამოქმედების ვადის გადაწევის საბაბი გახდა"**.

"ნაციონალებს" ასევე არ სჯერათ ლადო ჭანტურიას უზენაესი სასამართლოსი, **"რომელიც ამ ბოლო დროს ხელისუფლების, უფრო ზუსტად კი შევარდნაძისა და ჯორბენაძის, უშუალო დაკვეთის შემსრულებლად მოევლინა საზოგადოებას"**.

როგორც "24 საათს" ზვიად ძიძიგურმა განუცხადა, **"უკვე იხაზება მასობრივი გამოსვლების გეგმა, რომელიც აუცილებლად გამარჯვებით დასრულდება"**.

თავის მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიტიკოსების ამ გამოსვლებზე ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებს. სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელის პაატა გომელაურის თქმით, **"უწყებაში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველო, რომელიც, ვითარების დაძაბვის შემთხვევაში, სიტუაციიდან გამომდინარე იმოქმედებს"**.

და ბოლოს: "ნაციონალებმა" საოლქო სასამართლოს შენობის წინ საპროტესტო აქცია მაშინ დაიწყეს, როცა ჯერ არ იყო ცნობილი მოსამართლის გადაწყვეტილება სარჩელის უზენაეს სასამართლოში გადაგზავნის თაობაზე. ამას ვანო მერაბიშვილი შემდეგნაირად ხსნის: **"სარჩელის წარმოებაში მიღებაზე მსჯელობა საჯარო უნდა ყოფილიყო. ეს პროცედურა დახურული აღმოჩნდა. თანაც მოსამართლემ გამოგვიცხადა, რომ სარჩელს აუცილებლად გადააგზავნიდა უზენაეს სასამრათლოში. სწორედ ამის მერე დავიწყეთ საოლქოს ეზოში საპროტესტო აქცია"**.

# რეგიონული ელიტა გადახალისდა

## ვინ არის ამით კმაყოფილი და ვინ - უკმაყოფილო?

გიორგი ასანიშვილი

2 ივნისის არჩევნების შემდეგ, ქვეყნის რეგიონული ელიტა საგრძნობლად გადახალისდა. თუ 2002 წლის 1 იანვრიდან 31 მაისამდე სულ 10 რაიონში (წალენჯიხა, ხაშური, ონი, ადიგენი, თერჯოლა, ლენტეხი, სიღნაღი, ტყიბული, ზუგდიდი და ფოთი) შეიცვალნენ მერები და გამგებლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დამთავრებისთანავე, საკადრო "წმენდა" გაცილებით სწრაფი ტემპებით წავიდა - დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ახალი გამგებლები დაინიშნენ: ახმეტაში (ნიკოლოზ ალავიძე), გურჯაანში (გელა ბიწკანაშვილი), ყვარელში (თემურ ბერიანიძე), კასპში (ოთარ ჭეიშვილი), თერჯოლაში (ბეჟან ბუცხრიკიძე), ბორჯომში (ზაზა ჯოხაძე), ასპინძაში (ანზორ სანდროშვილი), აბაშაში (სამსონ ჭანტურია), სენაკში (გურამ მისაბიშვილი), ამბროლაურში (იოსებ ჭიღვარია), ლენტეხში (გოგი ონიანი) ... ბევრგან კი (იმერეთის, გურიის და მცხეთა-მთიანეთის მხარეების ზოგიერთ რაიონში) ჯერ ისევ ბუნდოვანი სიტუაციაა, საკადრო საკითხების გადაწყვეტა ჭიანურდება და ამიტომ, რეგიონული ლიდერების სრული ნუსხა ცოტა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

რაც შეეხება რეგიონული ხელმძღვანელების პარტიულ კუთვნილებას, ამ კუთხითაც, ჯერჯერობით, ბევრი გაურკვევლობაა, რადგან 2 ივნისის არჩევნებში გამგებლების უმეტესობა დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მონაწილეობდა. ბევრ კითხვას, ალბათ, მოქალაქეთა კავშირის ფორუმის შემდეგ გაეცემა პასუხი, როდესაც რეგიონული ელიტის დიდი ნაწილი ამ პარტიის წევრობას, სავარაუდოდ, უკვე ღიად დააფიქსირებს. წინასაყრილობო რუტინაში ჩათრეული "მოქალაქეები" ირწმუნებიან, რომ ჯერ არ იციან, 2 ივნისს როგორი "მოსავალი" მიიღეს და რაიონებში თავიანთი თანაპარტიელი გამგებლების ვინაობას ვერ ასახელებენ.

მათგან განსხვავებით, საკუთარი წარმატებების შესახებ ღიად საუბრობენ "ახალი მემარჯვენეები" და სოციალისტები. ვახტანგ რჩეულიშვილის გუნდი ხმამაღლა აცხადებს, რომ უკვე "თავისი კაცი" ჰყავს გამგებლად თერჯოლაში (ბუცხრიკიძე) და ყვარელში (ბერიანიძე). ეს უკანასკნელი 2 ივნისის არჩევნებში, მართალია, დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მონაწილეობდა, მაგრამ სოციალისტები არ მალავენ, რომ ეს ფორმალობა იყო და ბერიანიძე მათი "კოლექტივის" წევრია. სოციალისტების აქტივშია ისიც, რომ ყვარლის ახალი მერი და ბორჯომის ასოცირებული საკრებულოს თავკაციც მათი პარტიის წარმომადგენლები არიან.

2 ივნისს ქვეყნის მასშტაბით (დედაქალაქის გარდა) "ახალი მემარჯვენეების" გამარჯვებაზე უკვე არაერთხელ ითქვა. "ახლების" მიერ მოპოვებული წარმატების შედეგობრივი მხარე კი ასეთია: "საკუთარი" გამგებლები ასპინძასა და ბორჯომში და მერები - ქუთაისსა და გორში.

მათგან განსხვავებით, თავს დაჩაგრულებად გრძნობენ "მრეწველები" და "ტრადიციონალისტები". ზურაბ ტყემალაძის თქმით, ადგილობრივ არჩევნებში მისმა პარტიამ წალენჯიხის, სენაკის, ბორჯომის და რიგ სხვა საარჩევნო ოლქებში კარგ შედეგებს მიაღწია, ექვს საკრებულოში თავმჯდომარედ მისი თანაპარტიელი აირჩიეს, მაგრამ არა აქვს იმედი, რომ რომელიმე "მრეწველს" სადმე გამგებლად დანიშნავენ.

ტყემალაძის მსგავსად, ტრადიციონალისტთა ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძეც აცხადებს, რომ იმერეთის რეგიონში, კერძოდ, ზესტაფონსა და ვანში მათი კანდიდატების წარმატება თანამდებობებზე ახალი კადრების დანიშვნისას არავინ გაითვალისწინა. მას სასაცილოდაც არ ჰყოფნის იმის წარმოდგენა, რომ ტრადიციონალისტთა წარმომადგენელს რომელიმე რაიონში გამგებლად დანიშნავენ.

# ჭიათურელი მაღაროელები კუთვნილ ხელფასს ითხოვენ

„ჭიათურმანგანუმის" პატარიძის, ლენინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროების მუშა-მოსამსახურეები, მშრომელთა თავისუფალი პროფესიული კავშირის - „სოლიდარობის" მხარდაჭერით, საპროტესტო აქციას გამართავენ. მაღაროელები სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვენ. რამდენიმე დღის წინათ გაირკვა, რომ მუშები ხელფასს ვერ მიიღებენ, რადგან „ჭიათურმანგანუმის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, იანგი შეყილაძის თქმით, გაყიდული მანგანუმიდან შემოსული თანხა პირდაპირ იმ ბანკის ანგარიშზე დაჯდა, რომლის ვალიც ქარხანას ჰქონდა.

„სოლიდარობის" თავმჯდომარე შმაგი ქემერტელაძე აცხადებს, რომ, თუ მაღაროელთა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, აქცია მასობრივ ხასიათს მიიღებს, მას სოლიდარობას გამოუცხადებენ დანარჩენ რეგიონებში განლაგებული საწარმოების მუშა-მოსამსახურეები და ზესტაფონისა და თერჯოლის ელექტროქსელები.

ხვალვე, მაღაროელებთან ერთად, პროფკავშირ „სოლიდარობის" ეგიდით, გაიფიცებიან ჭიათურის ელექტროქსელები, რომლებიც რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანების დაფარვას მოითხოვენ.

*მედია-ნიუსი*

# WorldCom-ის თაღლითობის პირველი სავალალო შედეგი

ბირჟაზე ვაჭრობის დაწყებისთანავე, ინდექსები, რომლებიც ამერიკული აქციების უმრავლესობის მდგომარეობას ასახავს, მკვეთრად დაეცა. კერძოდ, Dow Jones-ის ინდექსი ას პუნქტზე მეტით დაეცა. ასეთი მაჩვენებლი ოქტომბრის შემდეგ არ დაფიქსირებულა.

ბუნებრივია, ეს ახლახან მომხდარი ფინანსური სკანდალის შედეგია, რომელშიც ერთ-ერთი უდიდესი ამერიკული კომპანია WorldCom გაეხვია. ინდექსების დაცემას წინ რამდენიმე საათით ადრე კორპორაციის სკანდალური აღიარება უძღოდა, რომ ადგილი ჰქონდა მრავალმილიარდიან ფინანსურ თაღლითობას. როგორც გაირკვა, 2001 წლის იანვრიდან 2002 წლის მარტამდე კომპანიის საბუღალტრო წიგნში შემოსავლები 3.8 მილიარდი დოლარით იყო "გაბერილი". შეგახსენებთ, რომ WorldCom-ი აშშ-ში სიდიდით მეორე საერთაშორისო სატელეფონო კავშირების კომპანიაა. მისი ფინანსური მაქინაციები ექსპერტებმა გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად შეაფასეს, ვიდრე "ენრონის" ცნობილი სკანდალი. ამის შედეგად, ეჭვობენ, რომ კორპორაციული ამერიკის მიმართ ინვესტორების ნდობას კიდევ მეტად შეუდგება წყალი. პირველი შედეგი კი, რაც WorldCom-ის სკანდალს მოჰყვა, საფონდო ბირჟებზე დაფიქსირებულ პრობლემებში აისახა. ყველაზე მეტად იზარალა იმ კომპანიების აქციებმა, რომლებიც სატელეკომუნიკაციო სფეროში მოღვაწეობენ.

# კანცელარიის 100 თანამშრომელს დაითხოვენ

სახელმწიფო კანცელარიის ოპტიმიზაციის პროექტის გახორციელებას, რომელსაც პრეზიდენტი შევარდნაძე ხელს უახლოეს ორ კვირაში მოაწერს, აპარატის 100 თანამშრომელი შეეწირება. როგორც „მედია-ნიუსს" პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ აკაკი ზოიძემ უთხრა, ოპტიმიზაციის პროექტი მთლიანად კანცელარიის როლის ამაღლებას, აპარატში პარალელიზმის აღმოფხვრას, მოქნილი და ოპტიმალური სტრუქტურების შექმნას ითვალისწინებს.

მისივე თქმით, პროექტი შემუშავებულია ქართველი და შვედი ექსპერტების მონაწილეობით.

პროექტის გახორციელებისას კანცელარიის თანამშრომლები შესაბამის ატესტაციას გაივლიან, რის შემდეგაც 417 თანამშრომელთაგან 100-ს სამსახურიდან დაითხოვენ, სამსახურებს კი დეპარტამენტები შეცვლის. აკაკი ზოიძის თქმით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ცალკე სტრუქტურად არ ჩამოყალიბდება და იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის შემადგენელ ნაწილად დარჩება.

*მედია-ნიუსი*

# პავლიაშვილს „თბილგაზელთა" ზღაპრების არ სჯერა

სოფიკო ოხანაშვილი

**"თბილგაზის" რესტრუქტურიზაციას 75 მილიონი აშშ დოლარი სჭირდება, სახელმწიფოს ასეთი თანხების გაღება არ შეუძლია, ამიტომ უნდა დავაჩქაროთ "თბილგაზის" პრივატიზება",** - განაცხადა გუშინ ქონების მართვის მინისტრმა. სოლომონ პავლიაშვილი "თბილგაზის" მდგომარეობას უიმედოდ მიიჩნევს.

ქონების მართვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ებრაულ კომპანია "ტაჰალთან" მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება. ამჟამად, ქართული მხარე ხელშეკრულების პირობებს ეცნობა.

**"ყოველდღე ვიკრიბებით და ვმსჯელობთ ამ საკითხთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში ბევრი რამ შესათანხმებელია, ბევრი ცვლილებაა შესატანი. ჩვენი სტრატეგიაა ინვესტიციის მოზიდვა, მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ორივე მხარის ინტერესები იქნას დაცული. ზოგადად, ხელშეკრულების ფორმა ჩვენთვის მისაღებია. ჩვენს მიერ შემუშავებულ შენიშვნებს "ტაჰალს" ხვალ ან ზეგ გავუგზავნით",** - აღნიშნა მინისტრმა და ჯერჯერობით შეუთანხმებელ საკითხებს შორის გაზის ტარიფიც მოიხსენია.

სოლომონ პავლიაშვილი არ ეთანხმება "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას იმ განცხადებას, რომ თუ "საქგაზი" "თბილგაზს" გაზის მიწოდებას განუახლებს, ბუნებრივ აირს მოსახლეობა თვენახევრის განმავლობაში მაინც ვერ მიიღებს. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ასევე არარეალურად მიაჩნიათ გაზის დანაკარგების 60-70-პროცენტიანი მაჩვენებელი.

# „რუსთავგაზი" შეიძლება გაიყიდოს

მაია მოსიაშვილი

რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ სააქციო საზოგადოება "რუსთავგაზის" საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადო. ინსპექციის უფროსი ზაზა კოკაია ამ ფაქტს ასე ხსნის: "რუსთავგაზის" დავალიანება 6 მილიონ ლარს აჭარბებს. გარდა ამისა, ეს ორგანიზაცია მიმდინარე გადასახადებსაც თავს არიდებს და ძველ დავალიანებას რომ თავი დავანებოთ, მიმდინარე, დეკლარირებული თანხის გადახდასაც არ აპირებს. ჩვენ იძულებულნი ვიყავით, რადიკალური ზომები მიგველო."

"რუსთავგაზი", რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელი "საქგაზია", დღეს რუსთავისათვის ბუნებრივი აირის ერთადერთი მიმწოდებელია. "რუსთავგაზში" ბიუჯეტის ვალად დაფიქსირებულ 6 მილიონს ხელოვნურად შექმნილ დავალიანებად მიიჩნევენ, რომელიც არარსებული თანხებიდან საურავების სახით დაერიცხა ორგანიზაციას. "რუსთავგაზის" გენერალური დირექტორის გენრი მახარაძის განმარტებით, 6 მილიონის ისტორია 1994 წლიდან დაიწყო: "იმ პერიოდს შეიძლება, ეკონომიკური განუკითხაობის პერიოდი დავარქვათ. სახელმწიფო შიდა ანგარიშსწორებას ბარტერითა და ჩათვლებით აწარმოებდა. ჩვენ გაზი მივაწოდეთ, მისი საფასური კი არავინ გადაგვიხადა და არარსებულ ფულზე საურავები წლების განმავლობაში გვეწერება."

მახარაძე აცხადებს, რომ თუ საგადასახადო ყველა თანხას დაბლოკავს, ერთ კვირაში რუსთავს გაზი აღარ ექნება. მისივე თქმით, "საქგაზი" ამ შემთხვევაში "რუსთავგაზის" ფინანსურ დახმარებას არ აპირებს.

საოლქო საგადასახადო ინსპექციამ სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა, შეგებებული სარჩელი წარადგინა "რუსთავგაზმაც". იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საგადასახადოს სარჩელს დააკმაყოფილებს, ამ უკანასკნელს უფლება მიეცემა, ვალის გადაუხდელობის გამო, "რუსთავგაზი" აუქციონის წესით გაყიდოს. იგივე ბედი ელის სააქციო საზოგადოება "რელასსაც", რომლის საბანკო ანგარიშიც უკვე ერთი თვეა, დაყადაღებულია საგადასახადოს მიერ.

მარტიდან რესპუბლიკის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ რუსთავის დიდი ორგანიზაციები თავისთან გადაიყვანა აღრიცხვაზე. დღეისთვის რუსთავში რეგისტრირებული ყველაზე მსხვილი გადამხდელები - ს/ს "რელასი", ს/ს "რუსთავგაზი" და ს/ს "გორგასალი" არიან. თუ მათგან რაღაც თანხა მაინც არ ამოიღო საგადასახადომ, ბიუჯეტი ვერ შესრულდება. **" როცა პერიოდულად რაღაცას მაინც იხდიდნენ, ზომებს არ ვღებულობდით, მაგრამ როცა ვატყობთ, რომ გადამხდელები აღარ არიან და ვერ იხდიან, იძულებული ვართ, რადიკალური ზომები მივიღოთ,"** - აცხადებს ზაზა კოკაია.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 22-28 ივნისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6563 | 0.646 | 0.0055 |
| US$ | 1.5236 | | 0.984 | 0.0084 |
| €uro | 1.548 | 1.0163 | | 0.0085 |
| ¥en | 182.34 | 119.68 | 117.78 | |

# რა აკავშირებს მარეგულირებელ კომისიას „საქგაზთან"

ანუ რატომ დაინტერესდა პარლამენტის კომიტეტი დაარქივებული დოკუმენტებით


ელიზბარ ერისთავი.


ვლადიმერ პატარიძე.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

გვანცა კვინიკაძე

*კონტროლის პალატის მიერ სემეკის, დაახლოებით, ერთი წლის წინანდელი შემოწმების სკანდალურ შედეგებს გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი დაუბრუნდა. კონტროლის პალატის დასკვნის თანახმად, სემეკს არაერთი სერიოზული გადაცდომა აქვს დაშვებული "საქგაზისთვის" ბუნებრივი აირის ტარიფების განსაზღვრისა თუ მისთვის თბილისის თბოელექტროცენტრალის (თეცი) მიყიდვის პროცესში. მათ შორის უმთავრესი მაინც ის არის, რომ გაზის ტარიფში "საქგაზის" ისეთი გასავლებიც კია გათვალისწინებული, როგორებიცაა ამ კომპანიის ოფისისთვის მოსკოვში სამოთახიანი, 400 ათას ლარად შეფასებული ბინის, ასევე 280 ათასი ლარის საერთო ღირებულების რვა ავტომანქანის შეძენისა და სხვა მსგავსი მიზნებისთვის გაწეული ხარჯები. სემეკის თავმჯდომარე ბრალდებებს სრულიად აბსურდულს, მაგრამ, ამავე დროს, მის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ზეწოლას უწოდებს და აცხადებს, რომ, კანონის თანახმად, კონტროლის პალატას საერთოდ არ ჰქონდა სემეკის შემოწმების უფლება.*

მიუხედავად დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის, დემურ გიორხელიძის განცხადებებისა, რომ საკითხის განხილვა მარეგულირებელ ორგანოებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ნაკლოვანებების დაფიქსირებას ემსახურებოდა, კომიტეტის სხდომა მეტად ხმაურიანად წარიმართა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან არც ერთი მხარე თავის პოზიციებს არ თმობდა.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილის, **ვლადიმერ პატარიძის** განცხადებით, სემეკის საქმიანობაში აღმოჩენილი დარღვევების გათვალისწინებით, გაუგებარია, რის საფუძველზე შეწყვიტა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისთვის გადაგზავნილი საქმის ძიება. კონტროლის პალატის მოკვლევის თანახმად, სემეკ-მა არამართებული გადაწყვეტილება მიიღო, როცა 1999 წელს "საქგაზს" ტარიფის გაზრდის ნება დართო, რადგან, ფაქტობრივად, ამ ტარიფში შესულია გაზის ტრანსპორტირების ხარჯები 16 ლარის ოდენობით, ნაცვლად იმ პერიოდისთვის დაწესებული 10.75 ლარისა; ძირითადი ფონდების ამორტიზაციის, ქონების გადასახადის, ძირითადი ფონდების რემონტისა და ხელფასების ხარჯები. უფრო მეტიც, "საქგაზმა" 1999 წელს 1.1 მილიონი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები შეიძინა, მათ შორის, ზემოხსენებული ბინა მოსკოვში. კონტროლის პალატის შეფასებით, "საქგაზი" საქართველოშიც ხელგაშლილი მხარჯველია. მხოლოდ მისი ოფისის წლიური საიჯარო გადასახადი 525 ათას, კუთვნილი ავტომანქანების საერთო ღირებულება 280 ათას, ხოლო სახელფასო ფონდი - 540 ათას ლარს შეადგენს.

ასევე სერიოზული პრეტენზიები აქვს კონტროლის პალატას "საქგაზისთვის" თეცის აქციების 90 პროცენტის მიყიდვის პროცესში სემეკის მიერ შესრულებული როლის მიმართ. პატარიძის თქმით, თეცის 1.4 მილიონი ლარის ღირებულების აქციები "საქგაზს" სიმბოლურ ფასად - 150 ათას ლარად მიეყიდა. მას შემდეგ იქ ელექტროენერგიის გამომუშავების დონე მცირდება, "საქგაზი" კი საინვესტიციო პირობებს არ ასრულებს.

სემეკის თავმჯდომარის, ელიზბარ ერისთავის განცხადებით, შსს-ს მიერ უსაფუძვლობის გამო დახურული ამ საქმის ხელმეორედ წამოტივტივება მისთვის გაუგებარია. **"ეს საქმე ჩვენს მიერ თავიდანვე შეფასდა სემეკზე პოლიტიკური ზეწოლის მცდელობად. ვფიქრობდით, რომ კონტროლის პალატა ამ საქმეს აღარ დაუბრუნდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ახალი მსვლელობა მიეცა და თანაც, პარლამენტში,"** – განაცხადა ერისთავმა. მისი თქმით, მას უკვე ეჭვი აღარ ეპარება იმაში, რომ კონტროლის პალატა ამ ზეწოლას მიზანმიმართულად ახორციელებს, თუმცა, ვისი მითითებით მოქმედებს ეს უწყება, ამაზე ერისთვი არ საუბრობს.

მისი განცხადებით, "საქგაზს", სანამ მის ქართულ წილსაც რუსული "იტერა" შეიძენდა, სრული უფლება ჰქონდა, მოსკოვში ოფისი ეყიდა. გარდა ამისა, კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაშვები ნორმა 10 პროცენტს შეადგენს. ერისთავის თქმით, "საქგაზის" შემთხვევაში, მოსკოვის ოფისის ხარჯების გათვალისწინებით, ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 7.5 პროცენტამდე გაიზრდებოდა და კონტროლის პალატას ამ შემთხვევაშიც არ ექნებოდა უკმაყოფილების საფუძველი. რაც შეეხება თეცის საკითხს, სემეკის თავმჯდომარეს საერთოდ არ ესმის მისდამი კონტროლის პალატის უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი. მას შემდეგ, რაც თეცი "საქგაზის" საკუთრებაში გადავიდა, იქ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი ექვსი, ხოლო თბოენერგიისა კი ოთხი თეთრით გაიაფდა.

კონტროლის პალატის მიერ სემეკის შემოწმების ფაქტს არამართებულად მიიჩნევს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ექსპერტი, **ჰერბერტ ემრიჰიც**. მისი განცხადებით, საქართველოს ენერგეტიკაში სემეკის შემოწმებაზე გაცილებით დიდი პრობლემებია, თუნდაც ენერგოსექტორში არსებული კორუფციის სახით. ამის გათვალისწინებით, ემრიჰის აზრით, უპრიანი იქნებოდა კომიტეტის სხდომა კორუფციის თემისადმი ყოფილიყო მიძღვნილი და არა სემეკის საკითხისადმი. დემურ გიორხელიძის განცხადებით, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი ენერგეტიკაში არსებულ კორუფციას მართლაც მიუძღვნის სხდომებს, თანაც უახლოეს მომავალში, მას შემდეგ, რაც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი საქართველოში დაბრუნდება.

# ღარიბი ქვეყნის მილიონერი სახელმწიფო მოხელეები

პირველი გვერდიდან

**უმდიდრესები, ოფიციალური მილიონერები (ქონება, რომელიც ორ მილიონ ლარს აჭარბებს):**

**ვალერი გელაშვილი – პარლამენტარი – 33 080 000 ლარამდე;**

**ანტონ ინგოროყვა – პარლამენტის ყოფილი წევრი, გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო – 5 400 000 ლარამდე;**

**კახი ასათიანი – სპორტის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი – 3 545 000 ლარამდე;**

**ლევან გაჩეჩილაძე – პარლამენტარი – 3 514 000 ლარამდე;**

**თამაზ ნადარეიშვილი – აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე – 3 220 000 ლარამდე;**

**ზაზა ოქუაშვილი და ნატო ჩხეიძე – პარლამენტარები – 3 000 000 ლარამდე;**

**ზაზა სიორიძე – პარლამენტარი, გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო - 2 250 000 ლარამდე;**

**ვანო ზოდელავა – თბილისის მერი – 2 362 076 ლარამდე;**

**ასლან აბაშიძე – აჭარის მეთაური – 2 041 000 ლარამდე;**

**ივანე ჩხარტიშვილი – გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო – 2 000 000 ლარამდე.**

**ძალზე მდიდრები (ქონება მილიონიდან ორ მილიონ ლარამდე):**

ვახტანგ რჩეულიშვილი – პარლამენტარი – 1 734 000 ლარამდე;

დავით საგანელიძე – პარლამენტარი – 1 700 000 ლარამდე;

ასლან სმირბა – ბათუმის მერი – 1 700 000 ლარამდე;

დავით ბეჟუაშვილი – პარლამენტარი – 1 577 000 ლარამდე;

თამაზ მაღლაკელიძე – საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი – 1 520 000 ლარამდე;

გია შერაძე – თბილისის პრემიერი – 1 400 000 ლარამდე;

დავით გამყრელიძე – პარლამენტარი – 1 276 000 ლარამდე;

ვასილ დავითაია – შსს-ს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე – 1 241 000 ლარამდე;

გოგი თოფაძე – პარლამენტარი – 1 300 000 ლარამდე;

ედუარდ შევარდნაძე – 1 200 000 ლარამდე.

მდიდრები (ქონება მილიონის ფარგლებში):

ლევან პირველი – პარლამენტარი;

სოსო ალავიძე – თბილისის შს სამმართველოს ყოფილი უფროსი`

დავით თარხან-მოურავი – ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე;

გიგი წერეთელი – პარლამენტარი;

თემურ ჭყონია – (ბატონ თემურს 2002 წლის ქონებრივი დეკლარაცია ჯერ არ წარუდგენია, რისთვისაც ტრადიციულ ჯარიმას გადაიხდის. თუმცა ვვარაუდობთ, რომ მისი ქონება ნამდვილად იქნება მდიდართა ნუსხის ოცდამეხუთე ადგილის ღირსი მაინც).

**ქვე-მდიდრები: (ქონება ნახევარი მილიონიდან მილიონამდე)**

კობა ბუჩუკური (ყოფილი რწმუნებული) და მარინა მოლოდინი – პარლამენტარი;

ჯუმბერ პატიაშვილი – პარლამენტარი;

რევაზ არველაძე – პარლამენტარი;

ნიკო ლეკიშვილი – პარლამენტარი;

გოგი ლიპარტელიანი – პარლამენტარი.

უძრავ-მოძრავი და ზიარი ქონების ხარჯზე მდიდართა ნუსხაში მოხვდნენ:

გიორგი ბარამიძე – პარლამენტარი;

ელგუჯა მეძმარიაშვილი – პარლამენტარი;

ზაზა შერაზადაშვილი – პარლამენტარი;

დემურ გადელია – პარლამენტარი;

ირაკლი მანაგაძე – ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

თეიმურაზ სანიკიძე – შსს-ს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამეურნეო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი;

თამაზ მარჯანიძე – ქარელის შს რაიგანყოფილების უფროსი;

თემურ ხევსურიანი – აფხაზეთის უშიშროების ყოფილი მინისტრი;

სულხან პაპაშვილი – სახ. დაცვის სპეცსამსახურის უფროსი;

ზურაბ ჟღენტი? — 

მდიდართა ნუსხაში ვერ მოხვდა გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომელმაც ძველ ქონებრივ დეკლარაციაში დაფიქსირებული მილიონამდე ქონება აუდიტით შეაფასა და, შედეგად, მისი ქონების ღირებულებამ ნახევარ მილიონ ლარს ქვევით ჩამოინაცვლა.

ნუსხაში ვერ მოხვდა ვერც უშიშროების ყოფილი მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე - თავისი ნახევარ მილიონამდე ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონებითა და აქციებით.

დეკლარაციების შევსება კანონით არ მოეთხოვებოდათ და ამიტომ სიაში ვერ მოხვდნენ ნუგზარ შევარდნაძე და ბადრი პატარკაციშვილი, რომელთა მითიური ქონების შესახებ საზოგადოებაში მრავალრიცხოვანი ლეგენდები დადის.

აღსანიშნავია, რომ "24 საათის" მიერ შედგენილი ქართველ მილიონერთა ნუსხა არასრულია, რადგან რეალური სურათის შესადგენად საჭიროა ოთხი ათასამდე დეკლარანტის ქონებრივი დეკლარაციის დეტალური შესწავლა. რაც შეეხება ინფორმაციას ფიზიკურ პირთაგან გადასახადების სახით შემოსული თანხების შესახებ – ეს მონაცემები საგადასახადო ინსპექციაში გასაიდუმლოებულია. 2002 წლის დასაწყისში, მხოლოდ ხუთი თვის განმავლობაში, ფიზიკურ პირთაგან ბიუჯეტში 50 მილიონზე მეტი ლარი შევიდა საშემოსავლო გადასახადის სახით.

დეკლარანტთა უმრავლესობას მითითებული აქვს გასესხებული სოლიდური თანხები, რაც დეკლარანტთა ქონებად უნდა იყოს მიჩნეული.

ვინ იხდის ფიზიკურ პირთაგან ყველაზე მეტს ბიუჯეტში? რა თანხაა ეს? ემთხვევა თუ არა გადახდილის მოცულობა ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით სავარაუდოდ მისაღებ შემოსავალს? გვყავს თუ არა ოფიციალური ქართველი მილიარდერი? იზრდება თუ არა ფიზიკურ პირთა მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხის მოცულობა – ანუ მრავლდებიან და კიდევ უფრო მდიდრდებიან თუ არა ჩვენი მილიონერები? - ამ კითხვებზე საქართველოს სახელისუფლო ორგანოებს პასუხი, ჯერჯერობით, არ მოეპოვებათ.

# რუსეთი დიდი რვიანის სრულუფლებიანი წევრი „კიდევ ერთხელ„ ხდება

რუსეთმა დიდ სახელმწიფოთა ლიდერების პრესტიჟული კლუბის წევრობა ჯერ კიდევ პრეზიდენტ ელცინის მმართველობის დროს მოიპოვა, რაც სათანადოდ აღინიშნა კიდეც. გუშინ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა გვამცნეს, რომ რუსეთმა კიდევ ერთხელ მოიპოვა დიდი რვიანის სრულუფლებიანი წევრის სტატუსი.

დიდი რვიანის სამიტი 2006 წელს რუსეთში გაიმართება, რაც ბევრმა პრეზიდენტ პუტინის პირად გამარჯვებად აღიქვა.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი სულ უფრო თავდაჯერებულად გამოიყურება დიდი რვიანის შეხვედრებზე. ასე იყო ამჯერადაც კანადის მაღალმთიან კურორტ კანანასკისში, სადაც მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს განიხილავენ.



*დიდი რვიანი* REUTERS

“სრულუფლებიანი წევრობის” მიუხედავად, რუსეთი ამჯერადაც ხელგაშვერილი მთხოვნელის როლში აღმოჩნდა. შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ და ევროპის სახელმწიფოებმა მომავალი 10 წლის განმავლობაში 20 მილიარდი დოლარის გამოყოფა გადაწყვიტეს რუსეთში დარჩენილი მასობრივი მოსპობის იარაღის ნარჩენების გასანადგურებლად. ამ თანხის ნახევარს ამერიკელები გაიღებენ, რომლებსაც სულ უფრო მეტად აშფოთებთ რუსეთში ცუდად დაცული ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის საწყობები, საიდანაც იარაღი შეიძლება საერთაშორისო ტერორისტების ხელშიც მოხვდეს.

“ეკონომიკური და დემოკრატიული გარდაქმნების” მიუხედავად, რუსეთი ჯერ კიდევ ვერ იღებს სრულფასოვან მონაწილეობას დიდი რვიანის ეკონომიკურ მოლაპარაკებებში. ასე რომ, გარკვეული დროის გავლის შემდეგ კრემლმა შეიძლება კიდევ ერთხელ განაცხადოს, რომ რუსეთი დიდი რვიანის “ნამდვილი” “სრულუფლებიანი” წევრი გახდა.

# არაფატი ბუშის წინააღმდეგ

გიორგი ხელაშვილი

*ამერიკის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას არაფატის გადაყენების შესახებ, არა მარტო თავად არაფატი და პალესტინელები, არამედ ევროპელი პოლიტიკოსები და ზოგიერთი ებრაელიც კი ეწინააღმდეგება.*

ცინიკური მოსაზრების მიხედვით, ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების ბუშისეული პროგრამა ერთადერთ პრინციპს ეყრდნობა – გააკეთოს ყველაფერი ზუსტად იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ბილ კლინტონის ადმინისტრაცია აკეთებდა.

რა თქმა უნდა, ამის გადაჭრით მტკიცება ძნელია, მაგრამ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ამერიკელთა სამშვიდობო მოღვაწეობა ახლო აღმოსავლეთში ჩიხში შედის.

ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კანადის კურორტ კანანასკისში, “დიდი რვიანის” შეხვედრაზე პალესტინის სახელმწიფოს ბედის შესახებ წარმოქმნილმა უთანხმოებამ შეერთებულ შტატებსა და მის ყველაზე ერთგულ მოკავშირეს - დიდ ბრიტანეთს შორის. პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა გააკრიტიკა შეერთებული შტატების მოთხოვნა პალესტინის ხელმძღვანელობის და იასირ არაფატის შეცვლის თაობაზე. ეს ამერიკისა და ბრიტანეთის ლიდერებს შორის ღია უთანხმოების პირველი შემთხვევაა 2000 წლის სექტემბერში დაწყებული პალესტინის ახლანდელი კრიზისის დროიდან.

მეტიც, ტონი ბლერმა ბუშის პოლიტიკურ ნაბიჯს სტრატეგიული შეცდომა უწოდა, რითაც კიდევ უფრო გააღრმავა უთანხმოება.

ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის წევრებს შორის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იმდენად არაფატის ბედი არ იწვევს, რამდენადაც ის დაბნეულობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის საკითხში ბუშის მრჩევლებსა და მინისტრებს შორის არსებობს. ერთი მხრივ, პალესტინელების სახელმწიფოებრიობის უპირობო აღიარების მომხრეა სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, მეორე მხრივ კი, ისრაელის ინტერესებს იცავენ ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი და უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველი კონდოლიზა რაისი, რომლებმაც ბოლო ხანს ოპონენტები დაჩაგრეს და პრეზიდენტზე გადამწყვეტი გავლენა მოიპოვეს. ისრაელის ამერიკელი მომხრეები პალესტინისათვის სახელმწიფოებრიობის მინიჭებას გარკვეულ პირობებს უკავშირებენ. ამ პირობებიდან კი ამერიკის ადმინისტრაციამ ყველაზე სადავო ამოირჩია – პალესტინის ხელმძღვანელობის შეცვლა. ბევრი პოლიტიკოსისა და ექსპერტის აზრით, თავისთავად იასირ არაფატისა და მისი მომხრეების წასვლა პრობლემებს არათუ ვერ მოაგვარებს, არამედ უფრო გაამწვავებს.

ჯერ ერთი, არაფატის შემცვლელის პოვნა არც ისე ადვილია არაფატის სიცოცხლეშივე; მეორეც, არაფატი ხელისუფლებაში დემოკრატიული არჩევნების შედეგად მოვიდა, რაც ისრაელთანაც იყო შეთანხმებული. მესამეც, დღევანდელ დაძაბულ პირობებში არჩევნების ჩატარება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ არჩევნების ჩატარების შემთხვევაში არაფატის მაგივრად რადიკალი პოლიტიკოსის არჩევა სავსებით რეალური პერსპექტივა იქნებოდა. ეს კი არც შეერთებულ შტატებს უნდა აძლევდეს ხელს, არც ისრაელს და არც თავად პალესტინელებს.

ბუშის ახალმა ინიციატივამ უკმაყოფილება გამოიწვია არაბულ სამყაროშიც. არაბული პრესა მიიჩნევს, რომ ბუშის გამოსვლამ ხელფეხი გაუხსნა ისრაელს, რომელსაც, ამჟამად, პალესტინის რვა დიდი ქალაქიდან შვიდი დაპყრობილი აქვს. თავის გამოსვლაში ბუშმა სწორედ არაბულ ქვეყნებს მიანდო კონტროლი პალესტინის ხელმძღვანელობის შეცვლის განხორციელებაზე. მაგრამ საეჭვოა, რომ არაბულმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში ეგვიპტემ და იორდანიამ, სიამოვნებით გადადგან ეს არაპოპულარული ნაბიჯი. ამერიკისა და ისრაელის მიერ ორკესტრირებული არაფატის დამხობა არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებს საკუთარი მოსახლეობის თვალში აუცილებლად დააკნინებს.

ებრაელი ჟურნალისტის შიმონ შიფერის ცნობით, თავად ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის, შიმონ პერესის, პირველი რეაქცია ბუშის გამოსვლაზე მკვეთრად უარყოფითი იყო. “იგი (ბუში) საბედისწერო შეცდომას უშვებს, როდესაც პალესტინის სახელმწიფოს შექმნას უკავშირებს მისი ხელმძღვანელობის შეცვლას,” – უთქვამს შიმონ პერესს, რომელმაც მოგვიანებით საკუთარი სიტყვები უარყო პოლიტიკური მოსაზრებით.

პალესტინელებმა მაინც გადაწყვიტეს, დამორჩილებოდნენ ვაშინგტონის მოთხოვნას და მორიგი არჩევნები 2003 წლის იანვარში დანიშნეს. მაგრამ ამ არჩევნებში, წინასწარი გადაწყვეტილებით, არაფატიც მიიღებს მონაწილეობას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ცხადყოფს, რომ არაფატი კვლავაც პოპულარულია და უპრობლემოდ გაიმარჯვებს არჩევნებში.

ამრიგად, ბუშის ახალ “ინიციატივას” თეთრი სახლისთვის იმედგაცრუების მეტი ჯერ არაფერი მოუტანია. როგორ მოახერხებს ამერიკის ადმინისტრაცია თავისივე შექმნილი ჩიხიდან თავის დაღწევას, მომავალი გვიჩვენებს.

# კასტრო აშშ-ს დიპლომატიური ურთიერთობების სრული შეწყვეტით ემუქრება

ოთხშაბათს, ეროვნულ ასამბლეაში გამოსვლის დროს კუბის პრეზიდენტმა ფიდელ კასტრომ გააკეთა განცხადება, რომ კუბამ ისედაც შეზღუდული დიპლომატიური ურთიერთობები აშშ-სთან შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს. მან დაადანაშაულა ამერიკელი დიპლომატები ჰავანაში კუბის სუვერენიტეტის უგულებელყოფასა და დიპლომატიური ნორმების დარღვევაში.

კასტრომ განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოთქვა აშშ-ს მიერ კუბელებისთვის ასობით რადიომიმღების დარიგების ფაქტთან დაკავშირებით. მისი აზრით, ამერიკელი დიპლომატების, მათ შორის, აშშ-ს ელჩის - ვიკი ჰადლსტონის ეს ქმედება მიზნად ისახავდა კუბელებისთვის ფლორიდაში მდებარე კასტროს საწინააღმდეგო რადიოსადგურის - “რადიო მართის” გადაცემების მოსმენის საშუალების მიცემას. კასტროს მიაჩნია, რომ კონტრაბანდულმა საქონელმა (რადიომიმღებები) ქვეყანაში დიპლომატიური ფოსტით შეაღწია. კასტროს განცხადებით, თუ აშშ-ს მთავრობა ამგვარ პრაქტიკას გააგრძელებს, ამას შეიძლება მოჰყვეს 1994-95 წლების ორმხრივი საიმიგრაციო შეთანხმებების გაუქმება და ჰავანაში აშშ-ს წარმომადგენლობის დახურვაც კი. მან განაცხადა: “ეს ის არ არის, რაც კუბას სურს, რადგან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში გარკვეული წინსვლის ფონზე, ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება”.



*ფიდელ კასტრო ეროვნულ ასამბლეაში* REUTERS

კასტრომ ეს განცხადება ეროვნული ასამბლეის სპეციალურ სესიაზე გააკეთა, რომელიც კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის საკითხზე კენჭისყრას მიეძღვნა. ამ შესწორებების მიღებით კუბის სოციალისტური სისტემის “ხელშეუხებლობა” დაკანონდება. კონსტიტუციაში შესწორებების შეტანას კასტრო ბუშის ადმინისტრაციის მზარდი აგრესიის შეჩერების საპასუხო ქმედებად მიიჩნევს. როგორც მოგეხსენებათ, გაზაფხულზე ბუშმა გააკეთა განცხადება, რომ აშშ კუბის წინააღმდეგ არსებულ ეკონომიკურ სანქციებსა და კუნძულზე მიმოსვლაზე დაწესებულ შეზღუდვებს იქამდე არ მოხსნის, სანამ კუბაში ისეთი დემოკრატიული რეფორმები არ გატარდება, როგორებიცაა მრავალპარტიული არჩევნები, ძირითადი თავისუფლებების დაცვა და სხვ.

კასტროს ეს განცხადება კუბაში ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი იყო. აშშ-ს წარმომადგენლობა კარტერის ადმინისტრაციის დროს დაარსდა, ვაშინგტონში კუბის წარმომადგენლობის დაარსების პარალელურად (CNN).

# სომხეთი და თურქეთი მტრებად დარჩებიან

## მინისტრების მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა

გიორგი ხელაშვილი

*აზერბაიჯანელ პოლიტიკოსებს შეუძლიათ, რომ შვებით ამოისუნთქონ, რადგან თურქეთისა და სომხეთის მიერ საერთო ენის გამონახვის შესახებ ხმები მეტისმეტად გაზვიადებული აღმოჩნდა.*

სომხეთი ერთი ნაბიჯითაც არ იხევს უკან. ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე სომხეთის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ ანატოლიაში მცხოვრებ სომეხთა ჟლეტა იყო გენოციდის აქტი და ეს მთელმა მსოფლიომ უნდა აღიაროს. გარდა ამისა, სომხეთის კონსტიტუციაში დაფიქსირებულია ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც სომხეთს თურქეთის მიმართ გააჩნია. სომხეთის სახელმწიფო სიმბოლიკაზე არარატის მთაა გამოსახული, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ერევანს არ სურს არა მარტო მთიანი ყარაბახის, არამედ აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების დათმობა.

ყველაფრის მიუხედავად, სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტამბოლში შეხვედრისას მოითხოვა თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება “წინაპირობების გარეშე”.

ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რას უპასუხებდა ამ მოთხოვნას თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ჯემი.

თურქეთისა და სომხეთის მოლაპარაკებები ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების თაობაზე, შეიძლება ითქვას, რომ ჩაიშალა. მიმდინარე წელს საგარეო საქმეთა მინისტრები უკვე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ხოლო დიპლომატები ისეთი ინტენსივობით მუშაობდნენ, რომ აზერბაიჯანში შეშფოთდნენ კიდეც – ხომ არ აპირებს თურქეთი, თავისი ერთგული მოკავშირის ზურგს უკან, ერევანთან გარიგებას?

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ დაგეგმილი პრეს-კონფერენცია, უცნობი მიზეზების გამო, გაუქმდა. მინისტრებმაც მეტად ძუნწი კომენტარი გააკეთეს მიღწეული შედეგების შესახებ. ოსკანიანმა ჯემთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა: არავის უნდა ჰქონდეს “ილუზიები”, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები სწრაფად გაუმჯობესდებაო. ჯემმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ოსკანიანმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა სომხეთის შეუვალი პოზიცია მთიანი ყარაბახის კონფლიქტის, გენოციდის აღიარებისა და რეგიონული თანამშრომლობის თაობაზე.

მინისტრების ორმხრივი შეხვედრის შემდეგ ოსკანიანი სიტყვით გამოვიდა თურქეთის ეკონომიკური და საზოგადოებრივი გამოკვლევების ფონდში, რომელიც “თესევის” სახელითაა ცნობილი. ოსკანიანის გამოსვლის პათოსი არც ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციაში შეცვლილა – თურქეთი და აზერბაიჯანი ცდებიან, თუ ფიქრობენ, რომ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით სომხეთს დააჩოქებენ – მოკლედ ამგვარად შეიძლება გამოითქვას ოსკანიანის გამოსვლის მთავარი აზრი.

სომხეთსა და თურქეთს შორის გამწვავებული ურთიერთობები რამდენიმე პრობლემის ბრალია. გენოციდისა და ტერიტორიული პრეტენზიების გარდა, დაბრკოლებად რჩება მთიანი ყარაბახის საკითხი. თურქეთი ამ საკითხში ღიად უჭერს მხარს ბაქოს. ამიტომაც თურქეთის ხელმძღვანელობის მიერ, აზერბაიჯანის ინტერესების გვერდის ავლით, სომხეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება; მით უმეტეს, რომ თავად სომხები თავისი პოზიციებიდან ერთი ნაბიჯით უკან დახევასაც არ აპირებენ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს სერიოზული წინააღმდეგობები თავიდანვე გამორიცხავდა რაიმე პროგრესს ოსკანიანისა და ჯემის მოლაპარაკებებში. ამ მოლაპარაკებების წარუმატებლობა სომხეთ-თურქეთის უიმედო ურთიერთობის კიდევ ერთ აშკარა საბუთად იქცა.

# ყაზახური ნავთობის ახალი მარშრუტი

კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობის გეოპოლიტიკა კიდევ ერთი სავარაუდო მარშრუტით გამდიდრდა. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა, საბერძნეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ, განაცხადა, რომ ყაზახეთი მონაწილეობას მიიღებს ბურგას-ალექსანდროპულოსის ნავთობსადენის მშენებლობაში, რომელიც ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის აიგება და, შესაბამისად, შავ და ხმელთაშუა ზღვებს ერთმანეთთან დააკავშირებს.

**“ყაზახეთს, რომელიც ევროპის ბაზარზე ნავთობის უდიდესი მიმწოდებელი ხდება, რამდენიმე წელიწადში ნავთობსადენების რამდენიმე მარშრუტი დასჭირდება,”** – განაცხადა ნაზარბაევმა.

პირველი მარშრუტი - ჩრდილოეთ კასპიის ზღვა-შავი ზღვა - ნოვოროსიისკამდე უკვე აგებულია. ამჟამად იგეგმება კასპიის ნავთობის ხმელთაშუა ზღვამდე გადატანის მარშრუტი, რომელიც, შესაძლოა, სწორედ ბულგარეთიდან საბერძნეთამდე ამოქმედდეს. ამ ნავთობსადენის ასაგებად იქმნება კონსორციუმი, რომელშიც რუსეთი, საბერძნეთი და ბულგარეთი თანაბარ წილში იქნებიან. ნაზარბაევის განცხადებით, მათ შესაძლოა ყაზახეთიც შეუერთდეს.

ნავთობის ტრანსპორტირების გარდა, საბერძნეთი ყაზახეთს სატანკერო ფლოტის შექმნაშიც დაეხმარება. ნაზარბაევი უკვე ოცნებობს ყაზახური ნავთობის საკუთარი ფლოტით გადაზიდვაზე როგორც შავ, ისე ხმელთაშუა ზღვაშიც კი.

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შავ და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობსადენის აგებით რუმინეთიც დაინტერესდა, რომელმაც კონსტანცა-ტრიესტის ნავთობსადენის იდეა წარმოადგინა. საინტერესოა, რამდენი მარშრუტი დაჭირდება ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირებას და რაში უნდა გამოიყენონ “ზედმეტი” ნავთობსადენები.

# აფეთქება ქაშმირში

ინდოეთის ჯამმუ-ქაშმირის რეგიონის ქალაქ ანანთანგის ერთ-ერთ ხალმხრავალ მოედანზე მუსლიმმა ექსტრემისტებმა ხელყუმბარა ააფეთქეს, რის შედეგდაც 22 ადამიანი დაშავდა. პოლიციის ინფორმაციით, ტერორისტების სამიზნე პოლიციელთა პატრული იყო. დაშავებულებს შორის 4 პოლიციელია, დანარჩენი 18 კი - სამოქალაქო პირი.

როგორც მოგეხსენებათ, 2001 წლის დეკემბერში, პაკისტანელი ექსტრემისტების მიერ ინდოეთის პარლამენტზე თავდასხმის შემდეგ ქვეყნებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, სასაზღვრო ზოლში მობილიზებულ იქნა 1 მლნ. ჯარისკაცი და ჯავშანტექნიკა. საერთაშორისო თანამეგობრობის დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად რეგიონში დაძაბულობის მოხსნა და ომის თავიდან აცილება მოხერხდა. თუმცა, პაკისტანელი ექსტრემისტების ამბოხი ქაშმირის ინდურ ნაწილში მაინც გრძელდება.

პასუხისმგებლობა ტერაქტზე ჯერ არავის არ აუღია (Reuters).

# შარონი ბელგიის სასამართლოს წინაშე არ წარსდგება

ბელგიის სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი 1982 წელს პალესტინელ ლტოლვილთა ორ ბანაკში ჩადენილ დანაშაულებებთან შესაძლო კავშირის გამო ბელგიის სასამართლოს წინაშე ვერ წარსდგება. სამი მოსამართლისგან შემდგარმა პანელმა დაადგინა, რომ ბელგიის სასამართლო ბელგიის ტერიტორიაზე არმყოფი პიროვნების წინააღმდეგ სარჩელს ვერ განიხილავს.

ლტოლვილთა ბანაკებში მომხდარ მასიურ მკვლელობებთან შარონის კავშირის გამოძიება ბელგიაში 1993 წელს მიღებული უნიკალური კანონის საფუძველზე დაიწყო, რომლითაც დასაშვებია ნებისმიერ ქვეყანაში ჩადენილ დანაშაულზე ბელგიის სასამართლოში სარჩელის განხილვა. სარჩელი შარონის წინააღმდეგ 23-მა ლტოლვილმა შარშან შეიტანა. ეს 23 პალესტინელი ბანაკებში განადგურებას გადაურჩა. 1982 წელს ბეირუთის მახლობლად მდებარე ორ ბანაკში 800 ლტოლვილი ამოჟლიტეს. მათ მიაჩნიათ, რომ შარონი, რომელიც იმ დროს ისარაელის თავდაცვის მინისტრი იყო, ამ დანაშაულზე პასუხისმგებელია (CNN).

შემოგვიერთდით !

დაპირისპირებიდან
თანამშრომლობამდე

ი.ჭავჭავაძის გამზირი №55
ტელ: 25-15-38, 99-94-79

სასამართლო დარბაზი

# გახმაურებული მკვლელობის ქრონიკა

ხათუნა ჯანგირაშვილი

მკვლელობა, რომლის სასამართლო განხილვაც უზენაეს სასამართლოში რამდენიმე თვის წინ უკვე მესამედ დაიწყო, თერთმეტი წლის წინათ მოხდა. იმ დროისთვის ეს მკვლელობა ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ საქმედ ითვლებოდა.

1991 წლის 19 აპრილს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ სიცოცხლეს გამოასალმეს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები – დათო ჯორბენაძე და ზაზა როინიშვილი. სამართალდამცველებმა დანაშაულს განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცეს, მკვლელობის მოტივად კი ძარცვა გამოცხადდა.

ორი მეგობრის სიკვდილის მიზეზი მძარცველების მიერ მოთხოვნილი ტყავის ქურთუკი გახდა. წინააღმდეგობის გაწევას მკვლელობა მოჰყვა. სასიკვდილოდ დაჭრილები მეცხრე საავადმყოფოში, საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალნენ. მკვლელობის საქმის გამოძიება თბილისის პროკურატურაში დაიწყო. კანონდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილები მეორე დღესვე დააკავეს.

ერთ-ერთმა დაპატიმრებულმა, კობა ბედოიძემ შსს-ს მე-5 იზოლატორში აღიარებითი ჩვენება ჩააბარა გამოძიებას, განაცხადა, ჯორბენაძე და როინიშვილი მე მოვკალიო. მოგვიანებით, როცა გამოძიება ლამის საბრალდებო დასკვნის შედგენას აპირებდა, ბედოიძემ ჩვენება გადათქვა. საქმეში "ახალი გარემოება" გაჩნდა - ზურაბ ლომაძე, რომელიც ბედოიძემ ჯორბენაძე-როინიშვილის მკვლელად დაასახელა.

სამართალდამცველებმა დაპატიმრებული კობა ბედოიძე პატიმრობიდან გაათავისუფლეს. დანარჩენი სამი ბრალდებული, რომელიც გამოძიებამ ხულიგნობაში დაადანაშაულა, 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს თანათავმჯდომარის ჯაბა იოსელიანის მიერ გამოცემული ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლდნენ, მკვლელობის საქმის გამოძიება კი დროებით შეჩერდა, ზურაბ ლომაძის მალვაში ყოფნის გამო.

წლების მანძილზე ჯორბენაძე-როინიშვილის მკვლელობის საქმე ერთ-ერთ ყველაზე უპერსპექტივო, საარქივო საქმედ ითვლებოდა. თუმცა, მკვლელობიდან ცხრა წლის შემდეგ ყველასთვის მოულოდნელად საქმის გამოძიება განახლდა - ცხრა წლის მიმალვის შემდეგ ზურაბ ლომაძე სამართალდამცველებს ჩაბარდა. საქმე უკვე მეორედ გამოცხადდა გახსნილად.

შარშან გაზაფხულზე უზენაეს სასამართლოში დაწყებული პროცესი ზურაბ ლომაძისთვის ლმობიერი განაჩენით დასრულდა. განზრახ მკვლელობაში დადანაშაულებული 28 წლის განსასჯელისთვის ბრალმდებელმა პროკურორმა 15 წლით პატიმრობა მოითხოვა. საბოლოოდ, სასამართლო კოლეგიამ ზურაბ ლომაძეს 6 წლით პატიმრობა არგუნა. 1992 წლის სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოცემული ამნისტია ლომაძის ბრალდებაზეც გავრცელდა და მას სასჯელი გაუნახევრდა.

გამოტანილი ვერდიქტით უკმაყოფილო დაზარალებულებმა - მოკლულთა ახლობლებმა, განაჩენი უზენაესი სასამართლოს ზედა პალატაში გაასაჩივრეს. საკასაციო პალატამ მომჩივანთა მოთხოვნა დააკმაყოფილა, მოსამართლე თამაზ ილიაშვილის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გააუქმა და, შესაბამისად, საქმეც ხელახალ სასამართლო ძიებას გადაეცა.

თერთმეტი წლის წინ მომხდარი მკვლელობის საქმის ხელახალი სასამართლო გამოძიება, რომელიც კარგა ხანია მიმდინარეობს, მოწმეების ხელახალ დაკითხვას აწყობს.

გუშინდელ პროცესზე მოწმედ დაკითხულმა გარდაცვლილების ჯგუფელმა ხათუნა კვესელავამ დეტალებში გაიხსენა ის ტრაგიკული დღე და სასამართლოს განუმარტა, რომ მკვლელობამდე ორი დღით ადრე, მასთან სახლში სტუმრად მყოფმა დათო ჯორბენაძემ მოუყვა, წინა ღამეს როგორ დახვდა რამდენიმე პიროვნება უნივერსიტეტის ბაღში და ტყავის ქურთუკის გახდა მოსთხოვა. დარაჯის დანახვის შემდეგ კი თავდამსხმელები გაქცეულან. მოწმე კვესელავას თქმით, მკვლელობის დღეს აუდიტორიის კართან გამოჩენილ გაფითრებულ და აღელვებულ ჯორბენაძეს მისთვის უთქვამს, ისევ იმ საქმეზე არიანო და ჩქარი ნაბიჯით ეზოში ჩასულა. "მე და ჩემი მეგობრი ეკა თხილავა უკან გავყევით, მივხვდით, რომ ისევ ქურთუკის საქმეზე ხდებოდა რაღაც. მე გზაში შევყოვნდი ახლობელთან საუბრის გამო, მეორე კორპუსის ამაღლებულ ადგილას ვიდექი და რამდენიმე წუთში დავინახე, ჯორბენაძე მოწყვეტით როგორ ჩაიკეცა. ხალხის ყვირილი მომესმა – დაჭრეს, დაჭრესო. სანამ შემთხვევის ადგილზე მივიდოდი, ეკა თხილავამ და ელგა ფოლადიშვილმა ხელი მომკიდეს და ტაქსში ჩამსვეს, მეცხრე საავადმყოფოში წავედით, დათო უკვე სხვა მანქანით მიყავდათ," - განუცხადა სასამართლოს ხათუნა კვესელავამ, რომელიც გამოძიებამ პირველად მას შემდეგ დაკითხა, რაც ზურაბ ლომაძე პოლიციას ჩაბარდა. როგორც მოწმე ამბობს, მკვლელის ვინაობა მან რამდენიმე დღის შემდეგ შეიტყო. "ალბათ, ეკა თხილავასგან გავიგე, დაზუსტებით ვერ ვიტყვი," - განუცხადა სასამართლოს კვესელავამ. შეგახსენებთ, ეკა თხილავა ის მოწმეა, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროსაც და სასამართლო პროცესზეც ზურაბ ლომაძე ამოიცნო და მკვლელობაში ამხილა.

გუშინდელ პროცესზე განსასჯელის ადვოკატმა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გათავისუფლება მოითხოვა. მისი განმარტებით, ლომაძე უკანონო პატიმარია. ეს მოთხოვნა მოსამართლემ, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილა, რასაც ადვოკატის შემდეგი შუამდგომლობა მოჰყვა მოსამართლის აცილების შესახებ. ეს შუამდგომლობაც დაუკმაყოფილებელი დარჩა.

დღევანდელ პროცესზე ძირითადი მოწმეები დაიკითხებიან.

# სამართლებრივი ომი ამერიკის ხელისუფლების წინააღმდეგ



*ამერიკის შეერთებულ შტატებში სკანდალი მწიფდება. სან-ფრანცისკოს ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა შეერთებული შტატების დროშის ერთგულების ფიცის დადების ცერემონიალი ანტიკონსტიტუციურად სცნეს. მათ მიაჩნიათ, რომ ფიცის სიტყვები " ხალხის ერთიანობა ღვთის წინაშე" ეწინააღმდეგება ამერიკის კონსტიტუციის სეკულარულ ხასიათს.*

*მოსამართლეების გადაწყვეტილების აღსრულებაში უკვე ჩაერია კონგრესი და პრეზიდენტი.*

ამერიკულ დემოკრატიას სიმშვიდე კალიფორნიის შტატის ქალაქ საკრამენტოს მოქალაქემ, ექიმმა მაიკლ ნიუდოუმ დაურღვია. რამდენიმე კვირის წინ მან სან-ფრანცისკოს ფედერალურ სასამართლოში საჩივარი შეიტანა, რომლითაც ეროვნული დროშის ერთგულების ფიცის ტექსტის უკანონოდ გამოცხადებას ითხოვდა. CNN-ის ცნობით, ნიუდოუ ათეისტია, იგი რვა წლის ქალიშვილს ზრდის და საშინლად უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მისმა შვილმა დროშაზე ფიცის მიცემის დროს ღმერთი უნდა ახსენოს. ნიუდოუმ ჟიურის შეახსენა, რომ ამერიკაში ეკლესია გამიჯნულია ხელისუფლებისგან, ფიცის ტექსტში ღმერთის ხსენება კი საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ჟიურიმ ნიუდოუს პრეტენზიები საფუძვლიანად მიიჩნია.

სასამართლომ აკრძალა ფიცის წარმოთქმა სახელმწიფო სკოლებში დასავლეთის სანაპიროს ცხრა შტატში, რომლებზედაც ვრცელდება მისი იურისდიქცია.

კალიფორნიის სასამართლოს გადაწყვეტილებამ მთელი ამერიკა აღაშფოთა. გადაწყვეტილების მიღებიდან რამოდენიმე საათში საქმეში კონგრესმენები ჩაერივნენ. ამერიკის სენატმა სასწრაფოდ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ფიცის უფლებების აღდგენას ამერიკაში. ამ ფიცის ტექსტი ყოველდღიურად წარმოითქმება ყველა ამერიკულ სკოლაში. რეზოლუციას მხარი დაუჭირა 99 სენატორმა, რომლებიც არჩევნებში იღებდნენ მონაწილეობას. ამას მოჰყვა ქვეყნის პრეზიდენტის რეაქცია. პრეზიდენტმა ბუშმა სან-ფრანცისკოს უზენაესი სასამართლოს მირ გამოტანილ ვერდიქტს "საცილო" უწოდა. "თეთრი სახლის" პრესმდივანმა არი ფლეიშერმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ამერიკა შეეცდება კალიფორნიის მოსამართლეთა შეცდომის გამოსწორებას. ამერიკის საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, რომ თითქმის დარწმუნებულები არიან: სან-ფრანცისკოს სასამართლოს მიერ გამოტანილ ვერდიქტს უზენაესი სასამართლო შეცვლის. კანონდამცველთა გამოსვლები კიდევ უფრო მეტი სიმწვავით გამოირჩეოდა. კონგრესმენმა ბობ ბარიმ კალიფორნიის სასამართლო ვერდიქტს უწოდა "ყველაზე იდიოტური გადაწყვეტილება, რაც მას აქამდე შეხვედრია", სენატორმა ჩარლზ გრესლიმ კი - "სიგიჟე და აღმაშფოთებელი უგუნურება".

ამერიკის დროშის ფიცის შინაარსი ასეთია: **"ვფიცავ, რომ ერთგული ვიქნები ამერიკის შეერთებული შტატების დროშის, რესპუბლიკის, რომლის სიმბოლოც ის არის, ღვთის წინაშე ერთიანი ხალხის, განუყოფელის, სადაც თავისუფლება და სამართლიანობა ყველასთვის არსებობს".**

ეს ტექსტი დაიწერა 1892 წელს. მეორე მსოფლიო ომის დროს კი ამერიკაში მიიღეს კანონი, რომელშიც ნათქვამია, რომ ამერიკელ სკოლის მოსწავლეებს არ უნდა აიძულონ ფიცის დადება.

იმდენად, რამდენადაც ფიცის ტექსტი სკოლებში ერთხმად წარმოითქმება, ცალკეული მოწაფის წინააღმდეგობა საჯარო პროტესტის გამოთქმის ტოლფასია.

სწორედ ეს ფაქტი გაითვალისწინა კალიფორნიის სასამართლომ ვერდიქტის გამოტანის დროს. CNN-ის ცნობით, სიტყვები "ღვთის წინაშე" ფიცის ტექსტში ქვეყნის კონგრესმა მოგვიანებით - 1954 წელს შეიტანა.

სიტყვები "ღვთის წინაშე" ორმაგ ფუნქციას ატარებდა: აერთიანებდა ერს და ხაზს უსვამდა ამერიკის ბრძოლას ათეიზმისა და კომუნიზმის წინააღმდეგ.

მარკ ნიუდოუ თვლის, რომ ის დრო დიდი ხანია გავიდა და დაიმუქრა, რომ იბრძოლებს კონსტიტუციის დასაცავად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან, ფაქტიურად, ამერიკის ხელისუფლებასთან იურიდიული ომი წამოიწყო.

# ამერიკის შეერთებული შტატები ნაფიც მსაჯულთა ფუნქციებს ზრდის

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასმართლომ დაასკვნა, რომ ამიერიდან მოსამართლეებს აღარ ექნებათ უფლება, სიკვდილით დასჯის შესახებ მიიღონ გადაწყვეტილება. ბრალდებულისთვის უმაღლესი სასჯელის - სიკვდილის მისჯის განაჩენის გამოტანა ნაფიც მსაჯულთა ფუნქციებში შევა.

სასამართლო პროცესის დროს ნაფიცმა მსაჯულებმა დამოუკიდებლად უნდა დაადგინონ, დანაშაულის რომელი გარემოებებია დამამძიმებელი, ამის შემდეგ კი მიღებული გადაწყვეტილება მოსამართლემ უნდა დაადასტუროს.

ახალი კანონი შემდეგ შტატებში ამოქმედდება: კოლორადო, ნებრასკა, აიდახო, მონტანა. აქ განაჩენის გამოტანის დროს ნაფიც მსაჯულებს მხოლოდ სათათბირო ფუნქცია ჰქონდათ.

უზენაესმა სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად მიიჩნია, აგრეთვე, შესაბამისი კანონი არიზონაში, სადაც ნაფიცი მსაჯულები საერთოდ ჩამოცილებულნი არიან სასიკვდილო განაჩენის გამოტანის პროცედურას.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ 125 სისხლის სამართლის საქმე ხელახლა გადაიხედება.

ამჟამად ამერიკის იმ 38 შტატში, სადაც სასჯელის ეს უმაღლესი ზომა მიღებულია, 3700 ადამიანი ელოდება განაჩენის სისრულეში მოყვანას. როგორც ცნობილია, სააპელაციო პროცესები წლების მანძილზე გრძელდება, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქმე სიკვდილით დასჯას ეხება. ამიტომ ასეულობით დამნაშავე უკვე 30 წელია, ვერდიქტის აღსრულების მოლოდინშია.

ამიერიდან სიკვდილმისჯილებს, რომელთაც სასჯელი მოსამართლეთა გადაწყვეტილებით მიესაჯათ, საქმის ხელმეორედ განხილვის მოთხოვნის უფლება ეძლევათ.

მოქალაქის უფლებები

# უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართეთ სასამართლოს

*საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გარანტირებული უფლებები გააჩნია.*

საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

ადამიანის თავისუფლება ხელშეუხებელია. დაუშვებელია დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება. კონსტიტუციის ამ მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით.

უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კომპენსაციის მიღების უფლება აქვს.

მოქალაქემ თავისი უფლებების და თავისუფლების დასაცავად უნდა მიმართოს სასამართლოს.

მოქალაქეს შეუძლია მოითხოვოს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსამსახურეებისგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრულად ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

გარდა ქართული კანონმდებლობისა, ადამიანის წამებას კრძალავს და ადამიანის უფლებების დამრღვევ სახელმწიფო მოხელეებს მკაცრი სანქციებით სჯის გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენცია, რომელსაც საქართველო წლების წინ შეუერთდა.

კონვენცია, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, სახელმწიფოებს მკაცრად უსაზღვრავს წამების აღსაკვეთ ზომებს. კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებულნი არიან, აწარმოონ დაუყოვნებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, თუ ჩადენილია წამების აქტი.

მოქალაქემ, რომელიც წამების მსხვერპლი გახდა, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სასამართლოს.

წამების წინააღმდეგ კონვენციის მიხედვით, წამების მსხვერპლმა უნდა მიიღოს კომპენსაცია, სრული რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების ჩათვლით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას გაითვალისწინება: ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხი, ასევე დაზარალებული პირის ინდივიდუალური თავისებურებანი.

მიყენებული ფიზიკური ზიანის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს მიერ. მასში გათვალისწინებულია მკურნალობის ხარჯები, შრომის უნარის დაკარგვის ან დაქვეითებისთვის კომპენსაცია.

მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება მასმედიაში ბოდიშის მოხდით, ასევე ფულადი კომპენსაციით.

ფიზიკური და მორალური ზიანი სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს ყველა შემთხვევაში.

სამოქალაქო დავები განიხილება სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანის შემდეგ.

სარჩელის სასამართლოში შეტანის შემდეგ იწყება დავა დაზარალებულ-მოსარჩელესა და დამზარალებელ-მოპასუხე მხარეებს შორის.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, თუ როგორ, რა ფორმით დაირღვა ადამიანის უფლებები; მოწინააღმდეგის მიმართ პრეტენზიები; სასამართლოსადმი წაყენებული მოთხოვნები; დავის საგნის შეფასება – სარჩელის ფასი.

სარჩელს აუცილებლად უნდა ერთვოდეს დანართი, სადაც მითითებული იქნება სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

სარჩელი შედის იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ცხოვრობს მოპასუხე.

სასარჩელო განცხადება დარღვეული უფლების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა.

კრიმინალი

# მშობლების მკვლელს გაასამართლებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

სასამართლო პროცესი, რომელიც გუშინ უნდა გახსნილიყო და რომელზეც საზარელი მკვლელობის საქმე უნდა განეხილათ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ერთი კვირით გადაიდო. მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ, ამჟამად მეხუთე საპყრობილის პატიმარს, 20 წლის არჩილ ძეგველიშვილს სასამარლო გამოძიებისას ხალხის თანდასწრებით მოუწევს ბევრ აუხსნელ კითხვაზე პასუხის გაცემა.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ერთი წლის წინ, ღამის ოთხ საათზე არჩილ ძეგველიშვილმა მძინარე დედ-მამა საწოლში დახოცა. მეორე დღეს მათი გვამები სახლში, ტახტის შიდა სათავსოში მოათავსა და ტახტი ქვიშით ამოავსო. იმავე დღეს, საღამოს სახლიდან გაიტანა სისხლიანი ნივთები და იქვე ახლოს, მინდორში დაწვა.

გამოძიებით გაირკვა, რომ არჩილ ძეგველიშვილს ვალად ჰქონდა ბანქოს თამაშში წაგებული თანხა – 900 ლარი, რასაც ტოტალიზატორ "აჭარაში" საფეხბურთო მატჩებზე დადებული 200 ლარიც ემატებოდა. დაგროვილი ვალების შესახებ მისმა მშობლებმა გაიგეს. ამას ოჯახში უსიამოვნება მოჰყვა. მშობლებმა მას მევალეებთან შეხვედრა მოსთხოვეს, რის გამოც არჩილ ძეგველიშვილმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა და მშობლების ფიზიკური განადგურება გადაწყვიტა. გამოძიებას იმაშიც არ ეპარება ეჭვი, რომ ბრალდებულს მშობლების უძრავ-მოძრავი ქონების დაუფლების დიდი სურვილი ჰქონდა.

ორლულიანი სანადირო თოფიდან პირველი გასროლით ძეგველიშვილმა ჯერ მამა დაჭრა გულ-მკერდის არეში, შემდეგ კი იმის შიშით, რომ დედას მისი დანაშაული არ განეცხადებინა, მასაც გულში ესროლა. დედ-მამის სიკვდილში დასარწმუნებლად, ბოლოს საკონტროლო გასროლაც გააკეთა და გვერდზე ოთახში გაათენა ღამე. მშობლების ქვიშით სავსე ტახტში ჩამარხვის შემდეგ კი მამამისის კუთვნილი სამასი დოლარი მოიპარა.

გავრცელებული ხმებით, არჩილ ძეგველიშვილის სასამართლო პროცესი, გარკვეული მიზეზების გამო, შესაძლოა, დახურულად გამოცხადდეს.

# დღესასწაულის ტრაგიკული დასასრული

შიდა ქართლში კრიმინალური ვითარება მნიშვნელოვნად გართულდა. ამას იქაური სამართალდამცველებიც აღიარებენ და მიზეზებზეც მსჯელობენ. შიდა ქართლის პროკურორი ამირან ნოზაძე, უმთავრეს მიზეზებს შორის, კონფლიქტის ზონასთან სიახლოვეს ასახელებს. მაგალითად, სწორედ იქით მიუთითებენ სამართალდამცველები გატაცებულ ძმებ ხაჩიურებზე საუბრისას. მათი მანქანა ხომ ცხინვალის მისადგომებთან იპოვეს. თუმცა, ბოლო ერთი თვის მანძილზე, გორსა და მის მახლობლად მომხდარი რამდენიმე მკვლელობის კვალს კონფლიქტის ზონამდე არ მივყავართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკვლელთა ვინაობა დღემდე დადგენილი არ არის. გუშინწინ კი შიდა ქართლში ჩადენილ მძიმე დანაშაულთა რიცხვს კიდევ ერთი დაემატა. როგორც შევიტყვეთ, გამოძიებას დანაშაულის შესახებ საავადმყოფოდან ტელეფონით შეატყობინეს: გორის რაიონული საავადმყოფოდან სამართალდამცველებს აცნობეს, რომ მათთან მოკლული ახალგაზრდის გვამი მიიტანეს.

საავადმყოფოში მისულმა გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ მოკლული გორელი ზვიად მუჭაურია. მის სხეულზე ორი დაზიანება აღინიშნება. გამოძიება ვარაუდობს, რომ ჭრილობები დანითაა მიყენებული.

დღეისათვის გამოძიებისთვის მომხდარის დეტალები თითქმის ცნობილია. დადგენილია, რომ მუჭაური მეგობრებთან ერთად, სულ 7 კაცი, სოფელ წედისში, ლომისობის დღესასწაულზე წასულა. უკანა გზაზე ნაქეიფარ მეგობრებს მანქანა გაფუჭებიათ და საავტომობილო გზის თითქმის უკაცრიელ მონაკვეთზე სხვა მანქანის გამოვლას ელოდნენ დახმარების იმედით. ასეთი მანქანა გამოჩნდა. როგორც გამოძიებისთვის ცნობილია, "ვილისის" ტიპის ავტომანქანა "ლუაზიც" წედისიდან მოდიოდა. მასში 5-6 კაცი იჯდა. მათ მანქანა გააჩერეს, გადმოვიდნენ. როგორც მოკლულის მეგობრები ამბობენ, ისინიც მთვრალები იყვნენ. რა მომენტში დაიწყო ჩხუბი, ახლა უკვე ვერავინ იხსენებს. ჩხუბის დროს ვიღაცამ მუჭიაურს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

უცნობი მოჩხუბრები გაიქცნენ. მუჭიაურის მეგობრები მათ არ იცნობენ. ასე უთხრეს გამომძიებლებს შვიდი კაციდან – სამმა, მათ, ვინც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებას დათანხმდა. დანარჩენი ოთხი სამართალდამცველებთან ურთიერთობას ჯერ თავს არიდებს და იმალება.

# პრეზიდენტისთვის არაფრის დამალვას არ ვაპირებ

პირველი გვერდიდან

**- თქვენი აზრით, რა არის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელზეც საქართველოს საელჩო იმუშავებს?**

- ამ მოკლე დროის განმავლობაში, რაიმე სიახლე არ მომხდარა. ჩვენ ისევ იმ მიმართულებით გავაგრძელებთ მუშაობას, რომელზეც საელჩო აქამდე მუშაობდა.

მთავარი საკითხი, ბუნებრივია, არის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა. ამ ეტაპზე შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროგრამა უკვე წარმატებით მიმდინარეობს და ის ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულება იქნება.

გარდა ამისა, ინტენსიურად გავაგრძელებთ კონსულტაციებს იმ პროგრამაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია დაწყებულია და რომელიც ჩვენი მესაზღვრეების დახმარებას ითვალისწინებს.

**- ვაშინგტონის სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ცენტრის კავკასიის პროგრამის ხელმძღვანელმა, ზეინო ბარანმა განაცხადა, რომ ვაშინგტონში უკვე დაიწყო მუშაობა აფხაზეთის საკითხზე და თქვენი ჩამოსვლა ამ მუშაობას უფრო ინტენსიურს გახდის.**

- აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ძალინ სერიოზული კონსულტაციები მიმდინარეობს. თავისთავად ის მომენტი, რომ ბუშისა და პუტინის ბოლო სამიტზე ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტი გახდა, უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკაში აფხაზეთთან დაკავშირებით მზარდი ინტერესი გაჩნდა და საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ამიტომ, ორმხრივი კონსულტაციები იმართება როგორც ამერიკა-რუსეთს, ასევე, რა თქმა უნდა, ამერიკა-საქართველოს შორის. ეს ტენდენცია გაგრძელდება და უახლოეს მომავალში, ალბათ, გარკვეული შედეგებიც იქნება. რამე კონკრეტულის თქმა, ამ ეტაპზე, მე ძალიან მიჭირს.

**- სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე დააფიქსირა თავისი ოფიციალური პოზიცია რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მხარს უჭერს აფხაზეთში მათ დარჩენას. არის თუ არა ეს გადაწყვეტილება რუსეთისა და ამერიკის მოლაპარაკების ნაწილი და როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება ამ გადაწყვეტილების მიმართ?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, კულუარებში იყო თუ არა საუბარი კონკრეტულად ამ საკითხზე. თუმცა, ის ფაქტი, რომ ამერიკელები აფხაზეთში რუსი სამშვიდობოების დარჩენას უჭერენ მხარს, მე მგონი, დიდი სიახლე არ არის. თქვენ იცით, რომ ამ იდეას მხას უჭერს გაეროც. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, არ ჩანს ის ძალა, რომელიც რუსეთის სამშვიდობოებს კონფლიქტის ზონაში ჩაენაცვლებოდა.

**- როგორია თვითონ საქართველოს საბოლოო, ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო პეროიოდში უკვე რამდენჯერმე შეცვალა თავისი დამოკიდებულება და ბოლომდე გარკვეული არ არის, ეთანხმება თუ არ ეთანხმება სამშვიდობოების დარჩენას აფხაზეთში?**

- ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული წინადადებები, რომელიც განხილვის საგანი გახდა მინკსში. ამ კონსულტაციებს ესწრებოდნენ რუსეთის



ლევან მიქელაძე.

მხარე, სამშვიდობოების წარმომადგენლები და დსთ-ს აფახაზეთის კომიტეტი. წინანდადებების მოზრდილი პაკეტი, რომელიც ქართულმა მხარემ წარადგინა, ძირითადად, სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლას, მანდატის გაფართოებას, გალში საერთაშორიო მეთვალყურეთა ინსტიტუტის დაარსებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა.

ეს წინანდადებები რუსეთმა, როგორც მოსალოდნელი იყო, არ მიიღო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მუშაობას არ გავაგრძელებთ.

**- მაგრამ, საქართველოს ხელისუფლება უჭერს თუ არა მხარს სამშვიდობოების დარჩენას აფხაზეთში?**

- ჩვენი პოზიცია არის ასეთი, მხარს დავუჭერთ მათ დარჩენას კონფლიქტის ზონაში, თუ ამ სამშვიდობო ოპერაციის მთელი სტრუქტურა შეიცვლება.

ფაქტობრივად, გვაქვს ასეთი ალტერნატივა: აფხაზეთში ან ცუდად განხორციელდეს სამშვიდობო ოპერაცია, ან სამშვიდობო ოპერაცია საერთოდ არ განხორციელდეს.

ბუნებრივია, უკეთესი ალტერნატივა იქნებოდა, თუ რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება უფრო გაფართოებული შემადგენლობით მოხდება. თავიდან, როცა ეს საკითხი მწვავედ დადგა, თითქოს რამდენიმე სახელმწიფომ პირველი სიგნალი გამოუშვა, რომ მზადაა ამ ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ეს ტენდენცია აღარ გაგრძელებულა.

ერთიცაა, თუნდაც რამდენიმე სერიოზული ქვეყანა რომ თანხმდებოდეს ოპერაციაში მონაწილეობის მიღებაზე, ამ ცვლილების რეალურად განხორციელებისთვის ძალინ რთული პროცედურის გავლაა საჭირო.

გარდა ამისა, ყველა კარგად იცნობს გაეროს სამზარეულოს, რუსეთს შეუძლია ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვეტო დაადოს და ამ რეალობის გათვალისწინება ყველას უწევს.

ასევე გასათვალისწინებელია ის დეტალიც, რომ გაეროს მონიტორინგის მისია, რომლის პირდაპირი ფუნქციაა მონიტორინგი გაუწიოს სამშვიდობო ოპერაციას, შეიძლება საქართველოდან წავიდეს, იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოები აღარ იქნებიან.

**- მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლები შევარდნაძის საშინაო პოლიტიკაზე კომენტარისაგან თავს იკავებენ, აშკარაა, რომ კორუფციისა და რეფორმების პრობლემა ვაშინგტონის საქართველოთი დაინტერესებულ წრეებში სერიოზულად აწუხებთ. თქვენ იქნებით ის ადამინი, რომელმაც პრეზიდენტს ყველა ის პრეტენზია და რეკომენდაცია უნდა გადასცეს, რომელსაც აქ მოისმენს.**

**როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი და პრეზიდენტის თანამშრომლობა, გაითვალისწინებს თუ არა ის ამ რეკომენდაციებს?**

-შევარდნაძე არის პრეზიდენტი და მე ვარ ელჩი. უშუალოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტია, რა რეკომენდაციას გაითვალისწინებს და რას არა, მე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვერ ჩავერევი.

მაგრამ ,რა თქმა უნდა, არაფრის დამალვას არ ვაპირებ.

**- იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული, ხომ არ ფიქრობთ, რომ გაგიჭირდებათ საკუთარი ქვეყნის და საკუთარი პრეზიდენტის დაცვა.**

- თუკი ქვეყანა არ არის კარგ მდოგომარეობაში, ეს, ბუნებრივია, არ აძლიერებს საქართველოს ელჩის პოზიციას.

მაგრამ, საელჩო არის პირდაპირი ანარეკლი იმისა, რაც ხდება ქვეყანაში, ჩვენ ამ ქვეყნის ნაწილი ვართ და ყოველთვის მოგვიწევს მისი პოზიციების დაცვა.

**- ახერხებს თუ არა საქართველოს საელჩო, დაიცვას ქართველი მოქალაქეების უფლებები ამერიკაში.**

- ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დავიცვათ ჩვენი მოქალაქეების უფლებები. თუმცა, ჩვენ ძალიან მწირი მატერიალური და ადამიანური რესურსები გვაქვს, რომ ყველას და ყველაფერს გავწვდეთ. დღეს საელჩოში სულ ექვსი-შვიდი კაცი მუშაობს და ბევრი სირთულე ახლავს ჩვენს ფინანსურ ცხოვრებასაც.

**- შეუძლია თუ არა საელჩოს, დაიცვას იმ ქართველების უფლებები, ვინც აქ არალეგალურად ცხოვრობენ?**

- ის ფაქტი, რომ შენი მოქალაქეები აქ არალეგალურად ცხოვრობენ, ბევრ დამატებით სირთულეს ქმნის. მაგრამ, ბუნებრივია, ჩვენ მათ დახმარებაზე უარს არ ვეტყვით.

**- გაქვთ თუ არა მონაცემები, რამდენი ქართველია ალალეგალურად ამერიკაში?**

- ციფრები არსებობს, მაგრამ ისეთი წინაალმდეგობრივია, რომ რეალურ სურათს არ ქმნის.

საეჩოში იმი აღრიცხვაც არ ხდება, თუ რამდენი ქართველი ცხოვრობს აქ ლეგალურად. ჩვენთან ფიქსირდებიან მხოლოდ ისინი, ვისაც კონკრეტული დახმარება სჭირდებათ.

იმედი მაქვს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მალე უფრო მეტი ინფორმაცია მექნება.

# ვის მიჰყიდა არძინბას კლანმა ორი კილოგრამი ურანი-235

პირველი გვერდიდან

ილია ვეკუას სახელობის ინსტიტუტი ორი საიდუმლო ლაბორატორიისგან შედგება: **A** ლაბორატორია მდებარეობს სინოპში, **B** – აგუძერაში. ამ ლაბორატორიებში წლების მანძილზე მიმდინარეობდა ატომური იარაღის შესაქმნელად ურანის გამდიდრება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ასევე, დიფუზიურ ტექნოლოგიებს, ტარდებოდა გამოკლევები გაზურ ცენტრიფუგებზე - პირველი საბჭოთა ცენტრიფუგის შექმნა სწორედ სოხუმის ინსტიტუტში წარმოებულ კვლევებზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი.

ოფიციალური ინფორმაციით, ნიკიტა ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით, 70-



ვალტერ კაშია

გოგიტა გაბაიძის ფოტო

იანი წლების ბოლოდან სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურმა ინსტიტუტმა სამხედრო მნიშვნელობა დაკარგა და ძირითადად არატრადიციული ენერგეტიკის პრობლემების კვლევით იყო დაკავებული.

**"თუმცა, ინსტიტუტს მაინც ჰქონდა დახურული ტიპის პროგრამები, მაგალითად, ვმუშაობდით კოსმოსური დანიშნულების თერმოემისიური ბირთვული დანადგარის შექმნაზე. ასევე გრძელდებოდა სამუშაოები თერმობირთვული იარაღის შესაქმნელად. არ გამოვრიცხავ, რომ იყო სხვა საიდუმლო პროგრამებიც, რომელთა შესახებაც ინსტიტუტის თანამშრომლებმაც არაფერი ვიცოდით,"** – გვითხრა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ამჟამინდელმა დირექტორმა ვალტერ კაშიამ, რომელმაც, ინსტიტუტის სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად, სოხუმის დაცემამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა აფხაზეთის ტერიტორია.

სწორედ ინსტიტუტის ქართული კოლექტივის ევაკუაციამდე, 1993 წლის 21 ივნისს მაშინდელი დირექტორის რევაზ სალუქვაძის ინიციატივით გადაწყდა, რომ ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული ყველა რადიაქტიური ნივთიერების და ნარჩენების აღწერა ჩატარებულიყო. აღწერის ოქმის მიხედვით, ქართველებმა სოხუმში 244 დასახელების რადიაქტიური გამოსხივების წყარო დატოვეს, მათ შორის - 655 გრამი 90-96 პროცენტით გამდიდრებული ურანი-235 - სპეცსაწყობის "გ" განყოფილებაში. **"ამ რაოდენობის ურანი სოხუმში, დაახლოებით, 1987 წლიდან იყო. თუმცა, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია მხოლოდ ერთი ლაბორატორიის, ერთი განყოფილების მიხედვით. ინსტიტუტის ტერიტორიაზე კი ასეთი 40 განყოფილებაა, ამიტომ, ალბათ, სინამდვილეს ის მოსაზრება უფრო შეეფერება, რომ იქ გამდიდრებული ურანის გაცილებით მეტი რაოდენობა იყო, საუბარია, დაახლოებით, 2 კილოგრამამდე ურანზე,"** – ამბობს ვალტერ კაშია.

სოხუმიდან გამდიდრებული ურანის გაქრობაზე პირველად 1993 წელს ალაპარაკდნენ (არაოფიციალური ინფორმაციით, სოხუმის ურანი უკრაინისა და ბელორუსიის გავლით პოლონეთში გადაიტანეს), თუმცა, იმის გამო, რომ სეპარატისტები აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ქართველ და არც საერთაშორისო დამკვირვებლებს ბოლო დრომდე არ უშვებდნენ, ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დასტურდებოდა. 1997 წლის ბოლოს ინსტიტუტის ტერიტორიაზე რუსეთის ატომური ენერგიის სამინისტროს, ე.წ. ობნინსკის ჯგუფი დაუშვეს, თუმცა, მათ ინვენტარიზაციის შედეგებზე საჯაროდ საუბარი არ ისურვეს. შარშან, მაისში, ფაქტობრივად, დადასტურდა, რომ სოხუმში აღარ არის იმ რაოდენობის ურანი, რომელიც სოხუმში ქართველებმა დატოვეს. ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს-ი) მონიტორინგის შემდეგ გაირკვა, რომ იქ ურანი ძალიან მცირე რაოდენობით არის დარჩენილი. **"მართალია, ჩვენ არ მოგვეცა სოხუმის ინსტიტუტის კომპლექსური დათვალიერების საშუალება, ვერ შევძელით, გაგვეხსნა სეიფი, სადაც ურანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე რაც ვნახე, იქ 10-20 გრამზე მეტი ურანი არ არის,"** – გვითხრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს რადიაქტიური და ბირთვული უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა სოსო კაკუშაძემ, რომელიც აესსის დელეგაციაში შედიოდა.

ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო სააგენტოები და საქართველოს უშიშროების სამინისტრო იზიარებენ იმ აზრს, რომ აუცილებელია სოხუმში არსებული რადიაქტიური წყაროებისა და სპეცდანადგარების სერიოზული კონტროლი. **"კონკრეტულად ძნელია ისაუბრო, თუ საით წავიდა სოხუმიდან ურანი. ფაქტია, რომ ძალიან ბევრი ადამიანია, ვისაც დააინტერსებდა ეს მასალა, მით უფრო, რომ აფხაზეთი აბსოლუტურად უკონტროლოა, იქიდან თავისუფლად შეიძლება გაიტანო ყველაფერი, თუნდაც ზღვით, თურქეთის ან უკრაინის მიმართულებით. ასევე გამოჩნდებიან ადამიანები და სახელმწიფოები, ვისაც იქ არსებული დანადგარები და, საერთოდ, ინსტიტუტში დარეჩენილი რესურსი დააინტერესებს. უკონტროლობის პირობებში არსებობს რეალური საშიშრება, რომ ამ დანადგარებით მესამე ქვეყნებმა ისარგებლონ,"** – გვითხრა უშიშროების სამსახურის პრესსამსახურის უფროსმა ნიკოლოზ ლალიაშვილმა. აესს-ის ვენის ოფისის წარმომადგენელი მარკ გვოზდეცკი აცხადებს, რომ **"სოხუმში აუცილებელია უფრო სრულყოფილი მონიტორინგის ჩატარება, იქ უსაფრთხოების წესები უკეთესის სურვილს აღძრავს".**

**"ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, ნებისმიერ ქვეყანაში მოვიპოვოთ ინფორმაცია, რომელიც ბირთვულ იარაღს უკავშირდება. ასევე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, ნამდვილად ხომ არ არის იქ დანადგარები, რომელიც ბირთვული იარაღისთვის საჭირო მასალების საწარმოებლად გამოდგება,"** – მიაჩნია აესს-ის დამკვირვებელთა ჯგუფის კიდევ ერთ წევრს, კენჯი მურაკანის.

ომის შემდეგ არძინბას კლანმა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის რეორგანიზაცია მოხდინა და იგი ე.წ. აფხაზეთის სამეცნიერო ცენტრში გააერთიანა.

ინსტიტუტში დარჩენილ თანამშრომლები (მათ შორის არიან ქართველებიც), ძირითადად, რუსეთის ატომური ენერგიის სამინისტროს შეკვეთებს ასრულებენ და ხელფასსაც მოსკოვიდან იღებენ. ინსტიტუტს ამჟამად ვინმე მარხოლია ხელმძღვანელობს. ვალტერ კაშია ადასტურებს, რომ სოხუმში ქართველებმა მართლაც დატოვეს დანადგარები, მაგალითად, ე.წ. პროფესორ კალანდარიშვილის ელექტროსტენდი, რომელიც საშუალებას იძლევა, მრავალელემენტაინი, თერმოემისური გარდამქნელის შემადგენლობაში, ურანი ბირთვული რეაქტორის გარეშე გამოცადო.

**"ერაყისა და სხვა პოტენციური ბირთვული სახელმწიფოებისთვის მთავარი პრობლემა ურანის გამდიდრებისთვის დანადგარების არქონაა. მათთვის სოხუმის თუნდაც 40-წლიან ცენტრიფუგასაც შეუძლია სერიოზული შედეგის მოტანა. ისინი ყოველთვის ეძებენ ასეთ ადგილებს და ალბათ, სოხუმსაც შეისწავლიდნენ. არ არის გამორიცხული, მათ ეფიქრათ იქ არსებული დანადგარების შეძენაზე. სოხუმის ინსტიტუტი გამოირჩევა იმით, რომ იქ არსებული ლაბორატორიებისა და დანადგარების შესახებ ინფორმაცია პრაქტიკულად არ არსებობს, არ არის გამორიცხული, რომ იქ დარჩენილი მეცნიერები ასრულებდნენ შეკვეთებს და ბოლომდე მუშაობდნენ ურანის გამდიდრების ტექნოლოგიაზეც,"** – აცხადებს ვაშინგტონის მეცნიერებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტის ფიზიკოსი დევიდ ელბრაიტი, რომელიც 90-იანი წლების დასწყისში აესს-ის დამკვირვებელი იყო ერაყში. ელბრაიტის მოსაზრება რეალობასთან ახლოს უნდა იყოს, თუ მხედველობაში მივიღებთ "ასოშეითედ პრესის" ცნობას, რომ **"90-იანი წლების დასაწყისში უკრაინას, ცენტრიფუგის გამდიდრების საკუთარი ტექნოლოგიის განვითარებაში, მეცნიერთა სწორედ ის ჯგუფი დაეხმარა, რომელიც ომის დროს სოხუმიდან გაიქცა".**

ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ლიზა კატლერმა გუშინ განაცხადა, რომ, ჯერჯერობით, მისთვის არ არის ცნობილი ამ მიმართულებით აფხაზეთთან დაკავშირებით ამერიკის რაიმე ოფიციალური გეგმის არსებობის შესახებ. კატლერი ამას აფხაზეთის გაურკვეველი სტატუსითა და იქ შეღწევის პრობლემებით ხსნის.

# რუსული პრესა ამტკიცებს, რომ „სიტუაცია პანკისის ხეობაში თანდათან გამოდის ქართველი ძალოვანების კონტროლიდან„

რუსიკო ნიკურაძე

რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ სიტუაცია პანკისის ხეობაში თანდათან გამოდის საქართველოს სპეცსამსახურების კონტროლიდან. "ნეზავისიმაია გაზეტა" 27 ივნისის ნომერში წერს, რომ "ბოევიკებისათვის", პრაქტიკულად, შეუფერხებლად ხდება ღამის პერიოდში დიდი სატვირთო მანქანებით იარაღის, მოძრავი საზენიტო კომპლექსებისა და კავშირის საშუალებების მიწოდება. გაზეთი იმოწმებს ქართველი ჟურნალისტების ინფორმაციებს, რომ ცალკეული რაზმები ნატო-ს უნიფორმებს ატარებენ და სამთო მოწყობილობებიც აქვთ.

გაზეთს მოჰყავს რუსეთის თავდაცვის მინისტრის, ივანოვის მიერ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება, რომ იგი დაიღალა იმ დოკუმენტების კითხვით, სადაც სერიოზული სიგნალებია პანკისის ხეობაში რუსეთის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული აქტების თაობაზე.

**"ეჭვგარეშეა, საითაც აპირებენ წასვლას "ბოევიკები" - ჩრდილოეთით, რუსეთში. ჩეჩნეთის მთელ რიგ რაიონებში ფედერალური დანაყოფების მიერ ნაპოვნია იარაღის ახალი საწყობები. ბანდფორმირებების ლიდერების წინაშე დგას სერიოზული ამოცანა – გაიმეორონ 1996 წლის აგვისტო. ამას ამტკიცებს მასხადოვის მიერ დაგეგმილი გროზნოს დაპყრობის ოპერაცია "ჯიხადი-2" და უკანასკნელ დღეებში ბანდფორმირებების მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტები,"** - წერს გაზეთი.

რუსული წყაროები ამტკიცებენ, რომ უკანასკნელი ჯგუფი 25 ივნისს დააკავეს ვლადიკავკაზის სასაზღვრო რაზმებმა და ისინი სულაც არ ჰგავდნენ უბრალო მონადირეებს. არ არის გამორიცხული, რომ ეს მზვერავთა ერთ-ერთი ჯგუფიც ყოფილიყო, რომელიც, საზღვრის გადალახვის მარშრუტთან ერთად, იმასაც ამოწმებდა, თუ როგორ აკონტროლებენ რუსი მესაზღვრეები იქაურობას.

მოსკოვში კარგად ინფორმირებული წყაროები ამტკიცებენ, და ამაზე წერს "ნეზავისიმაია გაზეტაც," რომ "ბოევიკები" წელს რევანშის აღებას აპირებენ და ამ მიზნით მათ უცხოელი სპონსორები გარკვეულ თანხებს ურიცხავენ. ივნისის თვეში რუსეთის სპეცსამსახურებმა აღკვეთეს 360-ათასდოლარიანი ფინანსური მაქინაცია, რაც აშკარად ჩეჩნური ბანდფორმირებებისათვის იყო განკუთვნილი.

გაზეთს მოჰყავს აშშ-დან მიღებული საინტერესო ინფორმაცია. გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, ჩეჩნეთის ბანდფორმირებების ერთ-ერთი გულუხვი სპონსორია მუსულმანური საქველმოქმედო ფონდი "ალ ბირ ალ დავალია". იგი 1992 წელს დაუარსებია საუდელ შეიხ ადილ აბდულ გალილ ბეტარჯის, რომელიც უსამა ბენ ლადენთანაა დაკავშირებული. როგორც ა.წ. 7 მაისს FBI-ს მიერ დაპატიმრებული ფონდის ხელმძღვანელი ეამ არნაუტი, იგივე აბუ მაჰმუდი აჩვენებს, ჩეჩნეთში ბანდფორმირებების დასაფინანსებლად ფული ფონდის განყოფილებებზე ირიცხებოდა საქართველოში, აზერბაიჯანსა და ლატვიაში გახსნილ ანგარიშებზე. FBI-ს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ 2000 წლის უკანასკნელი ოთხი თვის მანძილზე ხატაბისა და ბასაევის ბანდფორმირებებმა ამ განყოფილებებიდან მიიღეს 700 ათასი დოლარი. ასეთი "სპონსორების" რიცხვი, გაზეთის მტკიცებით, ორ ათეულს ითვლის.

ექსპერტების მონაცემებით, რუსეთის სამხრეთით დაძაბულობის კერების შესანარჩუნებლად საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციებისათვის ყოველწლიურად 20-დან 30 მილიონამდე დოლარი გამოიყოფა.

# გენერალი ანდრეი ნიკოლაევი: „არ მინდა, თუნდაც ერთი ჯარისკაცი დამეღუპოს პანკისის ხეობაში!„...

პირველი გვერდიდან

საკითხი საქართველოს ისტორიულმა მეზობლებმა უნდა გადაწყვიტონ. ამ გზაზე კი შევარდნაძე სერიოზული შემაფერხებელი ბარიერია თავისი წარსულით და რუსეთისადმი შეურიგებლობით.

ჩემი თხოვნაა, პირდაპირ ასე დაწერეთ თქვენს გაზეთში, რომ სანამ შევარდნაძე საქართველოს ლიდერია, არაფერი სასარგებლო და პოზიტიური საქართველოში არ მოხდება. მინდა გაიგოს ქართველმა ხალხმა, რომ ჩვენ ერის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, პირიქით. გაიგეთ, რომ თქვენ ჩვენს პრობლემას არ წარმოადგენთ. ამიტომ ქართველმა ხალხმა თვითონ უნდა გადაჭრას ხელისუფლების შეცვლის პრობლემა, მანვე უნდა შეუწყოს ხელი ხელისუფლებაში ახალი ადამიანების მოსვლასაც. ამისათვის სულაც არ არის საჭირო საქართველომ რუსეთს ფეხები ულოკოს. ამაზე არც არავინ ლაპარაკობს. ამას არც არავინ ითხოვს. საუბარია მხოლოდ რუსეთ-საქათველოს ნორმალური ურთიერთობების აღდგენაზე.

**- მას შემდეგ, რაც რუსეთის პრესაში იგორ გიორგაძესთან ინტერვიუ ქვეყნდება, თანაც ოფიციოზში, ალბათ, საქართველოს ხელისუფლება ვერ იქნება რუსეთისადმი კეთილად განწყობილი...**

-მე არ მინდა ამ ინტერვიუს კომენტირება, რადგანაც იგორ გიორგაძეც საქართველოს შიდა პრობლემაა. აქ პრინციპული სულ სხვა საკითხია: შევარდნაძე დღეს ვერ აკონტროლებს საკუთარი ქვეყნის უდიდეს ტერიტორიას, სიტუაციას, რითიც რუსეთის სხელმწიფოებრივ უშიშროებასაც საფრთხე ემუქრება. ამის მიუხედავად, ჩვენ ვამბობთ, რომ შევარდნაძე რუსეთის წინაშე კი არა, საკუთარი ხალხის წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი. მაგრამ, მეორე მხრივ, შევარდნაძე, როგორც საქართველოს მეთაური, პასუხისმგებელი უნდა იყოს იმაზე, თუ რატომ უნდა იზარალოს რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი კრაზანების ბუდით? რატომ, რის საფუძველზე?

იგივე ამერიკელები ნამდვილად არ მოითმენდნენ ჩვენს ადგილას მსგავსის იდეაში დაშვებასაც კი. რუსეთის ადგილას, ამერიკელებს უკვე დიდი ხნის დაბომბილი ექნებოდათ პანკისის ხეობა, საიდანაც ტერორიზმის საფრთხე მარტო ჩვენ კი არა, ქართველ ხალხსაც უკვე სერიოზულად ემუქრება. რუსეთის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა კიდევ თავშეკავებულად იქცევა, მაგრამ ეს დამოკიდებულება ეფუძნება არა ჩვენს შორის ტრადიციულად კეთილ ურთიერთობებს, არამედ პროფესიონალურ, ტექნიკურ საკითხს - პანკისის ხეობის დაბომბვა არ არის პრობლემის მოგვარების მეთოდი. სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა არ შედიოდა და არ შედის რუსეთის ინტერესებში, ჩვენ მოვუწოდეთ საქართველოს ხელისუფლებას, ძალოვან სტრუქტურებს, დაემყარებინათ წესირიგი საკუთარ ტერიტორიაზე. პასუხად ამერიკელები მოიწვიეს. ალბათ, ამერიკელები მთელი ცხოვრება სვანებთან ერთად მთებში დადიან და კარგად იცნობენ იქაურობას. რა გვეთქმის.

**- არ მიგაჩნიათ, რომ რუსეთის პრეზიდენტის განცხადების მერე კვლავ აქტუალური შეიქმნება პანკისის ხეობაში ერთობლივი ოპერაციის ჩატარების საკითხი?**

- მე, როგორც გენერალს და სამხედროს, ხელს არ მაძლევს და არ მინდა, თუნდაც ერთი ჯარისკაცი დამეღუპოს პანკისის ხეობაში. რუსეთი საქართველოს დაეხმარება ტექნიკურ საკითხებში, ინფორმაციის გაცვლაში, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაში, მაგრამ ცოცხალი ძალით - არასდროს. პანკისი საქართველოს ტერიტორიაა და კეთილი ინებოს მისმა ხელისუფლებამ, საკუთარი ძალებით დაამყაროს წესრიგი.

www.24hours.ge 24 B

## ბესიკ ლიპარტელიანი: „სტეფანია და ცქიტიშვილი ნაკრებს ვერ დაეხმარებიან„

დიმიტრი ოზოლაძე

საქართველოს ნაკრები 2003 წლის შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპში ჩაებმება. წინა წლებთან შედარებით სიტუაცია უფრო მარტივი და ნათელია. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დებულებაში ცვლილებები შეიტანა. უკვე აღარ არსებობს ეგრეთ წოდებული "საკვალიფიკაციო" ეტაპი, რომელიც ქართველებმა ვერც ერთხელ ვერ გადალახეს. შედგება ჯგუფები, რომლებშიც პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები პირდაპირ ხვდებიან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. რეალურად ეს ის დროა, როდესაც ქართული კალათბურთის დღევანდელმა თაობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას და გუნდი ევროპის ჩემპიონატზე მოხვდეს. სტეფანია, ცქიტიშვილი, ფაჩულია, ბოისა, კეიდია, უგრეხელიძე და სხვები - ეს ნიჭიერი თაობა, უბრალოდ, ვალდებულია ითამაშოს მაღალ დონეზე. ამისთვის კალათბურთის ფედერაციის ხელშეწყობა და ძალისხმევაა საჭირო. ფერედაციის ახალგაზრდული შემადგენლობა ყოფილი კალათბურთელებით და სპორტის ამ სახეობაში გარკვეული ადამიანებითაა დაკომპლექტებული. ცნობილი კალათბურთელი და მწვრთნელი, ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი კომენტარს უკეთებს დღეს შექმნილ სიტუაციას: "ცქიტიშვილის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრა უდიდესი წარმატებაა. მისი "დენვერ-ნაგეტსში" მოხვედრის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართულ კალათბურთს უდიდესი პოტენციალი აქვს. ჩვენ შესანიშნავი თაობა გვყავს და დიდი წარმატების მისაღწევად მხოლოდ საქმის სწორად წარმართვაა საჭირო. სტეფანია ჯერ "მაიამი-ჰიტის" საკუთრებაა. თუმცა, ჯერ არ ვიცით, დარჩება თუ არა ამ გუნდში. საქმე ის არის, რომ მაიამელთა დღევანდელი მწვრთნელი პატ რაილი შეიძლება პოსტიდან წავიდეს და კლუბის პრეზიდენტი გახდეს. ეს გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს, რაც, შესაძლოა, ვლადიმერსაც შეეხოს. გაურკვეველია ცქიტიშვილის საკითხიც. ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და პირველ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება გაუჭირდება. შეიძლება მან კიდევ ერთი სეზონი, (თუმცა, როგორც "დენვერის" კალათბურთელმა), ევროპაში გაატაროს, რომელიმე კლუბის ხუთეულში თამაშის გარანტიით. მაგრამ მისი ახალი კლუბი გრანდებს არ მიეკუთვნება და ცქიტიშვილს შემადგენლობაში მოხვედრის რეალური შანსი აქვს.

რაც შეეხება სტეფანიასა და ცქიტიშვილის ეროვნულ ნაკრებში თამაშს: ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატში 2003 წლის ნოემბერში ჩაებმება. კალენდარი ცნობილია, მოწინააღმდეგე გუნდების ვინაობა კი - ჯერ არა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოთამაშე კალათბურთელებმა შეძლონ ეროვნულ ნაკრებში თამაში. ეროვნული ასოციაციის არც ერთი კალათბურთელის კონტრაქტში არ არის პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ნაკრების ინტერესებს. ასე რომ, სტეფანიასა და ცქიტიშვილის გარეშე მოგვიწევს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა. თუ ჩვენ ფინალში გავალთ და მათი გუნდები პლეი-ოფში ვერ გავლენ, სიტუაცია შეიცვლება. ცქიტიშვილი და სტეფანია ნაკრებს შეუერთდებიან. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ ამისთვის."



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

"სარბიელის" ფოტო

# ამერიკამ იპოვა, საქართველომ დაკარგა

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი**

**დაიბადა:** 1983 წლის 14 აპრილს სოხუმში
**სიმაღლე:** 212 სანტიმეტრი
**წონა:** 102 კილოგრამი
**კარიერა:** თამაში დაიწყო თბილისის 58-ე საკალათბურთო სკოლაში
2000-01 "სლოვანი" (სლოვენია)
2001-02 "ბენეტონი" (ტრევიზო, იტალია)
"დენვერ-ნაგეტსი"

ნებისმიერი თანამედროვე კალათბურთელის საბოლოო მიზანი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში (NBA) მოხვედრაა. ორმაგად საამაყო და მნიშვნელოვანია, თუ ამას 19 წლის ასაკში მიაღწევ. ვლადიმერ სტეფანიას, რომელიც ამერიკაშია და დღეს "მაიამი-ჰიტის" საკუთრებაა, კიდევ ერთი ქართველი - იტალიის "ბენეტონის" თავდამსხმელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი შეუერთდა. მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები მოიარა კადრებმა, რომლებითაც ეროვნული საკალათბურთო ლიგის კომისარი დევიდ სტერნი ნიკოლოზ ცქიტიშვილს საზოგადოებას აცნობს.

ცქიტიშვილი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში იტალიის ტრევიზოს „ბენეტონიდან" მიდის.

17 წლის ცქიტიშვილი სლოვენიაში მოხვდა და ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, "სლოვანში" ჩაირიცხა. მანამდე იგი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, სოხუმელი კალათბურთელებით დაკომპლექტებულ "კოლხაში" თამაშობდა. სლოვენიაში ქართველს 31 თამაში აქვს ჩატარებული. ამ ხნის განმავლობაში 510 ქულა მოიპოვა და 113 მოხსნა შეასრულა. ცქიტიშვილი თითო შეხვედრაში საშუალოდ 20 წუთს თამაშობდა და, სტატისტიკის მიხედვით, საშუალოდ 8,1 ქულას აგროვებდა. შემდეგ ქართველი კალათბურთელი იტალიელი სკაუტების ყურადღების ცენტრში მოექცა და საბოლოოდ ტრევიზოში აღმოჩნდა. NBA-ში მოხვედრამდე, 18 წლის "ცქიტომ", როგორც მას საკალათბურთო წრეებში ეძახიან, იტალიის ჩემპიონის ტიტულის მოგებაც მოასწრო. 2001-2002 წლები "ბენეტონში" გაატარა. 11 შეხვედრაში ცქიტიშვილმა სამქულიანების ზუსტი ტყორცნით გამოიჩინა თავი. "ახალგაზრდა ქართველი ნიკოლოზ ცქიტიშვილი 212 სანტიმეტრი სიმაღლისა. მიუხედავად ამისა, საოცრად ზუსტი სამქულიანი ტყორცნებით გამოირჩევა და დიდ ყურადღებას იმსახურებს", - წერს ამერიკული პრესა. ვისაც ქართველი კალათბურთელის თამაში უნახავს, მან იცის, რომ ცქიტიშვილი არა მხოლოდ სნაიპერული თვისებებით, არამედ მოედანზე სწრაფი აზროვნებითაც გამოირჩევა. ქართველის NBA-ში გადასვლას იტალიური პრესაც გამოეხმაურა: "ცქიტიშვილი უდიდესი პოტენციალის მქონე კალათბურთელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის ძალიან ძლიერია როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. არავის უნახავს გაბრაზებული ან წყობიდან გამოსული ცქიტიშვილი. თუ მის აღნაგობას, გონებას, შორიდან ზუსტ ტყორცნებს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ცქიტიშვილს უდიდესი მომავალი აქვს. მას არ უნდა გაუჭირდეს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციში ადგილის პოვნა."

მოკლედ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას კიდევ ერთი ქართველი შეემატა. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. თუმცა, არსებობს მეორე მხარეც - საქართველოს ნაკრები. ეროვნულმა ნაკრებმა, ფაქტობრივად, დაკარგა ვლადიმერ სტეფანია. იგივე შეიძლება ვთქვათ ცქიტიშვილთან დაკავშირებითაც.

# მერაბ ჟორდანია: შვეიცარიაში UEFA საქართველოზე იმსჯელებს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია შვეიცარიაში გაემგზავრნენ, სადაც უეფა-ს ხელმძღვანელებს შეხვდებიან. გამგზავრებამდე მერაბ ჟორდანია ესაუბრა გაზეთ "24 საათს":

- უეფა-ს ხელმძღვანელობასთან ერთად რამდენიმე საკითხი გვაქვს განსახილველი. ამ მიზნით, 28 ივნისს, 12 საათზე, უეფა-ს გენერალურ მდივანს გერჰარდ აიგნერს შევხვდებით. ამ შეხვედრაზე განსახილველი მთავარი საკითხი იმ პროექტის მიმდინარეობაა, რომელსაც უეფა საქართველოში ახორციელებს. საუბარია ფეხბურთის ფედერაციის ოფისის მშენებლობაზე, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის უეფა-ს დახმარებით შედგენილი პროექტის განხორციელებაზე და სხვა ერთობლივ პროექტებზე.

წინასწარ მინდა განვაცხადო, რომ უეფა-ს ხელმძღვანელობა დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ყრილობის მიმართ და ბატონ აიგნერთან ამ თემაზე აუცილებლად გვექნება საუბარი. ვფიქრობ, უეფა-ს ხელმძღვანელობა უნდა ჩავაყენოთ საქმის კურსში სფფ-ს ბოლო აღმასკომის სხდომაზე განვითარებული მოვლენების შესახებ - თუ რა სიტუაციაა დღეს საქართველოში სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ვინ როგორი ხერხებით აპირებს ამ არჩევნებში მონაწილეობას და რა პოზიცია უჭირავს ქვეყნის ხელისუფლებას.

ამას გარდა, თან მიმაქვს სფფ-ს წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებული მასალებიც. სასამართლოსთან და მის გადაწყვეტილებასთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს. ეს სტრუქტურა ვალდებულია, განიხილოს ნებისმიერი სარჩელი. საქმე ის არის, რომ ჩვენს სუბიექტებს ფიფა-ს და უეფა-ს წესდებების შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება არ აქვთ. ნებისმიერი სადავო საკითხი ირჩევა ან ფედერაციაში, ან ჩვენს ზემდგომ ორგანიზაციაში – უეფა-ში და ფიფა-ში. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არაერთხელ გამოუჩენია ლოიალობა ამ წესის დამრღვევთა მიმართ და სერიოზული სანქციებისთვის არ მიუმართავს. როგორც ჩანს, ჩვენი ასეთი დამოკიდებულება ზოგიერთს სხვაგვარად ესმის. არადა, ასეთი ქმედებები საერთო საფეხბურთო ოჯახის იმ პრინციპების ნგრევის მცდელობაა, რომელსაც ათწლეულების მანძილზე აყალიბებდა ფიფა. ამიტომაც, ამჯერად, სასამართლოში სარჩელის შემტანი ჩვენი სუბიექტების – საფეხბურთო კლუბების "დინამო" თბილისის და ზესტაფონის "მეტალურგის", ასევე თბილისის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ უეფა-ს ხელმძღვანელებთან კონსულტაციის შემდეგ უმკაცრეს სანქციებს გავატარებთ. წინასწარ მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ სამივე სუბიექტი აქამდე ქართული მასშტაბებისთვის არნახული ფულადი ჯარიმით დაისჯება. საბოლოო გადაწყვეტილებას ამის თაობაზე შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ გამცნობთ.

# ბრაზილიას კვლავ სწამს თავისი „წმინდა სამეულის„

**"თუ რონალდო კარგად იქნება, მაშინ ბრაზილიაც კარგად იქნება"**, - კოპაკაბანაზე ეს ფრაზა სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის. ოთხშაბათის შემდეგ ბრაზილიის საქმე ნამდვილად კარგად არის: სწორედ რიო-დე-ჟანეიროს ღარიბ კვარტალში გაზრდილმა, 25 წლის რონალდომ გაიყვანა "სელესაო" მუნდიალის ფინალში.

ბრაზილიის ყველა ქალაქის ქუჩებში სულ უფრო ხშირად გაისმის – "პენტა, პენტა", რაც პორტუგალიურად მეხუთეს ნიშნავს. **"ჩვენ მეხუთე ტიტულს მოვიპოვებთ"**, - ამბობენ ბრაზილიელები. თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ფერნანდო ენრიკე კარდოზომ გამოხატა თავისი აზრი ნაკრების მოსალოდნელი ტრიუმფის შესახებ: **"იმ სიამაყეს, ტალანტს და სულს, რომელიც მაღალმა ღმერთმა დაგვანათლა, ვერავინ აღუდგება წინ. ბრაზილიის შეჩერება შეუძლებელია."**

სამხრეთამერიკელთა მთავარი იმედი "რრრ-თავდასხმაა", ანუ შემტევი ტრიო: რონალდო, რივალდო, რონალდინიო. სულ ცოტა ხნის წინათ ბრაზილიურმა მედიამ სამივე მათგანი ლამის ჯვარზე გააკრა, რაც საკვალიფიკაციო ტურნირში, რბილად რომ ვთქვათ, უღიმღამო გამოსვლით იყო გამოწვეული. ახლა კი მთელი ბრაზილია "ალელუიას" მღერის და თავის "წმინდა სამეულს" (*გაზეთი "O Globo"*) სანთლებს უნთებს. ბრაზილიელთა მიერ წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე გატანილი 16 გოლიდან 13 სწორედ ამ ტრიოს ანგარიშზეა. თურქეთთან მატჩამდე "სელესაოს" დიდი საშიშროება ემუქრებოდა: ხმა გავრცელდა, რომ შეიძლებოდა, სამეულს რონალდო გამოჰკლებოდა. ოთხშაბათის შემდეგ კი ყველაფერი ისევ კარგადაა - თურქების წინააღმდეგ მატჩში რონალდოს მიერ განხორციელებულმა სოლო-რეიდმა და რუშთუს კარში გატანილმა გოლმა ყოველგვარი ეჭვი გააქარწყლა. **"ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაბარდა. მე კვლავ ჯანმრთელი და ბედნიერი ვარ. ბედნიერი ისე, როგორც არასოდეს,"** – განაცხადა რონალდომ, რომელსაც საკუთარმა გოლმა ნაკრებს მიღმა დარჩენილი რომარიო გაახსენა, - **"ეს იყო გოლი რომარიოს სტილში, რაც ძალიან მეამაყება."**

"ფენომენად" წოდებული რონალდო, ქრონიკული ტრავმების გამო, იძულებული იყო, 2 წლით ჩამოშორებოდა დიდ ფეხბურთს. უამრავი გულშემატკივარი დარწმუნებული იყო, რომ ის ველარ შეძლებდა მინდორზე დაბრუნებას. მაგრამ ის დაბრუნდა და მსოფლიო ჩემპიონატის ბომბარდირთა სიას ჩაუდგა სათავეში. **"ის მძიმე პერიოდი ჩემი მეხსიერებიდან ამოვშალე,** - ყვება რონალდო და განაგრძობს, – **ჩემი მზერა ახლა მხოლოდ მომავლისკენ არის მიმართული. ყოველი გოლი წარმოუდგენლად მახარებს, რადგან ამ გოლებით ბრაზილია წინ მიიწევს. მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი მსოფლიო თასია. გვინდა, რაც შეიძლება, მალე დავივიწყოთ 1998 წლის იმედგაცრუება. ძალიან მინდოდა, ფინალში საფრანგეთს შევხვედროდით და შური გვეძია, მაგრამ არა უშავს, არც გერმანიაა ურიგო მეტოქე."**




*რონალდო და მთელი ბრაზილია*

REUTERS

ბრაზილიელთა "წმინდა სამეულიდან" ყველაზე უმცროსი 22 წლის რონალდინიოა. ერთი წლის წინათ ის ჯერ კიდევ ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრის "გრემიოს" ღირსებას იცავდა. შემდეგ ისიც ევროპის გზას დაადგა - საფრანგეთის "პარი სენ ჟერმენში" თამაშობდა. ბევრი პრობლემა ჰქონდა აკლიმატიზაციასთან დაკავშირებით. თუმცა, ლუის ფელიპე სკოლარისთვის რონალდინიოს ნაკრებში თამაშის საკითხი არასოდეს ყოფილა საორჭოფო, ის მას ყოველთვის ენდობოდა, ალბათ, იმიტომაც, რომ "გენერალი" ჯერ კიდევ "გრემიოში" იყო "პატარა რონალდოს" მასწავლებელი.

რამდენიმე თვის წინათ თვით რივალდოც კი გახდა მწვავე კრიტიკის მსხვერპლი. ბრაზილიელებს ნაკლებად ადარდებთ მისი დამსახურება "ბარსელონას" წინაშე - მათ საკუთარი ნაკრები უფრო აინტერესებთ. აქ კი რივალდოს ხშირად უჭირს თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნება. **"რივალდომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაგვანახოს, რომ ის მხოლოდ "ბარსელონაში" არ არის მსოფლიო კლასის მოთამაშე,"** – განაცხადა დიდმა პელემ ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. რივალდომ კრიტიკა მიიღო და მას მუნდიალზე გატანილი ჯერჯერობით 5 გოლითა და ბრწყინვალე თამაშით უპასუხა. პელემაც არ დააყოვნა და განაცხადა: **"მე კმაყოფილი ვარ."**

სამივენი "მშივრები" მიდიან ფინალში - რონალდოს გარდა, არც ერთი არ შეხებია მსოფლიო თასს. ეს უკანასკნელი კი 1994 წლის ტრიუმფის თანამონაწილეა, თუმცა, არც ერთი წუთი არ უთამაშია მაშინდელ ტურნირზე. **"ფინალში მეორედ წაგებას ბრაზილია აღარ გვაპატიებს, ამას ვერც ჩვენ გადავიტანთ,"** – ამბობს მოღიმარი რონალდინიო და ცოტა ხნით ჩაფიქრდება. ფინალში ბრაზილიის მეტოქესთან დაკავშირებულ კითხვაზე კი ფეხბურთელს ჩვეული მიმიკა უბრუნდება და ის დიდი სიამოვნებით საუბრობს გერმანიის ნაკრებზე. მან ხომ თავისი ერთ-ერთი პირველი მატჩი ნაკრების შემადგენლობაში სწორედ გერმანელთა წინააღმდეგ ჩაატარა. ეს მოხდა 1999 წლის ზაფხულში. რონალდინიო მაშინ 19 წლის იყო და გოლიც გაიტანა გერმანელთა კარში. ის მატჩი ბრაზილიამ მოიგო - 4:0.

# გარი კასპაროვი: „ესპანეთს მოგება მოპარეს„

არაკეთილსინდისიერმა მსაჯებმა, სამხრეთ კორეასთან შეხვედრაში, ესპანეთს გამარჯვება "მოპარეს" და ამით მილიონობით გულშემატკივარს მოუსპეს შანსი, მათი საყვარელი გუნდის გერმანიასთან ან იქნებ ბრაზილიასთანაც, პაექრობა ეხილა. ამ საქციელით ტურნირის ორგანიზატორებმა მსოფლიო ჩემპიონატი "გააღარიბეს".

ეს სპეციალური სტატია, რომელიც ესპანურ გაზეთ "პაისში" გამოქვეყნდა, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა დაწერა. კასპაროვის შეფასებით, ეს იყო "გიგანტური თაღლითობა" და "ყველაზე უნამუსო დაყაჩაღება". მსოფლიო ჩემპიონმა აღნიშნა, რომ ამ სიტყვებს ესპანეთში ხშირი სტუმრობა კი არ ათქმევინებს, არამედ ის, რომ ამჟამინდელი ესპანეთის ნაკრები საუკეთესოა ბოლო წლების ფორმაციის გუნდებს შორის.

კასპაროვის თქმით, დადგა დრო, მსაჯების გადაწყვეტილებას დაეხმაროს კომპიუტერული აპარატურა, რომელსაც თამაშის შეუფერხებლად, წამებში შეუძლია, ზუსტი დიაგნოზი დაუსვას მინდორზე შექმნილ ყველა საეჭვო სიტუაციას.

მსოფლიო ჩემპიონს არ ეთანხმება ეგვიპტელი არბიტრი, ჯამალ განდური, რომელიც ესპანეთი-კორეის მატჩს უძღვებოდა. გაზეთ "პაისისთვის" მიცემულ ინტერვიუში განდურმა განაცხადა: **"მსაჯები ადამიანები არიან და შეცდომა მათაც მოსდით. შეცდომები ყოველთვის იქნება. რა თქმა უნდა, მსაჯების შეცვლა სასტვენიანი რობოტებითაც შეიძლება, მაგრამ იმ რობოტებს ხომ ისევ ადამიანები აპროგრამებენ".**

განდურმა მატჩის დამთავრების შემდეგ ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს ხოსე ანტონიო კამაჩოს უთხრა, რომ თვითონ შეცდომა არ დაუშვია. გვერდითი მსაჯების ობიექტურობაზე კი, რომლებსაც მცირე გამოცდილება აქვთ, პასუხს ვერ აგებს. ლაინსმენები ფიფა-ს სამსაჯო კომისიამ დანიშნა.

განდურმა ისიც განაცხადა, რომ ვიდეოჩანაწერი ნახა და მხოლოდ თავისი სიტყვების განმეორება შეუძლია – შეცდომა არა მან, არამედ მისმა თანაშემწეებმა დაუშვეს. თამაშის დროს კი, ლაინსმენების გადაწყვეტილების იგნორირება არ შეეძლო.

იმავე გვერდზე "პაისმა" იტალიური "კორიერე დე ლა სერას" ინფორმაცია დაბეჭდა, სადაც ნათქვამია, რომ ფიფა-ს პრეზიდენტმა, იოზეფ ბლატერმა, ესპანელთა პროტესტის მიუხედავად, იმ მატჩზე ტრინიდადი და ტობაგოელი მსაჯი დანიშნა, რადგან ბლატერი ამ ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობით არის დაკავშირებული.

*დაიჯესტი*

## იტალიური დუელი სოუზასთვის

პორტუგალიელი პაოლო სოუზასთვის კარიერის საუკეთესო პერიოდი დიდი ხანია წარსულად იქცა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ევროპაში მაინც არის რამდენიმე კლუბი, რომელთა პრეზიდენტები სულაც არ იტყოდნენ უარს სოუზას გადაბირებაზე.

სოუზა ამჟამად კატალონიური "ესპანიოლის" რიგებში ირიცხება, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელი, შესაძლოა, სულ მალე იტალიაში ვიხილოთ. სოუზათი ევროსარბიელზე მოასპარეზე "ბოლონიაა" დაინტერესებული. ასევე ძალიან აქტიურობს სერია ბ-დან ახლად გადასული "კომო", რომელიც, "კიევოს" მსგავსად, სერია ა-ში სენსაციის მოხდენას აპირებს და გამოცდილ ფეხბურთელებზე ნადირობს.

## ისტერია კორეაში

სეულის რადიოს ერთ-ერთი გადაცემის წამყვანმა ჟურნალისტმა ქალმა ჩოი ჰვა იონგმა კინაღამ ისტერიკაში ჩააგდო მთელი კორეა, როცა განაცხდა, რომ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელები დოპინგ-კონტროლზე ჩავარდნენ და ფიფა-მ ევროპელებს დისკვალიფიკაცია მისცა. ჟურანლისტი ისე დამაჯერებლად ამბობდა, გერმანელებს დოპინგ-ტესტზე "ჩაავლეს" და ამის გამო ფინალში კორეის ნაკრები გავაო, რომ ეს ამბავი მთელმა კორეამ დაიჯერა და ქვეყანა მასობრივმა ფსიქოზმა მოიცვა.

კორეელები რადიოში რეკავდნენ და ამ უცანური ახალი ამბის დადასტურებას ითხოვდნენ. ეს აურზაური მანამდე გაგრძელდა, სანამ არ გაირკვა, რომ გადაცემის წამყვანი შეცდა და დეზინფორმაცია გაავრცელა.

## სალასი ხულიგნობს

ტურინის "იუვენტუსის" ჩილელი ფორვარდი მარსელო სალასი თავის მშობლიურ ქალაქ ტემუკოში უსიამოვნო ინციდენტში გაეხვა. საქმე ის არის, რომ სალასმა ვერ აიტანა ზედმეტი ყურადღება და ერთ-ერთი ფანი შემოელახა.

"იუვეს" ფორვარდი სათევზაო და სანადირო ინვენტარის მაღაზიაში იყო, როცა ერთმა ფანმა ვიდეოკამერა მოიმარჯვა და, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, სალასის გადაღება მოისურვა. "ელ მატადორმა" ასეთი თავხედობა ვერ აიტანა და თაყვანისმცემელს კამერა დაუმტვრია.

## ვინ შეცვლის ბალაკს?

მიხაელ ბალაკის დისკვალიფიკაცია გერმანიის ნაკრებისთვის, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. ბალაკის გარეშე გერმანელებს ნამდვილად გაუჭირდებათ ფინალში.

ბალაკი ოცნებობდა ფინალში ბრაზილიასთან შეხვედრაზე და გულდაწყვეტილია, რომ ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში ვერ ითამაშებს. როცა მას ეკითხებიან, თუ ვინ მიაჩნია თავის შემცვლელად, ბალაკი სავსებით სერიოზულად აცხადებს, რომ ტორსტენ ფრინგსის დიდი იმედი აქვს და ფიქრობს, რომ გუნდი მის გარეშეც მოუგებს ბრაზილიას.

# ბრწყინვალედ შესრულებული გოლების ზეიმი

დერეკ ფოლი
იაპონია-კორეიდან
სპეციალურად
"24 საათისათვის"

რაც არ უნდა თქვათ წლევანდელ ჩემპიონატზე, ერთი რამ მაინც ფაქტია – ის ბრწყინვალედ შესრულებული გოლების ზეიმიც იყო. დღეს გთავაზობთ საუკეთესოდ მიჩნეული გოლების თორმეტეულს. ეს სია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით შედგა, კერძოდ: თითოეული ფეხბურთელის დიდებული თამაშის, გუნდური შემართების, კარგი კომბინაციის და დროის ზუსტად გათვლის მიხედვით.

მაშ ასე – გაიხსენეთ კორეა-იაპონია`2002-ის საუკეთესო მომენტები "24 საათთან" ერთად:

**იოჰან როდრიგესი, ურუგვაი-დანია:** ყველაფერი ალვარო რეკობას თამაშით დაიწყო. ის ბურთს მარცხენა ფრთაზე აჩერებდა, მალე მას პაბლო გარსიაც შეუერთდა და საუკეთესო ფინტებით ბურთით მანაც "იჟონგლიორა", ამასობაში გამოჩნდა იოჰან როდრიგესიც და ძლიერი დარტყმით ბურთი სორენსენის კარში გაიტანა. პრინციპში, თავისი დიდებული თამაშით, როდრიგესმა დანიელთა მეკარეს შანსი აღარც დაუტოვა.

**კრისტიან ვიერი, იტალია-ეკვადორი:** ეს პერიოდი იტალიელთა ნაკრებისთვის გაცილებით უფრო ბედნიერი ხანა იყო – მათ დამაჯერებელი ანგარიშით – 2:0 დაამარცხეს ეკვადორი. კრისტიან ვიერიმ ორივე გოლის გატანა მოახერხა და თავისი ბრწყინვალე თამაშით მაშინვე აალაპარაკა ექსპერტები, რომ ვიერის ჩემპიონატის მიმდინარეობაზე უდიდესი გავლენა ექნებოდა. ეკვადორთან თამაშში კი ვიერიმ ბრწყინვალედ ითამაშა. მან ბურთი ფრანჩესკო ტოტისგან მიიღო და უძლიერესი დარტყმით ბადეშიც გაახვია.

**ჯუნიჩი ინამოტო, იაპონია-ბელგია:** მასპინძლებმა თავიანთ H ჯგუფში წარმოდგენა ნორმალურად დაიწყეს, მათი პირველი თამაში ბელგიასთან ფრედ დასრულდა (2:2). გახურებულ თამაშში, როცა ანგარიში 1:1 იყო, საკუთარი გუნდი "არსენალის" ყოფილმა ფეხბურთელმა ჯუნიჩი ინამოტომ 69-ე წუთზე დააწინაურა. მან ბურთი მოიპოვა და სასწრაფოდ ბელგიელთა კარისკენ გაეშურა. მცველები მოტყუვდნენ და ინამოტომაც, დაახლოებით 14 მეტრის მანძილიდან, ბურთი უძლიერესი დარტყმით გაახვია ბადეში.

**რობი კინი, ირლანდია-გერმანია:** ირლანდიას უჭირდა, თამაშს აგებდა (0:1). თუმცა, ამ დროს სტივ ფინანმა მარცხენა ფრთიდან საკმაოდ წარმატებულად ჩააწოდა, ბურთის თავით აღება საკმაოდ მაღალმა ნეილ ქუინმა შეძლო, ამასობაში ბრძოლაში რობი კინი ჩაერთო და ოლივერ კანის მოტყუებაც შეძლო. ამ გოლს დიდებულებას სძენს ის გარემოებაც, რომ წლევანდელ ჩემპიონატზე ის ერთადერთი გოლია, რომელიც ოლივერ კანმა გაუშვა. რა თქმა უნდა, ბრაზილიასთან ფინალურ შეხვედრამდე.

**სალიფ დიაო, სენეგალი-დანია:** ლივერპულელმა დიაომ ანგარიშის გათანაბრება 59-ე წუთზე შეძლო. დანიის კარში გოლი სენეგალელთა ბრწყინვალე შეტევის შემდეგ გავიდა. სენეგალელებმა ბურთი თითქმის საკუთარ ნახევარზე მოიპოვეს, პასი გადასცეს დიაოს, რომელიც, ბურთით ფეხზე, წინ გაიჭრა და გოლის გატანაც შეძლო.

**დიეგო ფორლანი, ურუგვაი-სენეგალი:** ეს გახლდათ შესანიშნავი თამაში, როცა სენეგალმა სამი გოლის გატანა პირველ 38 წუთში მოახერხა. თუმცა, მეორე ტაიმის დაწყებისთანავე, პირველივე წუთში, სიტუაცია რიჩარდ მორალესის გოლმა დაძაბა, დიეგო ფორლანის 69-ე წუთზე შესრულებულმა დარტყმამ ურუგვაელებს სტიმული მისცა. ალვარო რეკობას გოლის შემდეგ კი ანგარიში გათანაბრდა. 89-ე წუთზე რეკობამ პენალტის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ ურუგვაელებს დრო და ენერგია აღარ ეყოთ. ისინი გავარდნენ.

**ანდერს სვენსონი, შვედეთი-არგენტინა:** ბევრი ვერ აღიქვამდა სვენსონს სერიოზულად, როცა ის მოედნის ცენტრში იდგა და დარტყმისთვის ემზადებოდა. ჯერ ბურთისკენ ჰენრიკ ლარსონი წავიდა, მხოლოდ შემდეგ დაარტყა სვენსონმა და გაოცებულ არგენტინელ მეკარეს კლასი აჩვენა. შვედეთი, ანგარიშით 1:0, თამაშს იგებდა კიდეც, სანამ ერნან კრესპომ შური არ იძია. თუმცა, არგენტინელებს მოგება სჭირდებოდათ, ეს კი ვერ მოახერხეს და სამშობლოში გაემგზავრნენ.

**ედმილსონი, ბრაზილია-კოსტარიკა:** ამ შეხვედრაში შვიდი გოლი გავიდა, ბრაზილიელებმა მეტოქე, ანგარიშით 5:2, დაამარცხეს. ბრაზილიელთა უპირატესობა რონალდოს ორმა გოლმა თავიდანვე გამოკვეთა, მაგრამ თამაშში დარჩენის უფლება კოსტა-რიკელებმა, ვანჩოპეს და რონალდ გომესის გოლების წყალობით, მაინც მოახერხეს. რივალდოს და როკე ჟუნიორის გოლებამდე კი ბრწყინვალე დარტყმა ედმილსონმა შეასრულა. თამაში რონალდომ წამოიწყო, რობერტო კარლოსმა განაგრძო, მის მიერ დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა, მაგრამ როგორც კი ბურთმა ძირს დაშვება იწყო, ედმილსონმა მაღალი ნახტომი შეასრულა და კოსტა-რიკელთა მეკარეს მართლაც ბრწყინვალე გოლი გაუტანა.

**ჟარედ ბორგეტი, მექსიკა-იტალია:** პირველ ნახევარში მექსიკელები თვითდაჯერებულად თამაშობდნენ. 34-ე წუთზე პასი რამონ მორალესმა მიიღო და ბლანკოს გადასცა, თუმცა, ბურთი ბორგეტმა მოიპოვა და თავით ბუფონის კარშიც გაგზავნა.

**რივალდო, ბრაზილია-ინგლისი:** ბრაზილიელები თამაშს აგებდნენ (0:1). თუმცა, შეიქმნა მომენტი, რომელიც სწორად გამოიყენა რონალდინიომ, რივალდოც წინ გაიჭრა, რონალდინიოსგან ბრწყინვალე პასი მიიღო და ანგარიში გაათანაბრა.

**ილჰან მანსიზი, თურქეთი-სენეგალი:** 26 წლის რეზერვისტმა ფეხბურთელმა ნაკრებს ბრწყინვალე საჩუქარი უძღვნა – ოქროს გოლი, რომლის წყალობითაც თურქებმა ჯიუტი სენეგალელების გატეხვა მოახერხეს.

**რონალდო, ბრაზილია-თურქეთი:** ეს წლევანდელ ჩემპიონატზე "მილანის" თავდამსხმელის მეექვსე და საუკეთესო გოლია. რონალდომ ეს გოლი დროულად შეასრულა – მანამდე ბრაზილიელები რუშტუს ბრწყინვალე თამაშით შეშფოთებულებიც კი ჩანდნენ. რონალდო თურქთა კარს მარჯვენა მხრიდან მიუახლოვდა, ბრძოლა სამ მცველს მოუგო და ამდენ ხალხს შორის ბურთის სასწაულებრივად გაძვრენა მოახერხა. რონალდოს ბრწყინვალედ შესრულებული დარტყმა პირდაპირ კარისკენ წავიდა. რუშტუ უძლური აღმოჩნდა.

# „რენო" ონლაინ აუქციონს აწყობს

"რენომ" ქველმოქმედებისთვის მოიცალა. პირველად გუნდის ისტორიაში, სიღარიბესთან ბრძოლის ჩარჩოებში, "რენო" საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია Oxfam-ს დაუკავშირდა. აუქციონისთვის, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით მოეწყობა, გუნდი მყიდველს საკმაოდ ძვირფას ნივთებს სთავაზობს. მათ შორის – პილოტების კომბინიზონებს და ბოლიდების ფრაგმენტებს. აუქციონს ebay აწყობს. იქ მოხვედრა შეიძლება მისამართზე w.Org.uk/f1. აუქციონი 5 ივლისს დაიწყება. ფსონების მიღება 2002 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით იწარმოებს.

აუქციონით მიღებული მთელი შემოსავალი გადაერიცხება Oxfam-ს, რომელიც იმედოვნებს, საქველმოქმედო საჭიროებისთვის, ხუთნიშნა ციფრისგან შემდგარი თანხა მიიღოს (გირვანქა სტერლინგებში). აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა ადამიანს, ვისაც აქვს ინტერნეტთან შეხება. აქციაში მონაწილეობა შეიძლება "რენოს" ოფიციალური საიტის მეშვეობითაც – h.

აუქციონზე გამოფენილი იქნება ჯენსონ ბატონისა და იარნო ტრულის კომბინიზონები, სხვა ტანსაცმელები, Renault და vip-ის ბოლიდების ფრაგმენტები. აგრეთვე, ორი საგზური ინგლისურ ენსტოუნში Renault f1-ის ტექნიკური ცენტრის დასათვალიერებლად. ყველა საგანს შესაბამისი ავტოგრაფი დაამშვენებს და დართული ექნება Renault f1-ის მიერ გაცემული დამადასტურებელი ნიშანი, რომ ნივთი ნამდვილია.

გამოფენილი საგნების ფართო სპექტრი იმაზე მეტყველებს, რომ მათი უმრავლესობის შეძენა ავტოსპორტის მოყვარულთა ფართო წრეს შეეძლება. **"მოხარული ვარ, რომ ჩემი სპორტული ეკიპირების ნაწილი Oxfam-ს დაეხმარება, თანადგომა გამოუცხადოს ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრებაში ჩემზე ნაკლებად გაუმართლათ,"** – ამბობს იარნო ტრული, – **"ჩემი სპორტული კარიერის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობა მიწევს, სადაც სიღარიბეს საკუთარი თვალით ვხედავ. ვიმედოვნებ, რომ მყიდველები, აუქციონზე წარმოდგენილი საგნების შესაძენად თანხას არ დაიშურებენ".**

**დევიდ ბენეტი** *(Oxfam-ის მენეჯერი): "ბედნიერი ვარ იმ კომპანიასთან თანამშრომლობით, რომელიც ოქსფორდშირშია ბაზირებული. ისინი აღიარებენ, რომ oxfam-ს აუქციონის საშუალებით, შემოსავლების მაქსიმალიზაციის ოპტიმალური საშუალება გააჩნია".*

## უიმბლდონის ამბები

# ნარკომანი მაკინროი

ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროი უიმბლდონზე არ თამაშობს. მიუხედავად ამისა, სწორედ ის მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. საქმე ისაა, რომ მაკინროის ყოფილი მეუღლე, თავისი ცუდი ხასიათით ცნობილი ტატუმ ონილი, ყოფილ მეუღლეს ნარკომანობას სწამებს. "ჯონ მაკინროი მთელი კარიერის განმავლობაში აკრძალულ პრეპარატებს იღებდა, მარიხუანას ეწეოდა და კოკაინსაც ეტანებოდა", - განაცხადა ონილმა რადიოსადგურ ABC-სთვის მიცემულ ინტერვიუში. ჩოგბურთელის ყოფილი მეუღლე ამტკიცებს, რომ მაკინროომ ნარკოტიკების მიღება 1987 წლიდან, ანუ ვაჟის - შონის დაბადების შემდეგ დაიწყო. ჩოგბურთელი საჯარო განცხადებებისგან თავს იკავებს და პრესას თავისი აგენტის, გარი სუეინის საშუალებით ესაუბრება. სუეინმა განაცხადა, რომ მაკინროი, რომელმაც კარიერის განმავლობაში "დიდი სლემის" შვიდი ტიტული მოიგო, ძალიან ცუდ გუნებაზეა. "ჯონს იმედი ჰქონდა, რომ ტატუმი წლების განმავლობაში გონს მოვიდოდა და ბავშვებზე იფიქრებდა. მას კი, როგორც ჩანს, ბავშვების ბედი საერთოდ არ ანაღვლებს." ლეგენდარული ჩოგბურთელის ყოფილი მეუღლის გააქტიურება საოცარია. ცოტა ხნის წინათ დაიბეჭდა მაკინროის ავტობიოგრაფიული წიგნი "შენ არ შეგიძლია, იყო სერიოზული", რომელშიც მაკინროი დიდი სიყვარულით იხსენებს მეუღლეს და მასთან ერთად გატარებულ წლებს.


პიტ სამპრასი REUTERS


ანდრე აგასი REUTERS

# ჰერცოგინია უარს აცხადებს

მიმდინარე უიმბლდონზე კიდევ ერთი ტრადიცია ირღვევა. კენტის საგრაფოს ჰერცოგინიამ, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში უიმბლდონის მონაწილე იყო, უარი განაცხადა დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობაზე. ინგლისის სამეფო კარმა უიმბლდონის ორგანიზატორებს ლაკონიური შეტყობინება გაუგზავნა: "სხვა, ადრე დაგეგმილი გადაუდებელი საქმეების გამო, მისი უდიდებულესობა ვერ დაესწრება დაჯილდოების ცერემონიას." ნამდვილი მიზეზი კი ყველასთვის ნათელია. უიმბლდონის ორგანიზატორებმა უყურადღებოდ დატოვეს ყველა ინგლისელისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღი - ელიზაბეთ მეორის დედოფლად კურთხევის 50 წლის იუბილე. სწორედ აქედან, და არა "გადაუდებელი საქმეებიდან" გამომდინარეობს სამეფო კარის უარი.

# რუსებმა „კოკა-კოლა" ვერ შეირგეს

ძალიან დაიძაბა ურთიერთობები რუსეთის ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „კოკა-კოლას" შორის, რომელიც რუსეთის ნაკრების ოფიციალური სპონსორია. ამ დაპირისპირების მიზეზი გახდა რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი, ალექსანდრე მოსტოვოი, რომელმაც დაარღვია "კოკა-კოლასთან" გაფორმებული კონტრაქტი და მის უშუალო კონკურენტს, "პეპსის" გაუწია რეკლამა. ფიქრობენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე მოსტოვოიმ სწორედ ამ სარეკლამო სკანდალის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა, უფრო სწორად "კოკა-კოლამ" არ მისცა თამაშის ნებართვა.

1998 წლის სექტემბერში "კოკა-კოლამ" და რუსეთის ფეხბურთის ფედერაციამ გააფორმეს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, 2006 წლამდე რუსეთის ნაკრების მოთამაშეებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამ კომპანიის სარეკლამო კამპანიაში. კონტრაქტის მიხედვით, ფეხბურთელებს შეეძლოთ სხვა კომპანიების სარეკლამო რგოლებშიც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ის კომპანიები არ უნდა ყოფილიყვნენ უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელების მწარმოებლები ანუ "კოკა-კოლას" კონკურენტები. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, "კოკა-კოლამ" უკვე მოითხოვა რუსეთის ფეხბურთის ფედერაციისგან კომპენსაცია 1,2 მილიონი დოლარის ოდენობით, თუმცა მზადაა, გარკვეულ კომპრომისზე წავიდეს, თუკი ექნება იმის გარანტია, რომ მომავალში მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება. რუსული ფეხბურთის ჩინოვნიკები ყველანაირად ცდილობენ, დაარწმუნონ კომპანიის წარმომადგენლები, რომ მოსტოვოი, უბრალოდ, გაუგებრობის მსხვერპლი გახდა და არანაირ წინასწარგანზრახულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია და ვითარების გამოსწორებასაც ჰპირდებიან, მაგრამ ყველაფერი, ჯერჯერობით, საწინააღმდეგოდ ხდება. რუსულ სატელევიზიო არხებზე დღემდე გადის ოთხი სარეკლამო რგოლი, რომლებშიც მოსტოვოი ხან მარტო, ხან კიდევ ფეხბურთის სხვა ვარსკვლავებთან ერთად "პეპსის" უწევს რეკლამას.

# "GORBI"-ის სოციოლოგიური გამოკითხვა

საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაცია "GORBI" ჩაატარა გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით, რომელიც ეხებოდა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს. გამოკითხვა მიმდინარეობდა 2002 წლის 22.06-26.06. გამოიკითხა 1000 რესპონდენტი. გამოყენებულია საქართველოს რეპრეზენტატული მრავალსაფეხურიანი შემთხვევითი შერჩევა. გამოიკითხა 18 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა.

გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს 30 ძირითად ქალაქში (როგორც თვითონ ქალაქების, ისე მიმდებარე სოფლების ტერიტორიებზე).

გამოკითხულთა 64 პროცენტი თვალყურს ადევნებდა მე-17 მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს, მათ შორის ქალბატონების და მამაკაცების დაინტერესების მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა: ქალბატონები - 45 პროცენტი, მამაკაცები - 55 პროცენტი.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა - 92 პროცენტი - მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს თვალყურს ადევნებდა სახლში, ტელევიზორთან, ხოლო მათი 13 პროცენტი უყურებდა მატჩებს მეგობართან, სახლში.

საინტერესოა, თუ ჩემპიონატის დაწყებამდე რომელი ქვეყნის ნაკრებს გულშემატკივრობდნენ საქართველოს მოქალაქეები. როგორც აღმოჩნდა, ყოველი 5 რესპონდენტიდან 2 (41.6 პროცენტი) გულშემატკივრობდა ბრაზილიას, შვიდიდან ერთი (15.6 პროცენტი) იტალიას, ხოლო გერმანიასა და ინგლისს ჰყავდა თითქმის თანაბარი რაოდენობა - 7 პროცენტი.




რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა - 70.9 პროცენტი თვლის, რომ 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონი გახდება ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილია. რაც შეეხება გერმანიას, რესპონდენტთა მხოლოდ 11.6 პროცენტს აქვს იმედი, რომ გერმანია ამ ჩემპიონატის შემდეგ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი იქნება, ხოლო 17.5 პროცენტი თავს იკავებს პროგნოზის გაკეთებისგან.




გამოკითხულთა მცირე ნაწილმა - 19 პროცენტი, იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები შეძლებს მონაწილეობის მიღებას, 31 პროცენტი კი თვლის, რომ ამის შესაძლებლობა იქნება რვა წლის შემდეგ. პესიმისტურად არის განწყობილი რესპონდენტთა 11 პროცენტი, რომელიც თვლის, რომ საქართველოს ნაკრები ვერასოდეს შეძლებს მონაწილეობის მიღებას მსოფლიო ჩემპიონატში.

## დაიჯესტი

# მარადონა ფინალს დაესწრება

არგენტინული ფეხბურთის ლეგენდად წოდებული სკანდალური დიეგო არმანდო მარადონა იაპონიაში ჯერ კიდევ 28 ივნისს უნდა ჩასულიყო, მაგრამ იაპონიის მთავრობამ ექსვარსკვლავს არცთუ ისე უმწიკვლო წარსული გაუხსენა და ვიზის მიცემაზე უარი უთხრა. იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრმა მაიუმი მორიამამ განაცხდა, რომ დოპინგსკანდალში გახვეულ პიროვნებას იაპონიაში არაფერი ესაქმებოდა.

მარადონა იაპონელთა ამგვარი გადაწყვეტილებით გაოგნებული დარჩა და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, როგორ არ აძლევენ ვიზას, როცა ქვეყანაში თავისუფლად უშვებენ ამერიკელებს, რომელთაც ხიროსიმასა და ნაგასაკიში ატომური ბომბი ჩააგდეს.

როგორც ჩანს, იაპონიის მთავრობაზე ამ არგუმენტმა დამაჯერებლად იმოქმედა და, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მარადონას მაინც მისცეს იაპონიაში ჩასვლის უფლება, რომლითაც ფეხბურთელს არ უსარგებლია, რადგან არგენტინის ეროვნული ნაკრები ნაადრევად გავარდა მუნდიალიდან. ახლა მარადონამ გადაწყვიტა, ფინალს მაინც დაესწროს და კიდევ ერთხელ ითხოვა იაპონიის ვიზა. ასე რომ, "სკანდალური დიეგო," ბოლოს და ბოლოს, ჩავა იაპონიაში.

# ტოლერანტი კორეელები

მიუხედავად იმისა, რომ კორეის ნაკრები ფინალში ვერ გავიდა და გერმანიის ეროვნულ გუნდთან დამარცხდა, კორეელი გულშემატკივრები სულაც არ არიან გერმანელების მიმართ აგრესიულად განწყობილი.

როგორც "კიკერის" სპეციალური კორესპონდენტი რაინერ ჰოლცშუ იუწყება, სეულში საკუთარი ფეხბურთელების გაღმერთებაც იციან და მოწინააღმდეგე გუნდის დაფასებაც. როცა გერმანიის ჰიმნი სრულდებოდა, არც ერთ კორეელ ფანს აზრადაც არ მოსვლია, ზოგიერთი ევროპელი გულშემატკივრის მსგავსად, სტვენა აეტეხა. არც მატჩის შემდეგ უცდიათ კორეელებს გერმანელთა შეურაცხყოფა. პირიქით, მათ მეტოქეს წარმატებაც კი მიულოცეს. "მეტროში საოცარი რამ მოხდა. როცა კორეელები მიხვდნენ, რომ გერმანელები ვიყავით, ხელი ჩამოგვართვეს და ფინალში გასვლა მოგვილოცეს. ჩვენ, ევროპელებმა, აზიელებისგან უნდა ვისწავლოთ მეტოქის პატივისცემა და ღირსეულად დამარცხება", - ამბობს გერმანელი ჟურნალისტი.

# ფინალში კლოზეს გარეშე?

ძვირად დაუჯდა გერმანიის ნაკრებს ფინალში გასვლა. მიხაელ ბალაკმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და 30 ივნისს თავისი კარიერის ამ უმნიშვნელოვანეს მატჩს ტრიბუნიდან უყურებს.

თითქოს ბალაკის დისკვალიფიკაცია არ კმაროდა, რუდი ფიოლერს კიდევ ერთი პრობლემა შეექმნა. მუნდიალის ერთ-ერთმა საუკეთესო გოლეადორმა მიროსლავ კლოზემ მოედანი ტრავმირებულმა დატოვა. კლოზეს ისე ხშირად ეჭიდავებოდნენ კორეელი მცველები, რომ, ვინ იცის, რამდეჯერ უთავაზეს მუჯლუგუნი ნეკნებში, რის შედეგადაც ახალგაზრდა ფორვარდმა საკმაოდ სერიოზული კონტუზია მიიღო. კლოზეს ფინალში თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუმცა, ფიოლერს იმედი აქვს, რომ ფინალისთვის ფეხბურთელი ფორმაში იქნება.

# სიმენი გადწყვეტილებას ვერ იღებს

ინგლისის ნაკრების მეოთხედფინალიდან გამოვარდნა, ბევრი კრიტიკოსის აზრით, ბრიტანელთა ვეტერანი გოლკიპერის დევიდ სიმენის ბრალია. "სიმენი დალურსმულივით იდგა ერთ ადგილზე, როცა რონალდინიოს მიერ საჯარიმოდან დარტყმულმა ბურთმა მას თავზე გადაუფრინა და ბადეში გახვა. ინგლისის ნაკრების ყველა იმედი ერთ ინდივიდუალურ შეცდომას შეეწირა", - წერდა ბრაზილიელებთან წაგებული მეოთხედფინალის შემდეგ "ტაიმსი".

მიუხედავად ამისა, ინგლისელთა შვედი თავკაცი სვენ გორან ერიქსონი მაინც არ აპირებს სიმენთან განშორებას და სურს, რომ გოლკიპერმა ევროპის ჩემპიონატზეც დაიცვას თავისი ეროვნული გუნდის ღირსება. "თუ სიმენი ამ ორი წლის განმავლობაში სისტემატურად ითამაშებს "არსენალში" და კვლავინდებურად ინგლისის საუკეთესო მეკარე იქნება, მაშინ მას აუცილებლად ავიყვან ნაკრებში, 38-ის კი არა, 48 წლისაც რომ იყოს", - განაცხადა ერიქსონმა.

თავად სიმენს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ არა ნაკრებიდან და აცხადებს, რომ საბოლოო პასუხს ერიქსონს არდადეგების მერე ეტყვის.

# პლატინი ბექჰემს აკრიტიკებს

მიშელ პლატინი, რომელსაც აზიური მუნდიალი საერთოდ არ მოსწონს, აცხადებს, რომ ოცდამეერთე საუკუნის პირველ ჩემპიონატს ვარსკვლავები არ ჰყავს.

"დევიდ ბექჰემისგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ მან თავი ვერაფრით გამოიჩინა. "ბეკსი" ახალგაზრდა, ლამაზი ფეხბურთელია, მსოფლიოში სახელგანთქმული ცოლი ჰყავს, მაგრამ ნამდვილი ვარსკვლავი მაინც არ არის. ის თავის ექსტრაორდინარულ ვარცხნილობებზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ფეხბურთზე. ასეთი "საპის ბოი" არასოდეს გახდება გრანდი", - ამბობს პლატინი

# გერმანია ეიფორიაში

როცა დარწმუნებული ხარ, რომ შენი გუნდი ძლიერია და ჩემპიონი გახდება, შეიძლება ასე გიჟურად სულაც არ გაგიხარდეს ნაკრების ფინალში გასვლა, მაგრამ როცა მთელი მსოფლიო შენს რჩეულ გუნდს აუტსაიდერად მიიჩნევს და, ამის მიუხედავად, ნაკრები მაინც ფინალში გადის, ნამდვილად არ იქნება გასაოცარი, რომ სიხარულისგან გადაირიო.

სწორედ ასე დაემართათ გერმანელ გულშემატკივრებს, როცა ურს მაიერმა საფინალო სასტვენი მისცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მუნდიალის დაწყებამდე სრულიად უიმედო ბუნდესნაკრები ფინალში გავიდა. ჰამბურგის ფლაიშმარკტზე შეკრებილმა ორმოცდათხუთმეტი ათასმა გულშემატკივარმა მატჩის შემდეგ ისეთი ორგია მოაწყო, რომ მეორე დღეს ქალაქი თავის თავს აღარ ჰგავდა. თავდაჭერილმა და პედანტურმა გერმანელებმა ინგლისელ ფანებს მიბაძეს და უმოწყალოდ დაარბიეს ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდათ. ცხრა კაცი დაიჭრა, 141 კი დააპატიმრეს. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, გერმანიამ რომ მუნდიალი მოიგოს?

# „ანი პერუჯაში არ დაბრუნდება!"

აცხადებს კორეული სააგენტო "პლეიერსის" პრეზიდენტი ან იონგ ბოკი, რომელმაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნო "პერუჯას" პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის ემოციური გამოხდომის შემდეგ.

"გაუჩიმ ისე თქვა, ანი თვალით აღარ დამენახოსო, თითქოს ფეხბურთელს რამე დაეშავებინოს. მერე რა, რომ მან იტალიელებს გოლი გაუტანა? ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია ფეხბურთში? ანი იტალიაში აღარ დაბრუნდება, ეს კორეელი ხალხის შეურაცხყოფა იქნება", – ამბობს ბოკი.

ანს პერუჯელებთან სახვეწარი არაფერი აქვს. მუნდიალზე კარგი თამაშის წყალობით მისით არაერთი ევროპული კლუბი დაინტერესდა. როგორც კორეელები ამტკიცებენ, ანის შეძენა სურთ "ჩელსის", "ვეტს ჰემს", "ჰამბურგს", რეინჯერსსა" და მადრიდის "ატლეტიკოს".

გიორგი გვახარიას სვეტი

# სხვას უმზირე!

"წიგნის ბაზრობაზე", ფილარმონიაში, 40 ლარით გავეშურე. ყველა მეუბნებოდა "პრინციპში, გეყოფაო" და რა გამოვიდა? მხოლოდ სამი წიგნი მომივიდა. ელვის სისწრაფით გამაკოტრა ცნობარმა "ვინ ვინაა საქართველოში", რომელიც 22 ლარი დამიჯდა. ამ წიგნის შეძენა აქამდე ვერ მოვახერხე, არა და საქმეში ძალიან მჭირდებოდა. ოღონდ, დედას ვფიცავარ, იმიტომ არა, რომ საქართველოს გამოჩენილ ადამიანებს შორის აქ ჩემი თავი მეგულებოდა.

ისე, დედაზე გამახსენდა. როგორც კი "who,s who" სახლში მივიტანე, დედაჩემმა მკითხა: "აბა, შენ სადა ხარო". გადავფურცლე და სანამ 84-ე გვერდს ვუჩვენებდი, ჩემი ყურადღება "გვახარია გიორგის" მოგვარის (სამწუხაროდ, მხოლოდ მოგვარის), აღმოსავლეთმცოდნე ალექსანდრე გვახარიას კრედომ მიიპყრო. ბატონი შურას იდეალი სპარსული ლექსის ერთი სტროფი ყოფილა "ემსგავსე თვალის გუგას, სხვას უმზირე, შენს თავს ნურც კი შეამჩნევ". მაშინათვე ერთ ჩემს ინტელექტუალ მეგობარს დავურეკე - "ხომ ხედავ ლაკანი საიდან წამოსულა"-ო, მითხრა. ასეთი სიტყვებით გარითმა ჩემი აღტაცება. მე კი ამ დროს არა ლაკანზე, არამედ ჩვენს უბედურ, ჩვენს გარდაცვლილ ქართულ კინოზე ვფიქრობდი.

გააჩერეთ ქუჩაში ნებისმიერი ქართველი კინორეჟისორი, მოიწვიეთ ტელესტუდიაში, დაესწარით საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სხდომებს და ჰკითხეთ კინემატოგრაფისტებს, რატომ ვერ იღებენ კინოს... პასუხი ერთი იქნება: "მომეცი ფული და ნახავ, რასაც გადავიღებ". ამ შეკრებებზე ხან ხელისუფლებას უტევენ (თავისი შევარდნაძით), ხან სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმს" (თავისი რეზო ჩხეიძეთი), ხან კინოკავშირს (თავისი ელდარ შენგელაიათი). უტევენ ბიზნესმენებს. სხვათა შორის, ამ ხუთი, შვიდი წლის წინ სწორედ ბიზნესმენები "წაეხმარნენ" სახელმწიფოს ქართული კინოს გადარჩენაში და რამდენიმე ქართულ ფილმში ფული ჩადეს. ეტყობა სჯეროდათ ფილმის ავტორის დაპირების "შენ მაყუთი მოიტა და მერე კანი ან ვენეცია ჩემზე იყოსო". აბა კანსა თუ ვენეციაში შარონ სტოუნის გვერდზე ყოფნას რომელი ქართველი მაყუთიანი არ ნატრობს.

მაგრამ ეს სურათები არც კანში უჩვენებიათ და არც ვენეციაში. რამდენიმე სეანსი კინოს სახლში, თუ "რუსთაველში" და ამით დამთავრდა დამოუკიდებელ საქართველოში გადაღებული ფილმის ისტორია. ასეთი კინო კი არც ხელისუფლებას უნდა და არც ბიზნესმენებს.

ახლა ნუ მეტყვით "ჰუ იზ ჰუ", სპარსული პოეზია და ლაკანი რა შუაშიაო. სწორედ იმ შუაშია, რომ უსინათლო კაცი კინოს ვერ გადაიღებს. მაშინაც კი, როცა "მაყუთი" არ აკლია. კინოს იღებდნენ და იღებენ კეთილები და ბოროტები, რომანტიკოსები და კომფორმისტები, ღვთის მოსავეები და ავხორცები, ყრუ-მუნჯები და პარალიზებულები, მაგრამ ბრმას კინო ჯერ არ გადაუღია. და აბა ბრმა არაა კაცი მარტო საკუთარ თავს, საკუთარ პრობლემებს, ან დიდი დიდი თავისი ძმაკაცების პრობლემებს რომ ხედავს? ბრმა არა ხარ, როცა შენს ირგვლივ ამდენი რამე ხდება, შენ კი ისევ შენს იდეებს, განუხორციელებელ პროექტებს მისტირი... როცა გეთაკილება ერთი უბრალო კამერა, "vhs"- ი დაიჭირო ხელში და სხვა დაინახო - შენგან განსხვავებული? როცა გეზარება სხვისი ფილმების ნახვა და სულაც არ გაღელვებს ის ამბავი, რომ კინოს სახლში გამართულ რეტროსპექტივებს ყველა ესწრება შენს გარდა - ბიოლოგები, ფიზიკოსები, იურისტები. ყველა, გარდა ერთი-ორი კინემატოგრაფისტისა.

არავინ გეუბნება შენ, ქართული კინოს გარდაცვალების ერთ-ერთო ავტორო (სხვა სიტყვას ვერ ვიხმარ, მერე სასამართლოში მიჩივლებენ), ადამიანი შეიყვარე და მერე კარგ კინოს გადაიღებო. ჯანდაბას, თუ მართლა არ გეყვარება, ვინ გაძალებს? ჯანდაბას, აგინე, გალანძღე ეს ადამიანი. მაგრამ დაინახე, შეხედე, უთვალთვალე... ანუ თუ კინორეჟისორი ხარ, კინო მაინც შეიყვარე.

ისე, ნუ იფიქრებ, რომ შენზე უკეთესი ვარ. მეც ხომ 22 ლარი გადავიხადე "ჰუ იზ ჰუში"... კი, დედას გეფიცები, საქმეში მჭირდებოდა. მაგრამ მეც ხომ 84-ე გვერდით დავიწყე, სადაც ჩემი სახელი და გვარი მეგულებოდა. თანაც, ლაკანის უფროსი ძმის, ფროიდის სქემით - დედაჩემთან წავიტრაბახე... კიდე კარგი, რომ მოგვარე შურა გვახარია მყავს, თავისი სპარსული პოეზიით. თორემ ამ "სვეტსაც" ვერ შევქმნიდი და **ჩემს** სახელსა და გვარს კიდევ ერთხელ ვერ დავაფიქსირებდი (არა და როგორ მძულს ეს სიტყვა "დაფიქსირება").

ამბები

## გამოფენა N გალერეაში

28 ივნისს 17 საათზე N გალერეაში (შავთელის 17ა) ტექსტილისტ-დიზაინერი, ეკა სირაძე საკუთარ ნამუშევრებს გამოფენს. იგი ბატიკაზე, გობელენსა და აბრეშუმის ქაღალდზე მუშაობს. მონაწილეობდა ტექსტილისტ-დიზაინერების საერთაშორისო სიმპოზიუმებში, მისი ნამუშევრები სხვადასხვა დროს გამოფენილი იყო მოსკოვში, პეტერბურგში, მიუნჰენში, პეკინსა და ლოძში. ეკა სირაძის გამიფენა N გალერეაში ერთ კვირას გაგრძელდება.

## ბალთუსი გამოჩნდა

ჟენევის მუზეუმის ცნობით, ბალთუსის ნამუშევარი Joueuse de Diabolo, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო დაკარგული, შვეიცარიაში, ერთ-ერთ კერძო კოლექციაში აღმოაჩინეს. ნახატზე გამოსახულია მოთამაშე გოგონა. მუზეუმის განცხადებაში ნათქვამია: “ბალთუსის ეს უმნიშვნელოვანესი ნამუშევარი, რომელიც დაკარგული გვეგონა, გამოჩნდა. ასეთი აღმოჩენა ნამდვილად უდიდესი მოვლენაა”. ცნობისთვის: ბალთუსი 92 წლის ასაკში შარშან გარდაიცვალა. მისი ნაწარმოებები კი მილიონებად არის შეფასებული.

## გატაცებული შედევრები იპოვეს

ბერლინთან ახლოს, გზატკეცილზე ტომარაში გახვეული გერმანელი ექსპრესიონისტების ნამუშევრები იპოვეს. ბერლინის ბრუკეს მუზეუმიდან მძარცველებმა ნახატები აპრილში გაიტაცეს. პოლიციამ მოპარული ნამუშევრების ნაწილი რამდენიმე ხნის წინ აღმოაჩინა.

კრიმინალებმა სულ 3 მილიონი დოლარის ღირებულების ნახატების წაღება შეძლეს. მათ განგაშის სისტემა დაბლოკეს და დამცავი შუშა ჩაამსხვრიეს. გატაცებული ნახატებიდან ექვსი ჰეკელს ეკუთვნოდა, თითო-თითო კი ემილ ნოლდეს, ერნსტ ლუდვიგ კირხნერს და პეხშტაინს. ნამუშევრები 1908-1920 წლებით თარიღდება. როგორც ცნობილია, ბრუკეს მუზეუმი გერმანული ექსპრესიონისტული ხელოვნების უძვირფასეს კოლექციებს ფლობს.

## მობილური ტელეფონების მუსიკალური დატვირთვა

როცა კოლუმბიელი მომღერალი შაკირა სცენაზე ადის, ფანი თინეიჯერები ჯერ მასთან ერთად მღერიან და ხელებს ჰაერში იქნევენ, შემდეგ კი მობილურ ტელეფონებს იმარჯვებენ და მეგობრებს კონცერტის შთაბეჭდილებებს უზიარებენ. უფრო ზუსტად, ახალგაზრდები კონცერტზე ვერ მოხვედრილ მეგობრებს სიმღერების ცოცხლად მოსმენის საშუალებას აძლევენ.

ასე იყო კამდენის მუსიკალურ დარბაზშიც – ჰაერში ვერცხლისფერი და ლურჯი “მოტოროლები” და “ნოკიები” ირხეოდნენ. “ჩემი მეგობარი კონცერტზე ვერ წამოვიდა, არადა, ეს ჩვენი სიმღერაა, ეხლა მე მას მობილურით ვასმენინებ”, - კიოდა 18 წლის ქესი ქონელი. მობილურ ტელეფონებს ასეთი მუსიკალური დატვირთვით არა მხოლოდ შაკირას ფანები იყენებენ. თურმე, ასე ხდება ჯა რულის და სხვა პოპულარული მომღერლების გამოსვლებზეც.

## ათმა დღემ უშველა

გრემის მფლობელი მუსიკოსი ბილი ჯოელი თავს უკეთ გრძნობს. მისი პრეს-აგენტის ცნობით, ჯოელი ათდღიანი მკურნალობის შემდეგ სილვერ ჰილის (კონექტიუტის შტატი) ფსიქიატრიული კლინიკიდან უკვე გამოეწერა. იქ მუსიკოსი პირადი პრობლემების გადასაჭრელად ძალებს იკრებდა. ჯოელის ავადმყოფობის ამბავი დეტალურად გააშუქა გაზეთმა “ნიუ იორკ დეილი ნიუსმა”. გაზეთის ცნობით, ბილი ჯოელი თავისი “მერსედესით” ხეს შეასკდა და ნიუ-იორკში დაგეგმილ ელიტარულ სადილზე მისვლა ველარ მოახერხა. ის უცნაურად იქცეოდა მარტშიც, როცა მედისონ სქვეარ გარდენში გამართულ კონცერტზე ორგანიზატორები ბილეთების მაღალი ფასების გამო გააკრიტიკა, ისაუბრა ამერიკელ სამხედროებზე და საუბრისას კინაღამ ჩათვლიმა.

გუშინ კი, პრეს-აგენტმა ბილი ჯოელის ჯანმრთელობის შესახებ საუბარს თავი აარიდა.

# ხელოვნება დიდაქტიკის გარეშე

## ირაკლი ჩარკვიანი: „ხელოვნება შეიძლება სიჩუმეში მეტი იყოს, ვიდრე პათეტიკაში„

ვერა ნეფარიძე

**ირაკლი ჩარკვიანის ამ ფრაზას აბსოლუტურად ამართლებდა “ქარვასლას” გამოფენა-აქცია, რითაც თანამედროვე ქართველი მხატვრები წამების მსხვერპლთა საერთაშორისო დღეს შეეხმიანენ. დიდაქტიკისგან გათავისუფლებული ვატო წერეთელის, გურამ წიბახაშვილის, გიორგი სუმბაძისა და ლევან ჭოღოშვილის ნამუშევრების მიზანი წამების ირგვლივ სააზროვნო სივრცის შექმნა იყო.**

საკუთარ შემოქმედებაში წამების თემა გაეროს დაწესებული საერთაშორისო დღის გამო არ შეუტანიათ თანამედროვე ქართველ ხელოვანებს. მხატვარი ვატო წერეთელი, რომელიც პარალელურად, კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელიცაა, შარშან დაფიქრდა გადაელო ადამიანთა საწამებლად გამოყენებული სარდაფები. ერთი წლის განმავლობაში ვატოს თანამოაზრეებიც შეუერთდნენ და თბილისში არსებული წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრთან თანამშრომლობის საფუძველზე, მხატვართა იდეა გამოფენა-აქციის ფორმით ჩამოყალიბდა. “ჩემი აზრით, ხელოვნება ესთეტიკასა და ფორმალიზმშია გადასული და გახდა ძალიან ელიტარული, რომელიც საზოგადოებრივ საკითხებთან ნაკლებადაა დაკავშირებული. ამიტომ გაგვიჩნდა სურვილი, ჩვენებურად გამოგვეხატა პოზიცია; რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალადობისა და წამების წინააღმდეგაა, მაგრამ გამოფენას არ დავარქვით პირდაპირ ლოზუნგი. წამება რომ ცუდია და მშვიდობა კარგი, ეს ისედაც გასაგებია და მხატვრები არ სჭირდება. ჩვენ გვინდა უბრალოდ სააზროვნო თუ სადისკუსიო სივრცე შევქმნათ”.

თავად ვატო წერეთელმა სადისკუსიოდ გამოიტანა სამი მასიური ფოტო-ინსტალაცია: “ჩემთვის მნიშვნელოვანია ის ადამიანები, ვინც გადავიღე, ანუ ცენტრის თანამშრომლები, ექიმები, ვინც ნაწამებ ხალხთან მუშაობენ. ეს ადამიანები წამების მსხვერპლისგან მთელ ენერგიასა და ინფორმაციას იღებენ. ცხადია, ეს ენერგია არ ქრება და გამოდის, რომ ისინიც გარკვეულწილად, მსხვერპლნი არიან”, - ვატო წერეთელი დარწმუნებულია, რომ პროექტში მონაწილეობა საინტერესო იყო როგორც ცენტრისთვის, ასევე მხატვრებისთვის, რადგანაც ესაა რეალური გზა, რითაც შესაძლებელია ხელოვნება რეალობას დაუახლოვდეს და საზოგადოებისთვის საჭირო ფუნქცია შეიძინოს.

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრისთვის პროექტის მნიშვნელობას კი, ცენტრის თანამშრომელი, ფსიქიატრ-ფსიქოთერაპევტი, ნინო მახაშვილი ასე სხნის: “ეს გამოფენა ჩვენთვის ახალი პერსპექტივაა, მინიშნებებით სავსე და ხალისიანი. მგონია, საზოგადოებამდე ასეთი ნათქვამი უფრო უნდა მივიდეს” .

გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ავტორის ნამუშევარი საინტერესო და უჩვეულო იყო. როგორც ყოველთვის, ეფექტურობას აქაც ინარჩუნებდა გურამ წიბახაშვილის გადაღებული ოთხი ფოტო, რომელთა მინი-ასლებიც დამთვალიერებლებს სამახსოვროდ დარჩათ; ლევან ჭოღოშვილი მეგობრებს ვიდეო-არტით შეუერთდა; გიო სუმბაძე კი, გამოფენილ ნამუშევრებს დამატებითი აქციით გამოეხმაურა: მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობისგან მიღებული უარის მიუხედავად, მის სტიკერებს მეტროს მგზავრები მაინც გაეცნობიან. გამოფენაზე კი, მხატვარმა ამ სტიკერების მოზრდილი ასლები წარმოადგენა. სუმბაძის ექსპოზიციით მოიხიბლა გამოფენაზე მოსული ირაკლი ჩარკვიანიც და სუმბაძის ექსპოზიციასთან ერთად შთაბეჭდილებებიც გაგვიზიარა: “მისი ნამუშევრები ძალიან დინამიურია. ჩვენი დროისთვის მნიშვნელოვანია, ნამუშევარი იყოს ცოცხალი და დინამიური. მეტრო თვითონაც დინამიური თემაა და დინამიური თემა რომ დინამიურად წარმოაჩინო, თვითონაც ასეთი უნდა იყო. ეს ეტყობა გიორგის ნამუშევრებს. რაც შეეხება პირდაპირ ლოზუნგებს, ის ყოველთვის არაა გამართლებული; ხშირად პირდაპირია ლოზუნგი, მაგრამ კონკრეტული გამოფენა თუ პროექტი არ ამართლებს ამას. ხელოვნება შეიძლება მეტი იყოს სიჩუმეში, ვიდრე პათეტიკაში”.





იური ლობოდინის ფოტო

გამოფენას დამთვალიერებელი საკმაოდ ბევრი ჰყავდა: თანამედროვე ქართველი ხელოვანები (ილიკო ზაუტაშვილი, გოგი ცაგარელი) მეგობარ-ახლობლებთან ერთად, გამოფენის თანაორგანიზატორი ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც აქციიდან წამების საწინააღმდეგო სიმბოლოიან მაისურებში გამოწყობილები შემოუერთდნენ გამოფენას და თუ მოინდომებდით, ასეთ წრეში პოლიტიკოსსაც (ნოდარ ნათაძე) შენიშნავდით. ბოლოსკენ ალბათ, ისიც უნდა დავამატოთ, რომ დამთვალიერებლებმა გუშინწინ “ქარვასლაში” “ორი კურდღელი ერთად დაიჭირეს”. წამების თემატიკის გარდა, სტუმრები მუზეუმის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გერმანელი გრაფიკოსის, საბინე ნოიგებაუერის “რეალობის მონახაზებსაც” გაეცნენ. ეს გამოფენაც კულტურის განვითარების კავკასიურმა ცენტრმა წარმოადგინა. გერმანელი მხატვარი, რომელიც ცენტრის გაცვლითი პროგრამების მონაწილეა, ორი თვეა რაც თბილისში ჩამოვიდა. მხატვარმა ფერადი ფურცლების სერიასთან ერთად ტიპიური ევროპული (როგორც ამას გურამ წიბახაშვილმა უწოდა) გრაფიკა წარმოადგინა. ასე რომ, ვინც ქართველი ხელოვანების წამების საწინააღმდეგო თემატიკაზე გაკეთებული გამოფენის დათვალიერებას დააპირებს, ვურჩევთ საბინას საგამოფენო სივრცის ლაბორატორიად წარმოჩენის მცდელობასაც ეზიაროს.

# რას მალავდა ტოსკანინი

## გენიალური დირიჟორის პირად ცხოვრებას ფარდა ეხდება

მადი სერებრიაკოვა

გენიალური დირიჟორის - არტურო ტოსკანინის ცხოვრებასა და შემოქმედებას არა ერთი ავტორი შეხებია. უამრავი თაყვანისმცემელი შეეცადა მისი ცხოვრებისეული დეტალების გამოძიებას. მაესტროზე ბევრი დაწერილა, თუმცა შეერთებულ შტატებში ორიოდე დღის წინ გამოსული მისი პირადი წერილების კრებული - მათ შორის ყველაზე სკანდალური აღმოჩნდა. ჰარვი საქსმა (Harvey Suchs), რომელიც ტოსკანინის ოჯახის მეგობარი და მისი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ბიოგრაფიის ავტორია, დირიჟორის პირადი ცხოვრების ინტიმური დეტალები გამოამზეურა.

არტურო ტოსკანინის საზოგადოებრივი იმიჯი ყოველთვის განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა. ევროპასა თუ ამერიკაში, იგი მუსიკალური ცხოვრების ტონისმიმცემად ითვლებოდა. თუკი ახალგაზრდობაში იგი ლამის თანამედროვეებს - ვერდის, ვაგნერს, პუჩინისა და შტრაუსს უწევდა პოპულარიზაციას, მოგვიანებით დაუფასებელი წვლილი საოპერო და სიმფონიური კლასიკის აღდგენაში შეიტანა. ყურადღების ცენტრში ხშირად ექცეოდა მისი იტალიური პატრიოტიზმი, ფაშიზმისა და ნაციზმის საშინელი გამოცდილება, ხოლო ებრაელთა გადასარჩენად გაწეული წვლილის გამო კი, თითქმის გმირად იყო შერაცხული.

აი, პირად ცხოვრებაზე კი საშინლად არ ჰყვარებია მაესტროს საუბარი: არ იძლეოდა ინტერვიუებს, არ თანამშრომლობდა ბიოგრაფებთან, და სასტიკად ებრძოდა მათ, ვინც მისი საყვარელი კომპოზიტორებისა თუ შემსრულებლების პირადი ცხოვრების "ხელყოფას" შეეცდებოდა.

ამ ყველაფრის ფონზე, ახალი წიგნის გამოქვეყნება განსაკუთრებით მოულოდნელი აღმოჩნდა. საქსი, რომელმაც ჯერ კიდევ 1978-ში გამოაქვეყნა პირველი წიგნი ტოსკანინის შესახებ, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ღრმად ჩახედული დირიჟორის პირად წერილებში. იმ დროს იგი აღნიშნავდა, რომ მაესტროს წერილები ძალიან ცოტა და თითქმის არაფრისმთქმელია. თუმცა მოგვიანებით მკვლევარს უამრავი ახალი მასალა ჩაუვარდა ხელში. წერილების უმეტესობა მან ტოსკანინის საოჯახო არქივიდან მოიპოვა, ნაწილი კი - მისი მეგობრების ოჯახებში იყო დაცული.

წერილების დროითი დიაპაზონი 1885-იდან 1956 წლების პერიოდს მოიცავს. ადრევე იყო ცნობილი ტოსკანინის მიერ 30-იან წლებში მიწერილი რამოდენიმე წერილი მილანელი ადა მაინარდის მიმართ, რომლიც მაესტროზე 30 წლით უმცროსი და თანაც გათხოვილი იყო. თუმცა "ახალმა" წერილებმა უკვე ამ ურთიერთობის ინტიმურ დეტალებს ახადა ფარდა. აღსანიშნავია, რომ წიგნი მხოლოდ ტოსკანინის მიერ გაგზავნილ წერილებს აქვეყნებს და არა პასუხებს. მაინარდის გარდა, ხშირად ჩნდებიან მისი ფავორიტი სოპრანოები როზინო სტორკიო და ჯერალდინ ფარარი.

ახლადგამოქვეყნებული სასიყვარულო წერილების უმეტესობა ძალზე "გულახდილი", ალაგ-ალგ პორნოგრაფიულიცაა. ამის გამო საქსი დიდი პრობლემის წინაშე დამდგარა. ერთის მხრივ, იგი სიმართლის ბოლომდე გაცხადებას ფიქრობდა, მეორე მხრივ კი - ფაქტობრივად საყვარელი მაესტროს დისკრედიტირებას ეწეოდა და მისთვის ასე მნიშვნელოვანი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ხელყოფდა. წიგნი ფაქტობრივად ანგრევს ლამის წმინდანად შერაცხულ დიდი მაესტროს კანონიკურ იმიჯს და მის ადგილას ემოციურ და პატარა ადამიანური სისუტეებით აღსავსე მამაკაცს წარმოგვიდგენს, რომელიც, სხვათა შორის, ხშირად ღალატობდა ცოლს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გენიალური დირიჟორის "ცუღლუტობები" ვერდისა და ვაგნერის ციტატებით, პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოზიციების აშკარა დაფიქსირებით არის სავსე. ერთსა და იმავე გვერდზე შეიძლება მაესტროს სასიყვარულო ვნებები და ისეთი ფაქტების შეფასებები წაიკითხოთ, როგორიც, მაგალითად, 1936-ში ვერდის წერილების გამოქვეყნება იყო. კომპოზიტორის სექსუალური საიდუმლოებების გამომზეურებამ დირიჟორი საშინლად აღაშფოთა: "როგორც უნდა ისე გააკრიტიკონ (ვერდი), - წერს ტოსკანინი, - ოღონდ მის საძინებელს ნუ შეეხებიან". საყვარელი კომპოზიტორის დისკრედიტირების წინააღმდეგ ამხედრებული ტოსკანინი ამჟამად თავად გახდა დასაცავი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ახალი წიგნის ავტორი მაესტროს ხანგრძლივი შემოქმედებითი სიცოცხლისუნარიანობის მის სექსუალურ უნარებთან დაკავშირებასაც არ თვლის სათაკილოდ.

არ ვიცი, როდის მოხერხდება ტოსკანინის წერილების ქართული თარგმანის გაკეთება (თუკი საერთოდ არის ამის საჭიროება), ინგლისურ გამოცემას კი, რომელიც 468 გვერდს მოიცავს, შესაძლოა ინტერნეტის საშუალებითაც გაეცნოთ.



არტურო ტოსკანინი და იუჯინ ორმანდი ფილადელფიის მუსიკალურ აკადემიაში. 1941 წელი

# ვინ კითხულობს პირველად „ფლეიბოის"



ჰიუ ჰეფნერმა "ენრონის" გოგოებს გახადა

REUTERS

პრესა დიდხანს საუბრობდა ჟურნალ "ფლეიბოის" იმ ნომერზე, რომელშიც სკანდალურად გაკოტრებული ენერგოგიგანტის "ენრონის" თანამშრომელი ქალები უნდა დაებეჭდათ. ეს დღეც დადგა. აგვისტოს "ფლეიბოი" შტატებში უკვე გაყიდვაშია და მას, პირველ რიგში, "ენრონის" თანამშრომელი მამაკაცები ეცნობიან.

ჟურნალის მიწვევა 300-მდე "ენრონელ" მანდილოსანს დაუგზავნეს. ბევრმა წინადადება მიიღო. მასალა "ფლეიბოის" ახალ ნომერში მთელ ათ გვერდზე დაიბეჭდა. "ენრონის" ქალები აცხადებენ, რომ ჟურნალში გამოჩენას ცნობისმოყვარეობის და ჰონორარის გამო დათანხმდნენ. თუმცა, ისინი არ აკონკრეტებენ, თუ რა რაოდენობის თანხაზე იყო საუბარი.

"ენრონის" ზოგი თანამშრომელი ისეთი გამბედავი გამოდგა, როგორც "ფლეიბოის" ეკადრებოდა. მაგალითად, 22 წლის დოერთი კომპანიის ავტოფარეხში, "ენრონის" ორი ცათამბჯენის ფონზე, მხოლოდ ფეხსაცმელსა და მოკლე მაისურში გამოწყობილი გადაიღეს. ერთადერთი, ვინც კამერებს წინ პოზიორობა ჩაცმულმა არჩია, 27 წლის კორტნი პარკერი იყო. მან ეს გადაწყვეტილება ოჯახის პატივისცემის გამო მიიღო.

# უცნაური მამის უცნაური შვილი სცენაზე ადის



კელი ოსბორნი MTV-ს დაჯილდოებაზე

REUTERS

კელი ოსბორნი სკანდალური ოზი ოსბორნის ქალიშვილია და თავისი უცნაური ოჯახის წყალობით, მოდასთან, სტილთან და დახვეწილ გემოვნებასთან ნაკლებად ასოცირდება. თუმცა, კელი აპირებს, ღამურების მჭამელი მამისგან განსხვავებული იმიჯი შეიქმნას და წარმატებულ მოდელად ჩამოყალიბდეს. მან უკვე გააფორმა კონტრაქტი ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელ Candie's-თან, რომლის პროდუქციასაც სარეკლამო რგოლების საშუალებით პოპულარიზაციას გაუწევს. თუმცა, ვარდისფერთმიანი კელი მაინც აღიარებს, რომ მოდელობა რთულია: "როცა მეუბნებიან, რომ უფრო გრაციოზული, სექსუალური უნდა ვიყო, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. უწინ მოდელობა არასდროს მიცდია". რამდენიმე ხნის წინ კელიმ ხელი მოიტეხა, მაგრამ მასთან კონტრაქტის გაფორმება Candie's-ს ხელმძღვანელობას ისე სურდა, რომ ამას ყურადღება არც მიაქცია. ასე რომ, უცნაური მამის შვილმა უცნაურობებს ვერც თვითონ აარიდა თავი და პირველ გადაღებაზე თაბაშირში ჩასმული ხელით მივიდა.

სხვათა შორის, ოზი ოსბორნი რამდენიმე ხნის წინ თეთრ სახლსაც სტუმრობდა. ის პრეზიდენტმა ბუშმა მიიწვია...

კელი ოსბორნი კი საზოგადოების ყურადღების ცენტრში MTV-ზე გასული შოუს "ოსბორნების" შემდეგ მოხვდა. ახლა კი კელი, სამოდელოსთან ერთად, მუსიკალური კარიერის გაკეთებასაც გეგმავს. მან უკვე გამოუშვა მადონას კლასიკად ქცეული ჰიტის Papa Don't Preach ახალი ვერსია.


30 ივნისი (21.00) - ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
„მაგთი-GSM" წარმოგიდგენთ:
21.00 სთ - „მწვანე ოთახი" (საქართველო)
21.40 სთ - ტანია მარია და „ვივა ბრაზილ კვარტეტი" (ბრაზილია)

2 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„GMT-ჯგუფი" წარმოგიდგენთ:
ბობ მინცერი და თბილისის ბიგ-ბენდი (აშშ-საქართველო)
აშშ-ის საელჩოსა და გადამხდელთა კავშირის მხარდაჭერით

3 ივლისი (21.00) - ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი
„ლუკოილი" წარმოგიდგენთ
ელ ჯერო და ბენდი (აშშ)

3 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„რუსთავცემენტი" წარმოგიდგენთ
ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (აშშ)
ბობ მინცერის კვარტეტი (აშშ)

4 ივლისი (21.00) კლუბი „ჯოი"
„ნესკაფე" წარმოგიდგენთ
იგორ ბრილი და მაია ბარათაშვილი (რუსეთი, საქართველო)
22.00 დენის როლინზის „ბედბოენ ენდ კომპანი" (დიდი ბრიტანეთი)

5 ივლისი (21.00) - კლუბი „ჯოი"
„კენტი" წარმოგიდგენთ
ჯაზ-კვარტეტი (სომხეთი) ჭაბუკა ამირანაშვილის ბენდი (საქართველო)
ალფრედ „პი ვი" ელისის ანსამბლი (აშშ)

თბილისის მე-6 საერთაშორისო
ჯაზი - ფესტივალის პროგრამა

jazz

## ორშაბათი 1.07

### რუსთავი - 2.

07.00 მუსიკა. 07.30 ფიფქია. 08.00 კურიერი. ჩვენი ეზო. 08.55 სერიალი „სიყვარულის სახელით". 09.50 ველური ბუნება. 10.40 ბრენდაიზერი. 11.10 სერიალი „ოცნების კოშკები". 12.00, 15.00 კურიერი. 12.15 მულტსერიალი. 13.30 მხ. ფილმი. 15.20 მხ.ფილმი. 17.05 ლუისი და კლარკი. 18.00, 21.00, 03.10 კურიერი. 18.20 ბრენდაიზერი. 18.45 სერიალი „ელენი და ბიჭები". 19.15 მოგზაურობის ასი წელი. 19.50 სერიალი „ოცნების კოშკები". 22.00 „კომუნიკატორი". 22.50 კურიერი. 00.05 მხ.ფილმი „მხოლოდ შენი თვალებისათვის" მთ.როლებში: როჯერ მური, კაროლ ბუკე. 02.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

### პირველი არხი.

07.30 ალიონი. 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი". 10.10 სერიალი „ძილის წინ". 10.30 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ველური ბუნება". 11.25 მეტრო. 12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე. 12.15 შორეული ახლობელი. 13.00 რუმინეთის პრეზიდენტის მისი აღმატებულების ბატონ იონ ილიესკუს დახვედრის რეპორტაჟი თბილისის აეროპორტიდან. 13.20 „საუკუნის გიგანტები". 14.25 ჯანმრთელობა. 15.15 ზაზა დარასელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. 17.15 50/50. 18.00 „ვესტნიკი". 18.20 რამპა. 18.25 სერიალი „გოგონები ქარში". 19.00 ვიდეოპატრული. 19.10 ენერგია. 19.40 ბასტი-ბუბუ. 20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი". 21.45 სატ. საეჭტაკლი „უცინარი". 23.35 სერიალი „ძილის წინ". 23.55 დოკ. სერიალი „მეოცე საუკუნე". 00.15 ქართ. ფილმი „იყო შაშვი მგალობელი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე. 19.10 იყო და არა იყო რა. 19.30 მხ. ფილმი „სკარლეტი" 1-ლი ნაწილი. 20.45 სერიალი „მხოლოდ შენთვის". 21.30 „წარსულის ტერიტორია" - ზაზა დარასელზე ერთი წლის შემდეგ. 22.10 მხ. ფილმი „მამბოს მეფეები"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 „ვესტი". 10.15 მულტფილმი „დიდი გამომძიებელი". 11.45 მუსიკალური კოლაჟი. 12.30 ვარსკვლავები გვაცნობენ. 13.30 ექიმი გვირჩევს. 14.30 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში". 15.20 კომპიუტერის შემსწავლელთა კურსები. 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი. 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი. 19.30 ექსტრაორდინალური. 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი. 20.40 პირველი ნაბიჯები. 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები. მარიკა ხიდურელის საავტორო გადაცემა. 22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი „და მათ შეუყვარდათ ერთმანეთი"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია. 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი. 08.15, 20.15 აღსავალი. 08.20, 10.00, 11.55, 20.20, 21.55, 23.45 მუსიკა. 08.25 მხ.ფ. „ლონდონელი ქოფაკები". 10.05 მხ.ფ. „კვალზე მიმავალი". 20.25 მხ.ფ. „იპოვნეთ და გაანადგურეთ". 22.05 მხ.ფ. „მექანიკური სიუიტა"

### პირველი სტერეო

07.15 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა". 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ტოროლა". 11.00 „მო" განმეორებით. 13.00 ინფორმატორი. 13.35 სარეკლამო ათეული. 15.00 მხ.ფილმი. 17.30 „სწ.მედია" მხ.ფ. „და გოგო?". 19.00 მუსიკა. 20.00 ჩაძირობანა. 22.00 ევროპული ათეული. 23.00 უცნობი. 00.00 „ბრავო" მხ.ფ. „ეშმაკზე დევნა". მთ. როლში ტოგი მაგუაიერი. 01.45 „ღამურა" მხ.ფ. „გაუჩინარება" მთ. როლებში: ჯეფ ბრიჯესი, კიფერ საზერლენდი. 03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. „ოპერაცია „ი" და შურიკას თავგადასავალი". 13.30 მხ.ფ. „მარტოხელა მგელი". 15.00 მხ.ფ. „დიდების 15 წუთი". 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს". 17.15 მხ.ფ. „მრბოლელი". 19.20 სპექტრი. 21.00 მუსიკა. 21.50 მხ.ფ. „სიკვდილამდე შეაშინო"

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა. 09.10 სად? რა? როდის?. 10.00 „დილა". 11.45 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური". 12.35 მხ. ფილმი „მოსკიტების სანაპირო". 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები". 14.45 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი". 15.15 მაცაცერა. 15.25 დოკ. ფილმი „პიგმეებს შორის". 15.55 მხ.ფილმი „მხატვარი". 17.45 მულტფილმი „ალექსი" 21-ე სერია. 18.15 საგავშვო სერიალი „ჰორასი და თინა" 21-ე სერია. 18.45, 21.00, 22.00, 00.20 მუსიკა. 19.00 დისქავერი. 20.00 გადაცემა რაგბი. 21.10 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური". 22.15 მხ.ფ. „ღმერთები და მონსტრები". მთ. როლებში ბრენდან ფრეიზი, იან მაკალნი. 00.40 მხ.ფ. „ომი". მთ. როლებში გიორგი გურგულია, სერგეი გადროვი

### აჭარის ტელევიზია.

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი. 09.30 „ Новости в воскресенье". 10.00 სათავგადასავლო ფილმი „საიდუმლო კუნძული". 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება. 12.15 მხატვრული ფილმი „გაიცანით, ჯო ბლექი". 15.05 დოკუმენტური ფილმი. 16.15 მულტფილმი „ბემბი". 17.30 თრილერი „ღმერთის განსახიერება". 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი". 19.30 დოკუმენტური ფილმი. 20.30 ქართული ფილმი „ჭრიჭინა". 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე. 23.00 დოკუმენტური ფილმი. 01.00 კომედია „საუკეთესო დრო". 03.30 თრილერი „მეწამული მოქცევა".

### VII არხი

09.00 ანონსი. 09.05 ამინდის პროგნოზი. 09.10 „პერიფერია". 09.20 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 09.30 „აჩიკუდა". 09.55 მოკლედ. სპორტი. 10.05 „სახლიდან გაუსვლელად". 10.25 მუსიკალური ტაიმაუტი. 11.00 მულტსერიალი. 11.15 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (განმეორებით). 12.10 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე". 12.40 დისნეი და მისი მეგობრები. 13.00 „სახლიდან გაუსვლელად". 13.30 სპორტი. 13.35 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 18.10 პრესა. 18.25 სპორტული ინფორმაცია. 18.30 „სახლიდან გაუსვლელად". 18.55 მოკლედ. ტექნიკის სიახლეები. 19.00 „აჩიკუდა". 19.30 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 19.40 „სახლიდან გაუსვლელად". 20.00 სპორტული პროგრამა. 20.30 „ლა-ლა-ლა". 21.10 მოკლედ. ასტროლოგიური პროგნოზი. 21.20 მოკლედ. სპორტი. 21.30 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე". 21.55 მუსიკალური ტაიმაუტი. 22.05 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 22.15 „კინოკლუბი „ - მხ.ფილმი „ცეცხლის ხაზზე". ა.შ.შ. 1996წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - ვოლფგანგ პეტერსონი. როლებში: კლინტ ისტვუდი, ჯონ მალკოვიჩი, რენე რუსო. 00.20 პრესის მიმოხილვა. 00.30 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 00.40 „სახლიდან გაუსვლელად". 01.05 მუსიკალური გიორითმი - „ბექსტრით ბოისი". 01.25 მხ.ფ. ჟანრებში: - „ჰარამხანა". საფრანგეთი. 1994 წელი. მელოდრამა. რეჟისორი - არტურ ჟოფე. როლებში: ნასტასია კინსკი, ვენ კინგსლი. 03.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 11.15 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ". 13.15 Царь горы. 13.35 КОАПП. 14.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА "ЛУННЫЙ СВЕТ". 14.50, 17.40, 20.15 "Ералаш". 15.00 "Народ против". 16.15 Док. фильм "Дикие штучки". 16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА". 17.55 Большая стирка. 20.25 "РУССКОЕ ПОЛЕ". 22.00 Время. 22.35 "Слабое звено". 23.25 Независимое расследование. 00.00 Док. сериал "Закон джунглей". 01.00 Ночное "Время". 01.30 х.ф. "16-й ОТДЕЛ"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР. 06.50, 07.50, 08.50, 09.50,19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва. 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести. 07.10 "Православный календарь". 07.15, 08.30 Семейные новости. 07.25, 09.10, 02.25 Дежурная часть. 07.30, 17.45 Афиша. 07.40, 09.30, 19.05 Дорожний патруль. 08.10, 09.40, 17.35 Экспертиза РТР. 08.20 Национальный дщход. 08.25, 15.20 вести - спорт. 08.40 Федерация. 09.15 Хнорограф. 10.10 Вести недели. 11.05 Ток-шоу "Рядос с тобой". 12.20 "МЕНЯ ЭТО НЕ КАСАЕТСЯ". 14.10 Мульфильмы. 14.30 Сериал "СИБИЛЛ". 15.25 "Что хочет женщина". 16.10 Сериал "дикий ангел". 17.10 "ДРУЗЯ - 4". 18.20 Док. Фильм "Союз бывшых". 19.50 Сериал "комиссар рекс". 20.50 Спокойной ночи, малыши!. 21.35, 00.20 Местное время. Вести-Москва. 21.55 "АГЕНТСТВО НЛС". 22.55 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ДАМА В ВУАЛИ". 00.00 Вести - Подробности. 00.30 "ИЮЛЬСКИЙ ДОЖДЬ"

### НТВ

07.05 Утро на НТВ. 09.50 "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 21.00, 23.00 Сегодня. 11.25 "Намедни". 12.40 Куклы. 13.20, 16.40, 19.25 Криминал. 13.30 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН. СОБАКА БАСКЕРВИЛЕЙ". 15.05 Ток-шоу "Принцип "Домино". 17.30 х.ф. "ПРИШЕЛЬЦЫ". 20.35 х.ф. "УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 7-я серия. 21.45 х.ф. "СЛЕД ОБОРОТНЯ". 23.35 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-3". 00.35 х.ф."УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 01.40 "О, Счастливчик". 02.15 х.ф. "НЕЕСТЕСТВЕННЫЙ ОТБОР".

## სამშაბათი 2.07

### რუსთავი - 2.

07.00 მუსიკა. 07.30 ფიფქია. 08.00 კურიერი. 08.55 სერიალი „სიყვარულის სახელით". 09.50 „კომუნიკატორი". 10.40 ბრენდაიზერი. 11.10 სერიალი „ოცნების კოშკები". 12.00, 15.00 კურიერი. 12.15 მულტსერიალი. 13.30 მხ. ფილმი. 15.20 მხ.ფილმი. 17.05 ლუისი და კლარკი. 18.00, 21.00, 03.10 კურიერი. 18.20 პერეკროსტოკი. 18.45 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა. 19.50 სერიალი „ოცნების კოშკები". 22.00 კომუნიკატორი. 22.50 კურიერი. 00.05 მხ.ფ. „ჯიპერს კრიპერსი" მთ.როლებში ჯტლა ფილიპსი, ჯასტინ ლონგი. 02.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

### პირველი არხი

07.30 „ალიონი". 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი". 10.10 სერიალი „ძილის წინ". 10.25 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ველური ბუნება". 11.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი". 12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე. 12.15 სერიალი „გოგონები ქარში". 12.45, 19.00 ვიდეოპატრული. 13.00 „ნაშუადღევს". 14.05 სპა. 14.35 ენა დედაა ერისა. 15.15 ქართ. ფილმი „იყო შაშვი მგალობელი". 16.35 გავშვთა უფლებების კონვენცია. 17.00 ლერერის შოუ. 18.00 „ვესტნიკი". 18.20 სერიალი „გოგონები ქარში". 19.10 სიტყვა კაზმული. 19.40 ბასტი - ბუბუ. 20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი". 21.45 ჰოლივუდის ვარსკვლავები (ჰარისონ ფორდი). 22.10 ტალანტები და თაყვანისმცემლები (ელისო ვირსალაძე). 23.35 ტელესერიალი „ძილის წინ". 23.55 დოკ.სერიალი „მეოცე საუკუნე". 00.15 მხ.ფ. „დარტანიანი და სამი მუშკეტერი" (3 სერია)

### მეორე არხი

19Ч00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე. ეხბურთი. 19.10 იყო და არა იყო რა. 19.30 მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-2 ნაწილი. 21Ч15 სერიალი „მხოლოდ შენთვის". 22.10 მხ. ფილმი „ფერფლი და ალმასი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 „ვესტი". 10.15 მულტფილმი „პოკახონტასი". 11.45 მუსიკალური კოლაჟი. 12.25, 21.30 „სალონი". 14.00, 23.00 სერიალი „მოქალაქე უფროსო". 15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი. 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი. 19.30 მუსიკალური ტაიმაუტი. 20.00 მსოფლიო სპორტი. 00.15 მხ.ფ. „სიყვარულის ზღვა"

### იბერია

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია. 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი. 08.15, 20.15 აღსავალი. 08.20, 09.55, 11.45, 20.20, 22.20, 00.00 მუსიკა. 08.25 მხ.ფ. „იპოვნეთ და გაანადგურეთ". 10.05 მხ.ფ. „მექანიკური სიუიტი". 20.25 მხ.ფ. „იარაღის გზა". 22.30 ძველი კინო_მხ.ფ. „ლედი ჰამილტონი"

### პირველი სტერეო

07.15 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა". 08.00 „ტოროლა". 11.00 მუსიკალური ათეულის განმეორება. 11.45 „ჩაძირობანა" განმეორებით. 13.15 მხ. ფილმი. 15.10 მუსიკა. 17.30 „სწ.მედია" მხ.ფ. „სასამართლო და შეცდომა". 19.00 მუსიკა. 20.00 კლიპები შეყვარებულთათვის პირდაპირ ეთერში. 22.00 ევრო-რუსული ათეული. 23.00 „ბრავო" მხ.ფ. „ბეჭდების მბრძანებელი". მთ. როლებში ელაიჯა ვუდი, ლივ ტაილერი. 01.30 „ღამურა" მხ.ფ. „დაუვიწყარი". მთ. როლებში რეი ლიოტა, ლინდა ფიორენტინო. 03.30 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. „სიკვდილამდე შეაშინო". 14.10 მხ.ფ. „შერკინება". 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს". 17.15 მხ.ფ. „ბარი „ზინძური კოიოტი". 19.20 სპექტრი. 21.00 დოკ. ფილმი. 21.50 მხ.ფ. „ოქროს თვალი"

### მეცხრე არხი

სამშაბათი 2.07. 09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები". 09.20 მულტფილმი „ალექსი" 21-ე სერია. 09.45 საგავშვო სერიალი „ჰორასი და თინა" 21-ე სერია. 10.15, 11.15, 14.45, 15.55, 18.50, 20.25, 00.20 მუსიკა. 10.30 მხ.სერიალი „ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური". 11.25 მხ.ფ. „ომი". 13.30, 15.00 დისქავერი. 14.00 გადაცემა რაგბი. 15.55 მხ. ფილმი „მხატვარი". 17.45 მულტფილმი „ალექსი" 22-ე სერია. 18.15 საგავშვო სერიალი „ჰორასი და თინა" 22-ე სერია. 18.55 მხ.ფ. „ფანტომასი მძვინვარებს" მთ. როლებში ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე, მილენ დე მონჟო. 21.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი". 21.30 გადაცემა „მთავარი თემა". 22.15 მხ.ფ. „საჰაერო ტერორისტები" მთ. როლებში როდ რულანტი, კრისტინა ლოვერი. 00.40 მხ.ფ. „პირობა". მთ. როლებში ჯეკ ნიკოლსონი, მიკი რურკი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი. 09.30 ფანტასტიკა „ღამის სტუმრები". 11.00 დოკუმენტური ფილმი. 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება. 12.15 ქართული ფილმი „ჭრიჭინა". 13.45 თრილერი „მეწამული მოქცევა". 16.15 მულტფილმები. 17.30 თრილერი „სიკვდილის აქცია". 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი". 19.30 დრამა „სასტიკი რომანსი". 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე. 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე. 23.10 „რა არ ხდება". 23.30 დოკუმენტური ფილმი. 01.10 თრილერი „სახიფათო ზონა". 03.30 მხატვრული ფილმი „თავისუფლების სიმაღლეები"

### VII არხი

სამშაბათი 02.07. 09.00 ანონსი. 09.05 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 09.15 მუსიკალური ტაიმაუტი. 09.30 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 09.40 „აჩიკუდა". 10.05 „გედნიერი ერი". 10.10 „სახლიდან გაუსვლელად". 10.30 მოკლედ. სპორტი. 10.35 „ავტოტრეკინგი". 11.30 მულტსერიალი. 11.50 მუსიკალური გიორითმი - „ბექსტრით ბოისი". 12.10 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე". 12.40 მოკლედ. ტექნიკის სიახლეები. 12.55 დისნეი და მისი მეგობრები. 13.15 „სახლიდან გაუსვლელად". 13.45 სპორტი. 13.50 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 18.10 პრესა. 18.25 სპორტული ინფორმაცია. 18.30 „სახლიდან გაუსვლელად". 18.55 მოკლედ. ტექნიკის სიახლეები. 19.00 „აჩიკუდა". 19.30 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 19.40 „სახლიდან გაუსვლელად". 20.10 სპორტული პროგრამა - „კასკადიორები". 20.30 „ფაქტი, აზრი, კომენტარი". 20.40 მუსიკალური ობიექტივი. 21.00 მოკლედ. ასტროლოგიური პროგნოზი. 21.10 „ღამის კაპრიზი". 21.55 მოკლედ. სპორტი. 22.05 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 22.15 „კინოკლუბი „ - მხ.ფილმი „ჯონ მალკოვიჩის თავი". ა.შ.შ. 2000 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - სპაიკ ჯონსი. როლებში: ჯონ მალკოვიჩი, ჯონ კიუსაკი, კემერონ დიაზი. 00.10 პრესის მიმოხილვა. 00.20 მუსიკალური ტაიმაუტი. 00.30 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 00.40 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე". 01.05 მუსიკალური გიორითმი - „ბექსტრით ბოისი". 01.30 მხ.ფ. ჟანრებში: - „წითელი ნაპირი" ა.შ.შ. 1989 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - გორდონ გოსი. როლებში: ჯორჯ კლუნი, დაგ სევენტი. 03.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.35, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 19.20 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 11.15 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ". 12.05 Дисней-клуб: "Любимчик". 12.30 Что да как. 12.45 Ералаш. 13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА "ЛУННЫЙ СВЕТ". 14.20 Независимое расследование. 15.00 "Народ против". 16.15 Док. фильм "Дикие штучки". 16.40 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА". 17.55 Большая стирка. 20.15 х.ф. "ОГОНЬ НА ПОРОЖЕНИЕ". 22.00 Время. 22.35 "Кто хочет стать милионером?". 23.25 Док. фильм "Ключ от ядерной кнопки". 00.05 Премьера сериала "УБОЙНАЯ СИЛА". 01.00 Ночное "Время". 01.30 "16-й ОТДЕЛ". 02.30 Сериал "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР. 06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.15 Вести-Москва. 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести. 07.10 "Православный календарь". 07.15, 08.30 Семейные новости. 07.25, 09.10 Дежурная часть. 07.30, 08.40, 19.05 Афиша. 07.40, 09.30, 19.05 Дорожний патруль. 08.10, 09.40, 17.35 Экспертиза РТР. 08.20 Национальный доход. 08.25,15.20 Вести-спорт. 09.15 Колоссальное хозяйство. 10.10 Док. сериал "Это - голивуд!". 12.20 х.ф. "СВЕТ В КОНЦЕ ТОННЕЛЯ". 14.50 Мульфильмы. 14.30 Док. Фильм "Америка в поисках энергии". 15.25 "Что хочет женщина". 16.20 Сериал "дикий ангел". 17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-4". 18.20 Док. Фильм "Союз бывшых". 19.50 Сериал "комиссар рекс". 20.50 Спокойной ночи, малыши!. 21.55 "АГЕНТСТВО НЛС". 22.55 х.ф." ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, КЛЮЧ К РАЗГАДКЕ". 00.00 Вести - Подробности. 00.30 х.ф." ДОМОСЕД".

### НТВ

07.05 Утро на НТВ. 09.50 "ПОЛИЦЕЙСКИЕ ВРАЧЕБНАЯ ТАЙНА". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Внимание розыск!. 12.10 В гостях у Е. Степаненко. 12.50 Вкусные истории. 13.20, 16.40, 19.40 Криминал. 13.30 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН. СОБАКА БАСКЕРВИЛЕЙ". 2-я серия. 15.05 Ток-шоу "Принцип "Домино". 17.30, 21.45 Сериал "СЛЕД ОБОРОТНЯ". 18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА". 20.25 х.ф."УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 23.35 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-4". 00.35 х.ф."УЛИЦИ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 01.40 "О, Счастливчик!". Игра. 02.15 х.ф."ПО ТУ СТОРОНУ ВУАЛИ".

## ოთხშაბათი 3.07

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა. 07.30 ფიფქია. 08.00 კურიერი. 08.55 სერიალი „სიყვარულის სახელით". 09.50 კომუნიკატორი. 10.40 ბრენდაიზერი. 11.10 სერიალი „ოცნების კოშკები". 12.00, 15.00 კურიერი. 12.15 მულტსერიალი. 13.30 მხ. ფილმი. 15.20 მხ.ფილმი. 17.05 ლუისი და კლარკი. 18.00, 21.00, 03.10 კურიერი. 18.20 ბრენდაიზერი. 19.15 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა. 19.50 სერიალი „ოცნების კოშკები". 22.00 კომუნიკატორი. 22.50 კურიერი. 00.05 მხ.ფ. „ამერიკის ფავორიტები" მთ. როლებში: ჯულია რობერტსი, ბილი კრისტალი. 02.00 უიმბლდონის ტურნირის მიმოხილვა

### პირველი არხი

07.30 „ალიონი". 09.45 მულტსერიალი „სიმბა ფეხბურთელი". 10.10 სერიალი „ძილის წინ". 10.25 „მსოფლიოს ველური ბუნება". 11.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი". 12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე. 12.15 სერიალი „გოგონები ქარში". 12.45, 19.00 ვიდეოპატრული. 13.00 „ნაშუადღევს". 14.05 რეალური სამყარო. 14.25 „ჩვენი მისამართია". 15.15 ჰოლივუდის ვარსკვლავები. 15.40 რუმინეთის პრეზიდენტის მისი აღმატებულების ბატონ იონ ილიესკუს გაცილების რეპორტაჟი თბილისის აეროპორტიდან. 16.00 მხ.ფ. „დარტანიანი და სამი მუშკეტერი" (3 სერია). 17.15 50-50. 18.00 „ვესტნიკი". 18.20 სერიალი „გოგონები ქარში". 19.10 ინტერმეცო. 19.40 ბასტი-ბუბუ. 20.55 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი". 21.45 ეკოდაიჯესტი. 22.10 ტელე-სინე-ვიდეო. 23.35 ტელესერიალი „ძილის წინ". 23.55 დოკ. სერიალი „მეოცე საუკუნე". 00.15 მხ.ფ. „მარსიანოს სასწაულები"

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე. 19.10 იყო და არა იყო რა. 19.30 მხ. ფილმი „სკარლეტი" მე-3 ნაწილი. 21Ч15 სერიალი „მხოლოდ შენთვის". 22.10 მხ. ფილმი „რაჟა ჩუმი სიყვარული"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 „ვესტი". 10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი. 10.45 მსოფლიო სპორტი. 11.45 მუსიკალური კოლაჟი. 12.25 სალონი. 14.00 ექიმი გვირჩევს. 15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი. 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი. 19.30 საუბრები მწვანე გუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა. 21.30 თინეიჯერი. 22.30 მსოფლიო სპორტი. 23.30, 00.30 მხ.ფ. „სად არისჩემი მანქანა, ბიჭო?"

### იბერია

ოთხშაბათი 3.07. მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია. 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი. 08.15, 20.15 აღსავალი. 08.20, 10.20, 12.00, 13.00, 20.20, 21.55, 00.05 მუსიკა. 08.25 მხ.ფ. „იარაღის გზა". 10.30 ძველი კინო_მხ.ფ. „ლედი ჰამილტონი". 20.25 მხ.ფ. „რუბიკონის საიდუმლო". 22.05 მხ.ფ. „ყოველკვირა"

### პირველი სტერეო

07.15 „მორწმუნის ძლევამოსილი ხმა". 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა „ტოროლა". 11.00 „მუსიკალური ათეულის" განმეორებით. 11.45 „კლიპები შეყვარებულთათვის" განმეორებით. 13.15 მხ.ფილმი. 15.00 მუსიკა. 17.30 „სწ.მედია" მხ.ფ. „დაუმარცხებელი ჯაშუში". 19.00 მუსიკა. 20.00 ვიდეო-რადიო. 22.00 მიქს-20. 00.00 „ბრავო" მხ.ფ. „მაგნოლია". მთ. როლებში ჯეისონ რობერტსი, ჯერემი ბრეკმანი. 01.30 „ღამურა" მხ.ფ. „თაღლითობა" მთ.როლებში კრისტოფერ უოკენი, ლორეინ ბრაკო. 04.15 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. „ოქროს თვალი". 14.10 მხ.ფ. „გოძილა". 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს". 17.15 მხ.ფ. „მაიკლი". 19.20 სპექტრი. 21.00 მუსიკა. 21.50 მხ. ფილმი „ხვალე არ მოკვდე არასოდეს"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბები". 09.20 მულტფილმი „ალექსი" 22-ე სერია. 09.45 მხ.სერიალი „ჰორასი და თინა" 22-ე სერია. 10.15,00.20 მუსიკა. 10.30 მხ.ფილმი „პირობა". 12.30 დოკ. ფილმი „ეს წარმოდგენაა". 13.10 დისქავერი. 14.45 „მთავარი თემა". 15.30 მხ. ფილმი „გლორია". 17.45 მულტფილმი „ალექსი" 23-ე სერია. 18.15 საგავშვო სერიალი „ჰორასი და თინა" 23-ე სერია. 18.45 მხ. ფილმი „ფანტომასი სკოტლან იარდის წინააღმდეგ". 20.20 დოკ.სერიალი „ჩემი ქვეყანა"_"არაჩვეულებრივი გამოფენა". 21.10 მულტფილმი „ტომი და ჯერი". 21.30 „მთავარი თემა". 22.15 მხ.ფ. „სამი ფერი ლურჯი". მთ. როლში ჟულეტ ბინოში. 00.40 მხ.ფ. „უკანასკნელი რაინდი". მთ. როლებში ჯონ ლიტგოუ, ბოგ ჰოპკინსი, ვანესა უილიამსი

### აჭარის ტელევიზია

9.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი. 9.30 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი" 1სერია. 11.05 დოკუმენტური ფილმი. 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება. 12.15 კომედია „მისტერ ჰონკონგი". 13.55 თრილერი „მარტივი გეგმა". 16.15 მულტფილმი „ანასტასია". 17.10 თრილერი „სიკვდილით აღნიშნული". 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი". 19.30 დოკუმენტური ფილმი. 20.30 ქართული ფილმი „კარიერი". 22.50 „ Пресс-папье". 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე. 23.10, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე. 23.15 დოკუმენტური ფილმი. 01.05 მელოდრამა „მხოლოდ სიყვარული" 1 სერია. 03.30 ფანტასტიკური საგა „მთიელი"

### VII არხი

09.00 ანონსი. 09.05 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 09.15 მუსიკალური ტაიმაუტი. 09.35 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 09.45 „აჩიკუდა". 10.10 „სახლიდან გაუსვლელად". 10.35 მოკლედ. სპორტი. 10.40 „ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით). 10.50 მუსიკალური გიორითმი - „ბექსტრით ბოისი". 11.10 „პაემანი" (განმეორებით). 12.00 მულტსერიალი. 12.30 მოკლედ. ტექნიკის სიახლეები. 12.35 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე". 13.05 დისნეი და მისი მეგობრები. 13.25 „სახლიდან გაუსვლელად". 13.55 სპორტი. 14.05 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 18.10 პრესა. 18.25 სპორტული ინფორმაცია. 18.30 „სახლიდან გაუსვლელად". 18.55 მოკლედ. ტექნიკის სიახლეები. 19.00 „აჩიკუდა". 19.30 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 19.40 „სახლიდან გაუსვლელად". 20.00 მუსიკალური ტაიმაუტი. 20.10 სპორტული პროგრამა - „კასკადიორები". 20.30 „ფაქტი, აზრი, კომენტარი". 20.40 „ლა-ლა-ლა". 21.20 მოკლედ. ასტროლოგიური პროგნოზი. 21.25 დოკ.ფ. „ბრძოლა წესების გარეშე". 21.50 მოკლედ. სპორტი. 22.00 მოკლედ. პრესის მიმოხილვა. 22.10 „კინოკლუბი" - მხ.ფილმი „უფსკრული" ა.შ.შ. 1996 წელი. ფანტასტიკა. რეჟისორი - ჯეიმს კემერონი. როლებში: ედ ჰარისი, მერი ელიზაბეტ მასტრანტონიო, მაიკლ ბიენი. 01.00 მოკლედ. საინფორმაციო გამოშვება. 01.10 „სახლიდან გაუსვლელად". 01.35 მუსიკალური გიორითმი - „ბექსტრით ბოისი". 01.55 მხ.ფ. ჟანრებში: - „ბინძური ბარი" ა.შ.შ. 1989 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - დონ სიჯელი. როლებში: კლინტ ისტვუდი, ბარი გარდინო. 03.30 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро". 07.40, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15, 19.2 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 11.10 х.ф. "НЕУДЕРЖИМЫЙ". 12.30 Программа "100%". 12.30 Следствие видет Коломбо. 13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВА "ЛУННЫЙ СВЕТ". 14.15 Док. фильм "Ключ от ядерной кнопки". 15.00 "Народ против". Телеигра. 16.15 Док. фильм "Дикие штучки". 16.45 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА". 17.55 Большая стирка. 20.25 х.ф. "НА ЛЕВО С ЛИФТА". 22.00 Время. 22.35 "Слабое звено". 23.25 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко. 00.00 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ". 01.00 Ночное "Время". 01.30 Дневник Московского кинофестиваля. 01.30 "16-й отдел". 02.25 "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

### РТР

06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва. 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести. 07.10 "Православный календарь". 07.15, 08.30 Семейные новости. 07.25, 09.10 Дежурная часть. 07.30, 8.40,17.45 Афиша. 07.40, 9.30 Дорожний патруль. 08.10, 09.40, 17.35 Экспертиза РТР. 08.20 Национальный доход. 08.25, 15.20 Вести-спорт. 09.15 Москва- Минск. 10.10 Док. сериал "Это - голивуд!". 11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ". 12.20 х.ф. "КЛЮЧИ ОТ РАЯ". 14.15 Мульфильм. 14.30 Сериал "БЕТТИ". 15.25 "Что хочет женщина". 16.10 Сериал "дикий ангел". 17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-4". 18.20 Футбол. Чемпионат России. 20.00 Сериал "комиссар рекс". 20.50 Спокойной ночи, малыши!. 21.55 "АГЕНТСТВО НЛС". 22.50 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ЧТО РАСТЕТ В ТВОЕМ САДУ?". 00.00 Вести - Подробности. 00.30 х.ф. "ВОПРЕКИ ВСЕМУ". 01.55 х.ф. "ТАНЦЫ ВЛЮБЛЕННЫХ"

### НТВ

